უმუშევრობის დაზღვევის სისტემის მართვა და ადმინისტრირება განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება შრომის ბაზრისა და დასაქმების პასიური პოლიტიკის (PLMP) ფარგლებში. გასაცემი შემწეობის სიდიდე, დანიშვნის პირობები, გაცემის ვადა და სხვა პირობები მკაცრად განისაზღვრება ცალკეული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით. კერძოდ, ბევრ ქვეყანაში შემწეობის გაცემის ხანგრძლივობა დაკავშირებულია სამუშაოს მოძიების გონივრულ ვადასთან, ფრიქციული უმუშევრობის ხანგრძლივობასთან, ხშირ შემთხვევაში უმუშევრის გადამზადების პერიოდთანაც. დასაქმების მოტივაციის შენარჩუნების მიზნით, შემწეობის თანხა მუშაობის პერიოდში პირის მიერ მიღებული საშუალო ხელფასის სიდიდეზე ნაკლებია და შემწეობის პერიოდის შესაბამისად, გარკვეული პროცენტული მაჩვენებლის დონეზე დიფერენცირდება. არსებობს უმუშევრობის დაფინანსების სხვა წყაროებიც. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალური მიზნობრივი ფონდებიდან. ეს უკანასკნელი ფორმირდება სხვადასხვა გადასახადებისაგან, რომლებსაც იხდიან როგორც დასაქმებულები, ასევე დამსაქმებლები (ასეთი ქვეყნებია ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვეიცარია, თურქეთი, დანია, ფინეთი, შვედეთი და სხვა). უმუშევრობის დაზღვევის ოდენობა მუშაობის (სადაზღვევო) სტაჟსა და საშუალო ხელფასთან ერთად, პირდაპირ კავშირშია სწორედ ამ სადაზღვევო გადასახადების მოცულობასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის დაზღვევა წარმოადგენს პირის უმუშევრად ყოფნის და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების (ხელფასის) უქონლობის პერიოდში მისი ფინანსური საჭიროებების უზრუნველყოფის ქმედით სადაზღვევო მექანიზმს. სადაზღვევო თანხის ოდენობა პირდაპირ კავშირშია მუშაობის გარკვეულ პერიოდში დასაქმებულის საშუალო ხელფასის სიდიდესა და სადაზღვევო შენატანების მოცულობასთან, ხოლო გაცემის პერიოდი (ხანგრძლივობა) უკავშირდება ახალი სამსახურის დაწყების, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლის (ფრიქციული უმუშევრობის) პერიოდს, ასევე სამუშაოს მოძიების გონივრულ ვადას, გადამზადების პერიოდს და სხვა. ასე რომ, სადაზღვევო მექანიზმი უზრუნველყოფს პირის უმუშევრად ყოფნის პერიოდში ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლების ჩანაცვლებას, კომპენსაციას, რომლის დაფინანსებაც ხდება სპეციალური სადაზღვევო ფონდებიდან. რაც შეეხება უმუშევრებისათვის სოციალურ შემწეობას/ დახმარებას, იგი, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და უმუშევრად დარჩენილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს. შემწეობა სამსახურის უქონლობით განპირობებული ფინანსური დახმარებაა და უმუშევარი პირისა და მასზე დამოკიდებული ოჯახის წევრების სიღარიბისგან დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია“ [<http://gtuc.ge/wp-content/uploads/2018/11/>]. შემწეობის/დახმარების სიდიდე ხშირ შემთხვევაში ლიმიტირებულია და საარსებო მინიმუმის სიდიდესთანაა დაკავშირებული, უმუშევ-

რობის დაზღვევისაგან განსხვავებით, იგი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

დასკვნა

1. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სოციალური დაცვის, უმუშევრობისა და საერთოდ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების მიზნით სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს მიზანმიმართულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გამოვყოთ როგორც ზოგადი მაკროეკონომიკური, ისე კონკრეტულად შრომის ბაზრის სრულყოფის ღონისძიებები. ამასთან, უმუშევრობის პრობლემების დარეგულირების მიზნით სახელმწიფო შრომის ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს დასაქმების პასიურ და/ან აქტიურ პოლიტიკას. აქტიური პოლიტიკის მიზანია უმუშევართა სტაბილური და ეფექტიანი დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, შრომის ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება. ხოლო პასიური პოლიტიკა მიზნად ისახავს უმუშევრების კეთილდღეობის შენარჩუნებას, სამუშაოს გარეშე დარჩენილი მოქალაქეებისთვის უმუშევრობის ნეგატიური სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური შედეგების მინიმუმამდე შემცირებას. სწორედ ამიტომ, პასიური პოლიტიკის ტიპურ ინსტრუმენტებს ძირითადად უმუშევრობის დაზღვევა და ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკის ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით განვითარებულ ქვეყნებში შექმნილია დასაქმების საჯარო სამსახურები და უმუშევრობის დაზღვევის მოქნილი და დახვეწილი სისტემები, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავებულია ცალკეული ქვეყნების მიხედვით. განსხვავებები თავის მხრივ, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობითა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მართვის თავისებურებებითაა განპირობებული.

2. უმუშევრობის დაზღვევის სისტემის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება შრომის ბაზრისა და დასაქმების პასიური პოლიტიკის (PLMP) ფარგლებში. უმუშევრობის დაზღვევის პროგრამით განსაზღვრული გასაცემი თანხის ოდენობა, დანიშვნის წესი, გაცემის ვადა და სხვა პირობები მკაცრად განისაზღვრება ცალკეული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, ბევრ ქვეყანაში მისი ხანგრძლივობა ძირითადად დაკავშირებულია სამუშაოს მოძიების გონივრულ ვადასთან, ფრიქციული უმუშევრობის ხანგრძლივობასთან, უმუშევრის გადამზადების პერიოდთან.

3. დასაქმების მოტივაციის შენარჩუნების მიზნით, უმუშევრობის დაზღვევის ფარგლებში გაცემული თანხა მუშაობის პერიოდში პირის მიერ მიღებულ საშუალო ხელფასზე ნაკლებია და მის მიმართ გარკვეული პროცენტული მაჩვენებლის დონეზე დიფერენცირდება.

4. უმუშევრობის პერიოდში შემწეობა შესაძლებელია გაიცეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალური მიზნობრივი ფონდებიდან. ეს უკანასკნელი ფორმირდება სხვადასხვა გადასახადებისაგან, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, იხდიან როგორც დასაქმებულები, ასევე დამსაქმებლები.

5. ევროპის ქვეყნებში აპრობირებული სისტემები ცხადყოფს, რომ უმუშევრობის დაზღვევა მოქალაქის უმუშევრად ყოფნის და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების (ხელფასის) უქონლობის პერიოდში, მისი ფინანსური საჭიროებების

უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმია, რომელიც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლების კომპენსაციას.

6. მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, გადაუდებლად საჭირო საქმედ მიგვაჩნია ქვეყანაში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დანერგვაზე მუშაობის დაწყება. რასაკვირველია, გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სისტემის ჩამოყალიბება მოკლევადიან პერიოდში ვერ მოხერხდება, მაგრამ საკითხის გადადება, ვთვლით, რომ მეტად საზიანო იქნება. როგორც სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, დაზღვევის სისტემაში არსებითია რომ უმუშევრობის პერიოდში გასაცემი შემწეობის ოდენობა დასაბუთებულად დაუკავშირდეს საშუალო ხელფასის სიდიდესა და სადაზღვევო შენატანების მოცულობას, ხოლო გაცემის პერიოდი - ახალი სამსახურის მოძიების ვადას, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლის ხანგრძლივობას და უმუშევარი პირის გადამზადებისთვის საჭირო დროს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევრობის დაზღვევის სისტემის სრულფასოვანი სამართლებრივი ბაზის არსებობისათვის მიზანშეწონილი იქნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N102 კონვენციის „სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური ნორმების შესახებ“ (დამტკიცდა შსო-ის კონფერენციის მიერ ქენევაში 1952 წლის 04 ივნისს) [C102, 1952 (No. 102). (ilo.org)] რატიფიცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ახესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. (2) (PDF) ეკონომიკური (researchgate.net).
2. **დიაკონიძე ანა.** „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში - ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“. სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2018. გვ.11. Ana Diakonidze.pdf (tsu.ge).
3. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. თბილისი 2017წ. გვ.3. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში (gruni.edu.ge).
4. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. უმუშევრობის რეალური ფასი საქართველოში. Report_GEO.indd (osgf.ge).
5. **პაპავა ვ.** კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი 2020. <https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html>.
6. უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა. საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანება. ნოემბერი 2018წ. (gtuc.ge).
7. **ცარციძე მ.** შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Economics and Business” ტომი XI, N2, 2019წ. ISSN 1987-5789. გვ. 16-37. <http://eb.tsu.ge/?leng=ge>.
8. საქართველოს რესპუბლიკის კანონი N185 „დასაქმების შესახებ“, თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი.

9. **Abesadze Ramaz**, Globalization and the economic problems of the pandemic. “*Ekonomisti*” N2, 2020. P. 21-31. 2 2020 ekonomisti.pdf (tsu.ge).
10. **Alcock, P., May, M., & Wright, S.** (Eds.). (2012). *The Student's Companion to Social Policy*. London: WILEY-BLACKWELL. 2012. *The Student's Companion to Social Policy*, 5th Edition | Wiley.
11. Employment database-Labour market policies and institutions. Employment database - Labour market policies and institutions-OECD; COVERAGE AND CLASSIFICATION OF OECD DATA FOR PUBLIC EXPENDITURE AND PARTICIPANTS IN LABOUR MARKET PROGRAMMES. <https://www.oecd.org/els/emp/Coverage-and-classification-of-OECD-data-2015.pdf>.
12. C102 - Social Security (Minimum Standards) Convention, 1952 (No. 102). (ilo.org).
13. **Ingrid Esser, Tommy Ferrarini, Kenneth Nelson, Joakim Palme & Ola Sjöberg**. Unemployment Benefits in EU Member States. Unemployment benefits in EU Member States_29-08-2013-Final checked.pdf.
14. Unemployment benefits in Germany in 2021, 2020: the amount and types of benefits for the unemployed citizens and migrants. Unemployment benefits in Germany as of 2021, 2020: amount, awarding the allowance (ru-geld.de).
15. OECD.Stat. Public expenditure and participant stocks on LMP (oecd.org).
16. **Sergio Destefanis, Matteo Fragetta, Nazzeno Ruggiero**. active and passive labour-market policies: the outlook from the beveridge curve. Università degli Studi di Salerno Dipartimento di Scienze Economiche e Statistiche Via Giovanni Paolo II, 132 – 84084; Fisciano (SA) – Italy. ISSN: 1971-3029 Publication date: June 29th, 2020. P. 17. 3_239 (1).pdf.
17. Social Policy Indicators (SPIN). SPIN (su.se).
18. **Silagadze Avtandil, Atanelishvili Tamar, Silagadze Nodar**. Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 14, no. 1, 2020. P. 175-176. http://science.org.ge/bnas/t14-n1/27_Silagadze_Economis.pdf.
19. **Tukhashvili M. Shelia M.** Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. (2020). Материали Международного научно-практического форума по социальным и поведенческим наукам. Россия.
20. **Tukhashvili M. Shelia M.** Expected Emigration of Students from Georgia. (2020). *j. Ecoforum*. Volume 9, Issue 2(22).
21. **Tukhashvili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M.** Emigration Intentions Of Students Of Higher Education Institutions Of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). *European Journal of Humanities and Social Sciences*. Scientific journal. Vienna. Premier Publishing. №3 2018. P.132-140. ISSN 2414-2344. <https://ppublishing.org/journals/769/>. <http://eprints.tsu.ge/1045/1/>.
22. **Tsartsidze M. (2018)**. Unemployment and the effective employment problems in Georgia under the modern globalization terms. Institute of Researches and International Symposiums IRIS-ALKONA. Latvia. Journal of International Economic Research. ISSN 2500-9656. Volume 4. No.1. <http://irissymposium.wixsite.com/website>.
23. Выше среднего по ЕС: Eurostat оценил уровень безработицы в Латвии. | Экономика | Baltnews - новостной портал на русском языке в Латвии, Прибалтика, сводки событий, мнения, комментарии.
24. **Конвенция N 102 Международной организации труда "О минимальных нормах социального обеспечения" (Заключена в г. Женеве 28.06.1952).** (consultant.ru).
25. Пособие по безработице по-новому: как получить, кому и сколько (ПОШАГОВО). <https://gorod.lv/novosti/319085-posobie-po-bezrobotitse-po-novomu-kak-poluchit-komu-i-skolko-poshagovo>.

26. **Царцидзе М. Лацабидзе Н.** Структурные и отраслевые особенности рынка труда и занятости населения в Грузии. Structural and sectoral features of the labor market and employment in the Georgia. Social and labor research. 2020;38(1):153-163. DOI: 10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163. “Социально-трудовые исследования”. Научно-практический журнал. страница 153-163. <https://www.vcot.info/magazine>.

Murman Tsartsidze

Doctor of Economic Sciences

Associate Professor, Faculty of Economics and Business

Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Natela Latsabidze

Academic Doctor, Head of Department of Human Resources

Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Shota Gabadadze

Student of Economic and Business

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

UNEMPLOYMENT INSURANCE SYSTEM IN DEVELOPED COUNTRIES

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Tsartsidze.Latsabidze.Gabadadze

Expanded Summary

Analyzed in the work peculiarities of functioning the unemployment insurance system in economically developed countries. In this field has been studied the international practice of administration, rated the amount of allowance issued under the unemployment insurance mechanism, appointment prerequisites, period of issuance and duration, sources of funding formation, legislative bases of regulation. The focus is about, context of the global financial and economic crisis caused by the pandemic, about changes in the unemployment insurance mechanism, in a separate country. Substantiated the necessity of forming an unemployment insurance system in Georgia and expediency of sharing best practices tested abroad – considering of the country socio-economic development and the peculiarities of the functioning labour market.

Key words: Labour market, active and passive politic, insurance of unemployment, allowance, social help, employment policy.

In developed countries, the state is actively implementing targeted macroeconomic policy for social protection of the population, to regulate unemployment and social-labour relations in general, within which it stands out as a general macroeconomic, also specifically perfection measures of labour market. However, for problems of unemployment and regulatory purposes the state pursues a passive and/or active employment policy through relevant institutions and instruments of the labour market. The goal of active policy is planning and realization of unemployed stable and effective employment support measures, improving the efficiency of the functioning of labour market. Passive policy is aimed to maintain the welfare of the unemployed, to reduction a minimum results negative social of unemployment, economic and psychological for citizens left without a job. That's why the main instruments of passive policy is unemployment insurance and ensuring early retirement. Accordingly, in developed countries for the effective realization of this policy created public employment services and flexible and

improved unemployment insurance systems, which are somewhat different in terms of individual countries. The differences are conditioned with the current situation in the labour market and managing of social-labour relations. Management and administration of unemployment insurance system is carried out within labour market and passive policy (PLMP). Amount to be paid under the unemployment insurance program, appointment rule, term of issue and other conditions are strictly defined by the relevant legislation of an individual country. In particular, in many countries, its duration is mainly related to a reasonable time to find a job, duration of frictional unemployment, with a period of unemployment training.

In order to maintain employment motivation, amount issued within the framework of unemployment insurance is less than the average salary received by a person during the period of work and it is differentiated at a certain percentage level.

Unemployment benefits can be issued from the state budget, or from special targeted funds. This formed from various taxes, which are often paid by both employees and employers. Proven systems in European countries show, that unemployment insurance for a citizen being unemployed and consequently, in the absence period of remuneration (salary), is an effective mechanism for its financial needs, which significantly compensates for unearned income in the form of salary.

By the authors, according to the experience of many countries, start working on the introduction of the unemployment insurance system in Georgia is considered an urgently needed case. Based on the practical analysis experience of different countries, substantiated that it is essential in the insurance system, that the amount of allowance to be paid during the period of unemployment should be related to the average wage and the volume of insurance premiums, but the issuance period - deadline for finding a new job, the duration of the transition from one job to another and time required for retraining of an unemployed person. It is emphasized that, for the existence of a full-fledged legal basis for the unemployment insurance system ratification of convention N102 „Minimum Norms of Social Security" (approved by ILO in Geneva on 04 June 1952) [C102, 1952 (No. 102). (ilo.org)] International Labour Organization is advisable.

ეკატერინე შაინიძე

ფინანსების დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

**საგადასახადო ორგანოთა მიერ გადამხდელთა ინფორმირების მექანიზმის
გავლენა საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებაზე**

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.SHAINIDZE

ანოტაცია. საგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში მნიშვნელოვან როლი აკისრია საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. ამ ურთულესი მექანიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია გადამხდელთა ინფორმირება, რომელიც დაბალი საგადასახადო კულტურის მქონე გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების დონის ამღლებადი მასტიმულირებელ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს. ამდენად, კვლევის მიზანია საქართველოში გადამხდელთა ინფორმირების საშუალებების ეფექტიანობის შეფასება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ინფორმირების უფრო ეფექტიანი საშუალებები ხელმისაწვდომია ძირითადად მაღალშემოსავლიანი ან/და მაღალი საგადასახადო კულტურის მქონე გადამხდელებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გადამხდელთა ინფორმირება, საგადასახადო კულტურა, არსებული ბერკეტების ეფექტიანობა, ადმინისტრირების გაუმჯობესება.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმებს შორის მნიშვნელოვანია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის არსებობა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მუდმივ ამოცანას სწორედ აღნიშნული სისტემის დახვეწა და გამართვა წარმოადგენს, რათა მიღწეული იქნას ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირება და საგადასახადო შემოსავლების ზრდა. ამ მიზნების მიღწევაში უმთავრესი როლი აკისრია საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გადამხდელთა ინფორმირება. აღნიშნულ ბერკეტს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია განსაკუთრებით დაბალი საგადასახადო კულტურის მქონე გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ საგადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ჩვენს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ სათანადო ინფორმაციის არქონაა. კვალიფიციურ საბუღალტრო მომსახურების შეძენისაგან კი ისინი თავს იკავებენ. ამდენად, საინტერესოა გადამხდელთა ინფორმირების არსებული სისტემის ანალიზი და მისი ეფექტიანობის შეფასება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადამხდელთა ინფორმირების საშუალებები და მათი ეფექტიანობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ გადასახადების ადმინისტრირებას. საგადასახადო ორგანოთა ვალდებულებებიდან გადამხდელთა ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი ორი პუნქტი:

- დადგენილი წესით განიხილონ გადასახადის გადამხდელის წერილები, საჩივრები და შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ მიაწოდონ მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

- ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცენ მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ კონსულტაციები და განმარტებები.

სხვადასხვა საკანონმდებლო სიახლეების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები გადამხდელს შემოსავლების სამსახურის მიერ ეგზავნებათ ელექტრონულად პირად გვერდზე. შემოსავლების სამსახურის ორგანიზებით, ასევე, გადამხდელისთვის იმართება ღია კარის დღეები, სამუშაო შეხვედრები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით), სადაც განიხილება საკანონმდებლო სიახლეები. გარდა აღნიშნულისა, შემოსავლების სამსახური წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე გადამხდელს სთავაზობს მოძრავი სერვისცენტრის მომსახურებას, სადაც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა საგადასახადო საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობის მიზნით გადამხდელს წინასწარ ეგზავნებათ ელექტრონული შეტყობინებები კონკრეტული ლოკაციის მითითებით, ძალიან დაბალია მათი აქტიურობა. შემოსავლების სამსახურის წლიურ ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მიხედვით მოძრავი სერვისცენტრის მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენდა 9094-ს, 2019 წელს - 8692-ს, 2020 წელს კი - 7401-ს.

ზემოთაღნიშნული ანგარიშების თანახმად, გადამხდელთა ინფორმირების მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები, როგორცაა ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, პრესა, სოციალური ქსელები. დისტანციურ მომსახურებაზე გადასვლასთან ერთად განახლდა საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი. საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინტეგრირდა საკომუნიკაციო არსების შემდეგი სახეები: ონლაინ ჩათი, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი, ავტომატური გადარეკვის ფუნქციონალი, ვირტუალური კონსულტანტის ფუნქცია. 2020 წელს განახლდა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდი, სადაც სპეციალური სივრცე დაეთმო საკანონმდებლო სიახლეებს, რომელიც ვებ-მომხმარებლებს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რეგულაციებს. შემოსავლების სამსახურის 2020 წლის წლიური ანგარიშის თანახმად, შემუშავდა კანონთან შესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები, რომელთა სრულად დანერგვა 2021 წელს იგეგმება. აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებს გადამხდელთა საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო შეუსაბამოების შესახებ მათ ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდების სამ საშუალებას: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ განმარტება, საჯარო გადაწყვეტილება და წინასწარი გადაწყვეტილება.

გადასახადის გადამხდელს შეიძლება გაეგზავნოს წერილობითი განმარტება საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს რეკომენდაციას და არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. აღნიშნული გარემოება შეიცავს რისკს, რაც საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელთა მიერ განმარტების გაცემისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში შეიძლება გამოვლინდეს. სწორედ ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა რეკომენდაცია არ იყოს კანონმდებლობის დაცვით შედგენილი, რაც, რა თქმა უნდა, აუარესებს გადამხდელის მდგომარეობას მისი სწორად ინფორმირების ნაცვლად. გარდა აღნიშნულისა, განმარტებებში ძირითადად საგადასახადო კანონმდებლობის ზოგადი დებულებებია მითითებული, რაც ისედაც ხელმისაწვდომია გადამხდელისათვის. მაშასადამე, ინფორმირების აღნიშნული მეთოდი გადამხდელისთვის კანონმდებლობის ბუნდოვანი მუხლების განმარტების თვალსაზრისით ეფექტიან საშუალებას არ წარმოადგენს.

საჯარო გადაწყვეტილება გამოიცემა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. იგი ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან და მოქმედებს უვადოდ ან მასში მითითებული ვადით. ინფორმირების აღნიშნული მეთოდის გამოყენება საგადასახადო ორგანოს ინიციატივით ხდება და იგი არ მიეკუთვნება ფასიან მომსახურებას. თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და დამატებით გადასახადის/სანქციის დარიცხვა. საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ნორმების ერთგვაროვანი განმარტება და გაგება, არსებულისაგან განსხვავებული დაბეგრის ან/და სამართალდარღვევისათვის სანქციის გამოყენების პრინციპის/მეთოდის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება. მაშასადამე, აღნიშნული საშუალების სწორად, დროულად და ხშირად გამოყენება მართლაც გაზრდის გადამხდელთა ინფორმირების დონეს. მიღებული საჯარო გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუმცა, დღეის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მხოლოდ ოთხი საჯარო გადაწყვეტილებაა გამოცემული, მათ შორის 2018 წელს - ორი, 2019 წელს - ერთი და 2020 წელს - ერთი. აღსანიშნავია, რომ ინფორმირების აღნიშნული საშუალების მარეგულირებელი ნორმები საგადასახადო კოდექსში 2010 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა. თითქმის 11 წლის განმავლობაში კი მისი მხოლოდ ოთხჯერ გამოყენება ამცირებს აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობას.

რაც შეეხება წინასწარ გადაწყვეტილებას, იგი გამოიცემა გადამხდელის მომართვის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით და ეხება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებულ ანგარიშგების წესებს ან/და შესასრულებელ საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებებს, ასევე, იმ მოსაკრებელთან დაკავშირებულ ანგარიშგების წესებს ან/და შესასრუ-

ლებელ ვალდებულებებს, რომლის ადმინისტრირებასაც საგადასახადო ორგანო ახორციელებს.

წინასწარი გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც ის იქნა გამოცემული. ამასთან, წინასწარ გადაწყვეტილებაში უნდა მითითოს საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც იქნა იგი მიღებული. დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის ან/და სანქციის დარიცხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა მიეკუთვნება შემოსავლების სამსახურის მიერ გასაწევ ფასიანი მომსახურებების რიცხვს და მისი საფასური რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის შეადგენს 5000 ლარს, ხოლო სხვა გადამხდელებისათვის კი - 10000 ლარს. ამდენად, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მხოლოდ მაღალშემოსავლიანი გადამხდელებისთვისაა ხელმისაწვდომი, დაბალშემოსავლიან გადამხდელებს კი კანონმდებლობა უფასო, სარეკომენდაციო ხასიათის, იურიდიული ძალის არმქონე განმარტებებს სთავაზობს. მაშასადამე, სახელმწიფო გარკვეული შემოსავლის მიღების სანაცვლოდ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს კონკრეტულ გადამხდელს, გამოსცემს მისთვის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს წინასწარი გადაწყვეტილების სახით, რომლითაც სარგებლობა მხოლოდ მას შეუძლია. აღნიშნული წესი არღვევს დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს და საერთო წესების ნაცვლად სუბიექტური მიდგომების დამკვიდრებას უწყობს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული იდენტური ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება გამოიცეს განსხვავებული წინასწარი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 46¹, მე-8 ნაწილი) უშვებს გარემოებას, როცა საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს და ამ შემთხვევაში გადამხდელს უფლება აქვს იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ ერთ-ერთი გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტი, ასევე, ეჭვქვეშ აყენებს საგადასახადო კანონმდებლობის ობიექტურობას.

წინასწარი გადაწყვეტილების მარეგულირებელი ნორმებიც 2010 წლის 1 აგვისტოდან არის ამოქმედებული. მისი ეფექტიანობის შეფასების მიზნით დავინტერესდით ამოქმედებიდან დღემდე გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების რაოდენობითა და ძირითადი თემატიკით, რისთვისაც გამოვითხოვეთ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან. აღნიშნული უწყების მიერ მოწოდებული წერილის თანახმად, სულ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების რაოდენობა შეადგენს 611-ს, ხოლო კონკრეტული საკითხების მიხედვით კლასიფიცირებაზე კი ოპერაციათა მრავალფეროვნებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მოკლებული შესაძლებლობების გამო უარი მივიღეთ. თუმცა, შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოცემულ წინასწარ გადაწყვეტილებებში ჭარბობს საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის საკითხები. ინფორმირების აღნიშნული საშუალების გამოყენების მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია (აქტიურ გადამხდელთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში მაჩვენებელი შეადგენს 0,07 %-ს).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებასაც. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღების მიზან-

ნია გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრულ უფლებათა განხორციელებისას და დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებისას საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირადი საგადასახადო მრჩეველი არის საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც გადასახადის გადამხდელს უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მომსახურებას. პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურება არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრას. ამასთან, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-16 მუხლი განსაზღვრავს პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურების სახეებს:

ა) გადასახადის გადამხდელისთვის ინფორმაციის მიწოდება საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე;

ბ) გადასახადის გადამხდელისთვის კონსულტაციის გაწევა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

გ) საგადასახადო ანგარიშგების ფორმების (დეკლარაცია, გაანგარიშება, ცნობა) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, მათ შორის, მათი შევსების ტექნიკურ საკითხებზე დახმარების გაწევა, გარდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრისა;

დ) გადასახადის გადამხდელის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებსა და შემოწმების აქტებთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;

ე) საჯარო ინფორმაციის მოძიებაში დახმარების გაწევა, მათ შორის, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის გაცნობა;

ვ) გადასახადის გადამხდელის ინფორმირება კუთვნილი საგადასახადო შეღავათის შესახებ და შესაბამისი მტკიცებულებების (დოკუმენტების) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის ხელშეწყობა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადავადებული (მათ შორის, რესტრუქტურისებრი) საგადასახადო დავალიანების გადასახადის გადამხდელის მიერ დროული შესრულების მონიტორინგი;

თ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხორციელების მონიტორინგი;

ი) გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებული საგადასახადო ვალდებულების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის გაკონტროლება;

კ) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის პროცედურის განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის წერილობითი შეკითხვების განხილვისა და პასუხების გაცემის მონიტორინგი;

მ) საგადასახადო ორგანოდან საგადასახადო ანგარიშგების ფორმების, ასევე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტების და აქციზური მარკების მიღების ხელშეწყობა;

ნ) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის შემთხვევაში, გასატარებელი პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

ო) ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანის პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

პ) ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის გაფორმების პროცედურების წარმართვის ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ მომსახურებების ზემოთაღნიშნული ჩამონათვალი გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობას განაპირობებს, პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებაც ფასიანია და ფიზიკური პირებისათვის ერთწლიანი სერვისის საფასური შეადგენს 500 ლარს, ახლად რეგისტრირებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის - 1000 ლარს, დანარჩენი გადამხდელისთვის კი - 3000 ლარს.

პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება მართლაც წარმოადგენს გადამხდელთა ინფორმირების ეფექტიან საშუალებას, თუმცა, შემოსავლების სამსახურის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ დაბალია აღნიშნული სერვისით სარგებლობის მაჩვენებელიც. 2017 და 2018 წლებში აღნიშნული სერვისით ისარგებლა 300-მდე მსხვილი და საშუალო ბიზნესის წამომოადგენელმა, 2019 წელს გაჩეული მომსახურების რაოდენობა შეადგენს 21900-ს, ხოლო 2020 წელს კი - 23090-ს. მაშასადამე, აქტიურ გადამხდელთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით (დაახლოებით 900 000) მისი მხოლოდ 2,4-2,5% სარგებლობს ინფორმირების აღნიშნული ფასიანი საშუალებით.

საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე შემუშავებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები - ინსტრუქციები, რომლებიც გამოქვეყნებულია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. თუმცა, ხშირად ინსტრუქციაშიც იგივე ზოგად განმარტებას ამოვიკითხავთ, რასაც საგადასახადო კოდექსში და იგი არ შეიცავს უფრო მეტ ინფორმაციას ამა თუ იმ ნორმაზე, რაც გადამხდელს დაბეგვრის კონკრეტული წესის უკეთ გაგებაში დაეხმარება.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა სამეურნეო ოპერაციის ზუსტი შესაბამისობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კონკრეტული მუხლთან რთულია ამ უკანასკნელის არასაკმარისი განმარტების გამო. შემოსავლების სამსახურის მიერ ცალკეულ მუხლებზე კომენტარების შემუშავება საკმაოდ ეფექტიანი საშუალებაა გადამხდელთათვის საგადასახადო ვალდებულებების კანონმდებლობის დაცვით შესრულების უზრუნველყოფის პროცესში. კომენტარები ქვეყნდება როგორც შემოსავლების სამსახურის, ისე საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე და მასში კონკრეტული მაგალითების საფუძველზე არის განმარტებული კანონის კონკრეტული ნორმები. თუმცა, გადამხდელთათვის ხელმისაწვდომი კომენტარები ჯერჯერობით საგადასახადო კოდექსის მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესახებ არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მათი შემუშავება სხვა მუხლების უკეთ განმარტების მიზნითაც.

დასკვნა

მაშასადამე, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტის - გადამხდელთა ინფორმირების საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული ყველაზე ეფექტიანი საშუალებები მორგებულია ძირითადად მსხვილ (მაღალმემოსავლიან) გადამხდელებზე და ნაკლებად შეიცავს საშუალო და მცირე გადამხდელთა მხარდაჭერის ბერკეტებს, რითაც ირღვევა ინფორმირების საყოველთაოობის, სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპები. ინფორმირების უსასყიდლო საშუალებები კი ან არაეფექტიანია, ან დაბალია გადამხდელთა აქტიურობის მაჩვენებელი. შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით კი ძირითადად მაღალი საგადასახადო კულტურის მქონე გადამხდელები სარგებლობენ, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა ქვეყანაში. ამასთან, სახელმწიფო ფაქტიურად არ იყენებს ინფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უსასყიდლო ბერკეტს საჯარო გადაწყვეტილებების სახით. მასასადამე, ინფორმირების არსებული საშუალებები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად და ადმინისტრირების ამ უმნიშვნელოვანი ელემენტის ეფექტიანობის გასაზრდელად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

- საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემის პრაქტიკის დამკვიდრება და განვითარება, რითაც ყველა ტიპის გადამხდელი უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი შესაძლებლობით, კანონმდებლობის დაცვით განახორციელოს საქმიანობა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულება;

- წინასწარი გადაწყვეტილებისა და პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურების უფასოდ შეთავაზება ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის პირველი ორი წლის განმავლობაში, რაც ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებულ საქმიანობას მოაქცევს სწორ საკანონმდებლო ჩარჩოებში და დაეხმარება მას განვითარების გზების სწორად მოძიებაში;

- ინტეგრირებული კომუნიკაციის საშუალებების პოპულარიზაციის ამაღლება, რათა გაიზარდოს გადამხდელთა მიერ მათი გამოყენების მაჩვენებელი;

- შემოსავლების სამსახურის განმარტებების გამოცემა საგადასახადო კოდექსის უფრო მეტ ნორმასთან დაკავშირებით, რაც პრაქტიკულ მაგალითებზე კონკრეტული მუხლის მისადაგებით ყველაზე უკეთ ეხმარება გადამხდელს დაბეგვრის წესების სწორად გაგებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში;

- საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრება, რათა შემცირდეს გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევები და ამაღლდეს საგადასახადო კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შაინიძე ე., 2017. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრირების ადგილი ფისკალურ პოლიტიკაში და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ბათუმი, „გამომცემლობა აჭარა“;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ) - კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. 3 იანვარი, 2011. კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ

მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“. 31 მარტი, 2010. კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;

5. შემოსავლების სამსახურის 2017 წლის ანგარიში, განთავსებულია ელ. მისამართზე https://rs.ge/RsGe.Module/GetDoc/Get_File?doc_id=10440;
6. შემოსავლების სამსახურის 2018 წლის ანგარიში, განთავსებულია ელ. მისამართზე https://rs.ge/RsGe.Module/GetDoc/Get_File?doc_id=10601;
7. შემოსავლების სამსახურის 2019 წლის ანგარიში, განთავსებულია ელ. მისამართზე https://rs.ge/RsGe.Module/GetDoc/Get_File?doc_id=10792;
8. შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიში, განთავსებულია ელ. მისამართზე https://rs.ge/Media/Default/Docs/%E1%83%A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020_GE.pdf;
9. შემოსავლების სამსახურის განმარტებები, განთავსებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე <https://matsne.gov.ge>;
10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილებები, განთავსებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე <https://matsne.gov.ge>.

Ekaterine Shainidze

*Doctor of Finance, Assistant Professor of Batumi
Shota Rustaveli State University*

IMPACT OF TAXPAYER INFORMATION MECHANISM BY TAX AUTHORITIES ON TAX OBLIGATIONS

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.SHAINIDZE

Expanded Summary

One of the important components in the tax administration system is informing the taxpayers by the tax authorities. According to the Tax Code of Georgia, the obligations of the tax authorities clearly define the list of measures to be taken by them to inform the taxpayers. The aim of the research is to review, analyze, evaluate the effectiveness of the means defined by the law on taxpayers in Georgia and to develop relevant recommendations.

Georgian tax legislation defines three main means of informing the taxpayer: a written explanation, a public decision and a preliminary decision.

A written explanation has a recommendatory nature, besides it has no binding legal force and, therefore, it is not an effective means of informing taxpayers that will be guarantee for the taxpayer to proper fulfillment of tax obligations.

The public decision is issued by the order of the Minister of Finance, it promotes uniform approaches to the issue under consideration, therefore it has binding legal force and so it is indeed an effective means of informing, but in spite of it there have been only four public decisions issued so far. Thus, the state does not actually use this important tool to improve tax administration.

The issuance of a preliminary decision is initiated by the taxpayers themselves, it has binding legal force and can make a significant contribution to the proper fulfillment of tax obligations, but it is an expensive service and thus it is less accessible for low-income taxpayers.

Among the means of information there is also a service of a personal tax advisor, who helps the taxpayers in the proper fulfillment of tax obligations, but it is not free service so and the rate of use of this service by taxpayers is quite low.

Various instructions and methodological guidelines are issued by the Minister of Finance and Revenue Service of Georgia to inform taxpayers, but they do not contain detailed explanations of the vague articles of the Code.

In recent years, the Revenue Service has intensively used the modern means of electronic communications, open house days, mobile service center services at various locations, and the taxpayers are informed in advance about all of these, however, the activity of taxpayers in these events is very low. Electronic means of communication are mainly used by taxpayers with high tax culture, the number of which is quite low in our country.

Based on the results of our research, we consider that the most effective means of informing taxpayers is the publication of official explanations by the Revenue Service on various aspects of the Tax Code, which are published on the website of the Legislative Herald of Georgia. It explains various legislative norms using practical examples. However, this method is used only in relation to a few articles of the Code so far.

Thus, the most effective means of informing taxpayers provided by Georgian legislation are mainly adjusted to large (high-income) taxpayers and contain less leverage to support medium and small taxpayers, thus violating the principles of universality, fairness and efficiency of information. Free media is either ineffective or has a low taxpayers activity rate.

We can say that the existing means of information do not have a significant impact on the proper fulfillment of tax obligations by taxpayers. In our opinion to take the following measures to remedy this situation and increase the effectiveness of this essential element of administration is important:

- To establish and develop the practice of issuing public decisions, thus ensuring that all types of taxpayers have equal opportunities to carry out their activities and fulfill their tax obligations in compliance with the legislation;
- To offer free pre-decision and personal tax advisor services to the newly registered taxpayers for the first two years, bringing incubator activities within the right legal framework and helping them to find the right development path;
- To increase the popularization of integrated media to increase the rate of their use by taxpayers;
- To issuance of explanations of the Revenue Service in relation to more norms of the Tax Code, which best adapts a specific article to practical examples to help the taxpayer to properly understand and apply the rules of taxation.

Keywords: informing taxpayers, tax culture, efficiency of existing levers, improving administration.

ბიზნესი – BUSINESS

Evgeni Baratashvili

Professor, Georgian Technical University

Irma Baratashvili

Associate Professor at Caucasus International University

Leila Mamulashvili

Professor at Gori State University

INNOVATIVE ACTIVITIES IN MODERN BUSINESS

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.E.Baratashvili.I.Baratashvili.L.Mamulashvili

Annotation. *There is two understanding for the definition of innovation. In one case, Innovation is seen as the result of a creative process for new product (technics, technologies, methods etc); on the other case, as a newly made merchandise, elements, approaches and the process of introducing principles instead of existing ones. The main sign of innovation in the market economy is the novelty of its consumer properties. The concept of innovation extends to a new product or service, innovation in organizational, financial, scientific research and other fields, any perfection that ensures cost savings and creates the conditions for such savings.*

Innovation arises from the use of scientific research and development results aimed at improving the process of industrial activity as well as legal and social relations in the fields of education, science and culture.

Keywords: *Innovation, business, market economy, innovation process.*

Introduction

In a market economy, the systematic methodology for describing innovation is based on international standards, according to which recommendations were adopted in Oslo in 1992. Hence the name - "Oslo leadership". They are designed for technological innovation and include new products and processes as well as their significant technological changes. Innovation is considered essential if it is introduced in the market or in the manufacturing process. Accordingly, two types of technological innovation are distinguished: commodity and process.

Commodity innovation includes the introduction of new products or their improvement. Procedural innovation - the acquisition of new products, or their significant improvement. In the US, 1/3 of all innovation belongs to the process, and 2/3 to goods, in Japan - vice versa.

Innovation is closely related to scientific and technical progress, it comprises of its results. A basic innovation is distinguished, which realizes the great inventions and becomes the basis for the formation of a new direction of technology. Improving innovations are usually the implementation of small and medium-sized inventions that are successful in the scientific-technical cycle of diffusion and sustainable development. Pseudo-innovation (or rationalized innovation), which is aimed at partially improving outdated generation of technics and technology, it as usual slows down the technological process (they either do not give effect to society, or have a negative effect).

The introduction of a new product is defined as a basic commodity innovation. Such innovation is aimed at acquiring a new generation of machines and materials and is based on funda-

mentally new technologies. An example of a basic innovation is the replace LED-based indicators with liquid crystal-based indicators, or the replace the steam engine with a combustion engine.

Improved innovations refer to an existing product whose qualities and value characteristics have been significantly improved by using more efficient components and materials, with partial modifications to technical sub-systems (in the case of complex products).

The innovation process approach refers to a complex process that involves the development, introduction, and commercialization of new consumer values — goods, equipment, technology, organizational forms, and so on.

The objective-utilitarian approach to innovation is characterized by 2 main points. First, the object is perceived as an innovation - a new consumer value, based on the achievements of science and technology. Second, the focus is on its utilitarian side - to meet the needs of society with great beneficial effects.

Motives for introducing innovation for innovative production are divided into internal and external. An internal stimulus for innovative activity is the replacement of obsolete weapons by the rise of competing products in the market. In the conditions of underdevelopment of market relations, especially during the economic crisis. Crucial incentives for innovation are external incentives driven by the economic policy of the State.

The transition of the world economy to a new stage of scientific and technical development has required innovative activities and new approaches that combine knowledge and technology of the market. It is the innovation that becomes the mythical "acting person" of the realization of modern scientific and technical revolutions.

Innovative products are the result of the introduction of productive innovations. This is a new or improved product. Solid innovative products are the result of the introduction of project innovation. It will include products made on the basis of advanced experience through the introduction of new or improved production methods.

Innovation Process is the process of transforming scientific knowledge into innovation, which can be considered as a sequence of events in which innovation matures from an idea to a specific product, technology or service and extends to practical application.

Unlike scientific and technical progress, the innovation process does not end with the introduction, i.e. with the first appearance of a new product on the market, or with the design power of a new technology. This process is not stopped even after the introduction, because with diffusion, the novelty experiences perfection, becomes more efficient, acquires previously unknown consumer properties. This opens up to a new space of usage and market and, consequently, to new requirements that perceive a given product, technology or service as a new to itself.

The basis of the innovative process is the creation and acquisition of new technology. Technology - is a combination of material factors of production, in which human skills and new knowledge materialize. Technology involves the integration of techniques, methods and means of production and the conversion of natural products into industrial and household products. The process of creating new technology begins with fundamental research aimed at acquiring new scientific knowledge and revealing essential regularities. The purpose of fundamental research is to open new connections between events, to understand the patterns of development of nature and society.

The second stage in the process of creating and mastering the technique is applied research aimed at applying previously discovered events and processes. Its main purpose is to solve technical problems, to clarify unclear theoretical issues, to obtain specific scientific results, which will be further used in constructive works on the scientific-technical line.

The innovation process includes a cycle, starting from the development of a scientific-technical idea to its realization on a commercial basis. The main bases of innovation is realized by entrepreneurial structures in the market economy as a means of solving commercial and industrial tasks.

Innovative activities are aimed at applying and commercializing the results of scientific research, improving the quality of the product (goods, services), improving and further introducing technology, effective sales in domestic and foreign markets. Innovative activity is related to capital investments in innovation, it is an innovative-investment activity.

Innovative activities involve a whole range of scientific, technological, organizational, financial and commercial activities. Innovative activities are based on the scientific-technical trinity, which is closely related to the creation, development, dissemination and application of scientific and technical knowledge in all fields of science and technology.

High level of youth unemployment in Georgia is partly the consequence of inadequate cooperation between HEIs and employers. A significant part of the graduates of Georgian HEIs cannot find a job, or get one only after a long search. In addition, a significant number of the graduates consider that they do not work in the profession (horizontal mismatch). Even in case they work in the specialties mastered in HEIs, their qualification exceeds (vertical mismatch) the qualification required to perform the work.

The main problem accompanying the lack of cooperation between HEIs and employers is the fact that Georgian HEIs fail to develop the practical skills that are necessary to increase their competitiveness in the labor market. The research confirms that the higher education system provides a more or less adequate base for students in terms of theoretical knowledge, although the labor market suffers the lack of the practical skills the graduate need.

The difference in motivations and visions, bureaucracy of time and resources both in HEIs and employer organizations are considered by HEIs and employers as the factors that hinder cooperation between higher education institutions and employers in Georgia.

For enhancing cooperation between HEIs and employers in Georgia, it is necessary to establish the forms of cooperation that can help the parties to learn more about each other's future plans and take them into consideration; jointly develop specific forms and activities of mutually beneficial cooperation. Employers' associations, university associations, non-governmental organizations and state institutions should play an important role in the development of these platforms. The development of such platform should be supported by labor unions, university associations, non-governmental organizations and state institutions.

For enhancing the cooperation between the HEIs and employers in Georgia, the labor market requirements should be actually taken into consideration while development of academic programs by the HEIs. Despite the efforts by regulatory bodies, only the requirement of legislation that a program must be linked to labor market is not sufficient for HEIs to study the current and promising labor market requirements and develop their programs based on these requirements. A competitive environment needs to be created where cooperation becomes a key factor in competitiveness and HEIs will naturally start looking for ways to collaborate.

HEIs and employers should start active cooperation for commercialization of science. Conducting collaborative market-based research is one of the ways that can make the formal relations between HEIs and employers turn into mutually beneficial long-term partnership. Employment and internship programs for graduates should remain a topical area of cooperation between HEIs and employers.

The pandemic has caused many changes in both education and business sectors as well as in many other areas of public life. Naturally, the changes will affect cooperation between HEIs and employers, forms and directions of cooperation and models of cooperation. What exactly should be changed as a result of Covid-19's impact is the subject of a separate study. One thing that is certain even today is that no matter what changes take place, cooperation between HEIs and employers will not lose its relevance.

References

- Aroshvili, A. (2016) Human Rights Education and Monitoring Center; Antisocial Policy in Georgia: Education and the Labor Market.
- Lezhava, D., & Amashukeli, M. (2015). *A study of the relevance between the outcomes of academic programs and the demands of the labor market in the social sciences*. Tbilisi: Center for Social Sciences.
- Young Scientists Union Intellect (2016). *The study of the labor market*. Batumi. http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_788_1.pdf
- Law of Georgia on Higher Education; Law of Georgia on Development of Quality of Education and other regulation.
- M. Kvirikvaia, V. Kikutadze, D. Sikharulidze, Sh. Shaburishvili, V. Charaia (2018) "Study of Factors Affecting Young People's Professional Orientation in Georgia", *Globalization and Business*, <https://doi.org/10.35945/gb.2018.06.035>
- Ben Ansell; Jane Gingrich. *Mismatch: University Education and Labor Market Institutions*. doi:10.1017/S1049096516002948. Professional Symposium. ©American Political Science Association, 2017.
- Will Bartlett; Milica Uvalic; Niccolo Durazzi; Vassilis Monastiriotis; Tanguy Sene. *From University to Employment: Higher Education Provision and Labour Market Needs In the Western Balkans*. Synthesis Report. 2016.

- Radovic, M., & Djuraskovic, J. (2016). Mismatch between Education System and Labour Market Needs – Enabling Environment for Sustainable Enterprises in Montenegro. Podgorica: Montenegrin Employers Federation.
- Bartlett, W. (2013). Skill Mismatch, Education Systems, and Labour Markets in EU Neighbourhood Policy Countries. WP5/20 Search Working paper.
- University-business cooperation: adapting the curriculum and educational package to labor market requirements. Proceedings of the International Conference on Business Excellence, E. Manuela. Bucharest, Romania, 2017, page 342.
- The new face of university-business cooperation in Finland, M. Ranga, J. Perälampi, J. Kansikas, Science and Public Policy 43 (5): 601-612. Spe. Issue “Universities as interactive partners”.(2016),Page 3,10
- GTAI. (2019). <https://www.gtai.de/gtai-en/invest/business-location-germany/business-climate/dual-education-system-65348>;
- State of University and Business Cooperation in Poland, T. Davey, V. Galán-Muros, A. Meerman, T. Kusio, Science-to-Business Marketing Research Centre, apprimo UG and University Industry Innovation Network (UIIN), 2013, page 10.
- Make it Germany. (2019). https://www.make-it-in-germany.com/en/study_training/training/vocational/system

მურთაზ კვირკვაია
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი;
ვასილ კიკუტაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი;
ნათია დაღელიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი;
თამარ თავხელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ასისტენტი;
გივი გუჯარაიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ასისტენტი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის
თანამშრომლობა საქართველოში²¹

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Kvirkvaia.Kikutadze.Daghelishvili.Tavkhe
lidze.Gujaraidze

ანოტაცია. საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა განვითარების საწყის ეტაპზეა. თანამშრომლობის არასათანადო ხარისხი განაპირობებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. თანამშრომლობის ამჟამად არსებული პრაქტიკა დახვეწას და ეფექტიანი კოოპერაციის სხვა ასპექტების სრულყოფას საჭიროებს. კვლევამ ცხადყო, რომ განსხვავებული ხედვები, სტიმულები, ბიუროკრატის დონე და არასაკმარისი დრო საკმაოდ ხშირად არის თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორი. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ თანამშრომლობა რიგ შემთხვევებში არასისტემურია, ამასთან, ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს და სასურველ შედეგებს არ იძლევა. საქართველოში არსებობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის მრავალმხრივი წარმატებული თანამშრომლობის მაგალითებიც, თუმცა მათი რიცხვი მცირეა და ქვეყნის მასშტაბით თანამშრომლობის ხარისხზე ზეგავლენას ვერ ახდენს. კვლევის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ, უცხოური გამოცდილების შესწავლამ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ თანამშრომლობის მნიშვნელობა ყველა დაინტერე-

²¹ კვლევა განხორციელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ფუნდამენტური კვლევებისთვის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსების ფარგლებში. გრანტის NFR-18-6156

სებული მხარის მიერ ფართოდ არის აღიარებული. განათლებისა და მეცნიერების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს ერთობლივი კვლევების, აკადემიური პროგრამების განვითარებაში ჩართულობის, უწყვეტი განათლებისა და სხვა მიმართულებით, რაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეუსაბამობა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის ფორმები; კურსდამთავრებულთა დასაქმება; სტუდენტების პრაქტიკა და სტაჟირება; ცოდნის ტრანსფერი; ერთობლივი კვლევები და პროექტები; თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

შესავალი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების თანამშრომლობა ნებისმიერი საზოგადოების მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. როდესაც ამ ტიპის კოოპერაციის ხარისხი მაღალია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები ადვილად საქმდებიან მიღებული სპეციალობის მიხედვით და დამსაქმებლებს, თავის მხრივ, საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძენის მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ. ეფექტიან თანამშრომლობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინოვაციების დანერგვის, ერთობლივი პროექტებისა და კვლევების განხორციელების, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიმართულებით.

საქართველოს რეალობაში, ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე უმაღლესი განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის განვითარების მიმართულებით პერმანენტულად ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ეს ყოველივე, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობას, ხოლო, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს განათლების სისტემის შესაბამისობას თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებთან. თუმცა, ამ მიმართულებებით ჯერ კიდევ მრავალი გადაულახავი პრობლემა და დაბრკოლება არსებობს, რაც საჭიროებს გამოვლენას, შეფასებას და გადაჭრის მექანიზმების მოძიებას.

საქართველოს კანონმდებლობა²² განათლების სფეროში უმაღლესი სასწავლებლებისგან სტუდენტებისათვის სათანადო პრაქტიკული და თეორიული განათლების მიცემას და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას მოითხოვს. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის პრაქტიკაში განხორციელება, მრავალი მიზეზის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ თუ ხორციელდება. ხშირად უმაღლესი სასწავლებლების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები და კურსდამთავრებულთა რაოდენობები არ არის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ვერ ითვალისწინებს დამსაქმებლის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებს. შრო-

²² საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მის ბაზარზე მოთხოვნის კომპონენტების ცალკეულმა კვლევებმა²³ დაადასტურა, რომ შრომის ბაზარსა და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას შორის არ არის თანხვედრა²⁴.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მნიშვნელობაზე ერთხმად თანხმდებიან. ასევე ცხადია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არასათანადო კოორდინაცია გარკვეულწილად განაპირობებს პრობლემებს, რაც უკავშირდება ახალგაზრდების (მათ შორის კურსდამთავრებულთა) უმუშევრობის მაღალ დონეს²⁵, ვერტიკალურ²⁶ და ჰორიზონტალურ²⁷ შეუსაბამობას კურსდამთავრებულთა ცოდნას, კვალიფიკაციას და სამუშაო ადგილის მოთხოვნებს შორის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა პროფესიული ადაპტაციის ხანგრძლივ პერიოდს და ა.შ.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამქირავებლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კურსდამთავრებულები და მარეგულირებელი სტრუქტურები, ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამქირავებლებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას საქართველოში (რასაც ნაწილობრივ წარმოდგენილი კვლევაც ადასტურებს).

საკითხის აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობის ფორმების შესწავლა, ასევე, თანამშრომლობის შედეგების შეფასება და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმების და მიმართულებების გამოვლენა. კვლევა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად და მოიცვა როგორც კაბინეტური, ისე საველე კვლევის მეთოდები. თავდაპირველად მოხდა სამეცნიერო ლიტერატურისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული კვლევების მიმოხილვა. ამავ ეტაპზე გაანალიზდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და დამსაქმებლების თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილება. საველე მეთოდებიდან განხორციელდა

²³ალექსანდრა აროშვილი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი; ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში: განათლება და შრომის ბაზარი; წყარო: <https://emcrights.files.wordpress.com/2016/09/e18390e1839ce183a2e18398e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e18390-e183a11.pdf>

²⁴ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი `ინტელექტი.` (2016). შრომის ბაზრის კვლევა. ბათუმი: ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_788_1.pdf

²⁵ 2020 წლის მდგომარეობით, 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა შეადგენდა 27.8 პროცენტს, ხოლო 25-დან 34 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის 21.3 პროცენტს. www.geostat.ge

²⁶ სიტუაცია, როდესაც განათლების ან უნარების დონე დაბალია ან მაღალია განათლებისა და უნარების მოთხოვნილ დონეზე. / საშუალო სკოლის მათემატიკის პედაგოგად მუშაობს ადამიანი დოქტორის ხარისხით მათემატიკის დარგში.

²⁷ სიტუაცია, როდესაც განათლების ან უნარების დონე შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს, მაგრამ განათლების ან უნარების ტიპი არსებული სამუშაოსთვის შეუფერებელია. / აუდიტორულ კომპანიაში დასაქმებულ ბუღალტერს მოეთხოვება ყოველთვიური მაკროეკონომიკური ანალიზის მომზადება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 3 ავთენტური გამოკითხვა, ნახევრად სტრუქტურირებული წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით მოხდა სრულყოფილი მონაცემების შეგროვება (Google Form-ის პლატფორმაზე). კვლევის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა მიღებული მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. კვლევის საბოლოო ეტაპზე ჩამოყალიბდა დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები. კვლევის არეალმა მოიცვა საქართველოში არსებული კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებლები და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ავტორები, რომლებიც იკვლევენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობას, საკითხს ფართო ჭრილში განიხილავენ, კერძოდ, დასაქმების, შრომის ბაზარზე ადაპტაციის, შრომის მწარმოებლურობის, ინოვაციების და სხვა მრავალი მიმართულებით. მკვლევარები ხშირად აქცენტს აკეთებენ თანამშრომლობის არასაკმარის დონეზე და შესაძლო შედეგებზე, რომლებიც თანამშრომლობის გაღრმავებით მიიღწევა. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმებულებს შორის არასათანადო თანამშრომლობის პრობლემა არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი. მაგალითად, **ანსელი და გინგრისი**, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარები (Ben Ansell; Jane Gingrich 2017)²⁸ თავიანთ სტატიაში ხსნიან უმაღლესი განათლების და შრომის ბაზრის ინსტიტუტებს შორის შეუსაბამობის მიზეზებს და აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, ბევრი ახალი კურსდამთავრებული, სავარაუდოდ, იქნება დაუსაქმებელი, ხოლო კურსდამთავრებულთა ნაწილი დაბალანაზღაურებად სამუშაოზე შეძლებს დასაქმებას. იგივე ავტორები ხაზს უსვამენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შეუსაბამობას შრომის ბაზარზე, რომელიც ასევე უმაღლეს სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის არასათანადო თანამშრომლობას უკავშირდება. საინტერესოა მკვლევართა ჯგუფის მიერ უმაღლესი განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევა ბალკანეთის ქვეყნებში (**Will Bartlett; Milica Uvalic; Niccolo Durazzi; Vassilis Monastiriotis; Tanguy Sene. 2016**)²⁹, სადაც მათი აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ყოველი 100 სტუდენტიდან საშუალოდ მხოლოდ 13 შეძლებს სწავლის დამთავრებას და შექმნილი უნარების შესაბამისი სამუშაოს შოვნას. ამიტომ ავტორები აუცილებლად მიიჩნევენ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებსა და დამსაქმებლებს შორის კოოპერაციის წახალისებას. მათი აზრით, მთავრობამ დამოუკიდებელი კატალიზატორის როლი უნდა ითამაშოს, რათა როგორც უსდ-ების, ისე დამსაქმებლების სასარგებლო თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას შეუწყოს ხელი.

²⁸ Ben Ansell; Jane Gingrich. Mismatch: University Education and Labor Market Institutions. doi:10.1017/S1049096516002948. Professional Symposium. © American Political Science Association, 2017.

²⁹ Will Bartlett; Milica Uvalic; Niccolo Durazzi; Vassilis Monastiriotis; Tanguy Sene. From University to Employment: Higher Education Provision and Labour Market Needs In the Western Balkans. Synthesis Report. 2016.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა და ბელარუსი) არსებული უმაღლესი განათლების დაწესებულებების უმრავლესობა ძირითადად ფოკუსირებულია თეორიული ცოდნის მიწოდებაზე, მაშინ როდესაც, დამსაქმებლის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად, მათი ზრუნვის საგანი უნდა იყოს სტუდენტების აღჭურვა პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და გამოცდილებით. **რადოვიჩმა და დჯურასკოვიჩმა** (Radovic & Djuraskovic, 2016)³⁰ გააანალიზეს განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა მონტენეგროს მაგალითზე. განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ სუსტ მხარედ გამოვლინდა არასათანადო პრაქტიკული ტრენინგების არსებობა საუნივერსიტეტო პროგრამებში, უფრო კონკრეტულად კი, როგორც ფოკუსჯგუფების წარმომადგენელის მიერ იქნა გაჟღერებული, სტუდენტები უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არასდროს ყოფილან ჩართულები მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშემწყობ პროგრამებში. მკვლევარების აზრით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის გაუმართავი კომუნიკაციის პირობებში განათლების სისტემა ვერ იღებს სწორ ინფორმაციას იმის შესახებ თუ ზუსტად რა სახის მიმართულებები ითვლება შრომის ბაზარზე მიმზიდველად. რასაც შესაბამისად მოჰყვება კურსდამთავრებულთა შორის გაზრდილი უმუშევრობა. საქართველოში 2018 წელს განხორციელებული კვლევის „ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა საქართველოში“ (მ.კვირკვია, ვ.კიკუტაძე, დ. სიხარულიძე, შ. შაბურიშვილი, ვ.ჭარაია, 2018)³¹ თანახმად, შრომის ბაზრისა და არჩეული პროფესიის შესახებ ინფორმაცია აუცილებელია ახალგაზრდების მიერ სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის. კვლევა ადასტურებს, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილის ინფორმირებულობის ხარისხი შრომის ბაზრის შესახებ არასაკმარისია, რაც, საბოლოო ანგარიშით, ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც პროფესიის არჩევაზე, ისე მათი პროფესიით დასაქმების მაჩვენებლებზე. მკვლევარებმა **ლუჟავამ და ამაშუკელმა** (ლუჟავა & ამაშუკელი, 2015)³² განახორციელეს სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური პროგრამების შედეგებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა საქართველოში. ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა რომ დამსაქმებელთა შეფასებით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს არასათანადო დონეზე აქვთ განვითარებული ტრანსფერული უნარები, როგორცაა ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაცია, პრეზენტაცია და უცხო ენების შესაბამის დონეზე ფლობა. ამავე დროს ისინი აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტები სათანადო დონეზე ვერ ამზადებენ მათთვის მისაღებ კადრებს. ავტორების აზრით, ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქართველოშიც პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაციის უკმარისობა ბიზნეს სექტორთან. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ქართული უმაღლესი საგანმანათ-

³⁰ Radovic, M., & Djuraskovic, J. (2016). Mismatch between Education System and Labour Market Needs – Enabling Environment for Sustainable Enterprises in Montenegro. Podgorica: Montenegrin Employers Federation.

³¹ მ.კვირკვია, ვ.კიკუტაძე, დ.სიხარულიძე, შ.შაბურიშვილი, ვ.ჭარაია (2018).

„ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა საქართველოში“, გლობალიზაცია და ბიზნესი, <https://doi.org/10.35945/gb.2018.06.035>

³² ლუჟავა, დ., & ამაშუკელი, მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალური მეცნიერების ცენტრი.

ლებლო დაწესებულებების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა შრომის ბაზრის მოთხოვნების არცოდნა და მათ შორის არასაკმარისი კომუნიკაციისა და კოოპერაციის არსებობაა.

წარმოდგენილ კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილებაზე, კერძოდ შესწავლილი იქნა რიგი ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის ისეთი ქვეყნების, როგორცაა ესტონეთი, გერმანია, პოლონეთი, აშშ და ა.შ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის ყველაზე წარმატებულ მაგალითს **ესტონეთი** წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში ესტონეთმა განახორციელა გარკვეული აქტივობები ბიზნესსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს გამოყენებითი კვლევების ჩატარებას ბიზნესთან ურთიერთქმედებით, ასევე, სადოქტორო სწავლებისა და ბიზნესის კოორდინაციას³³. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებული მოდელი **გერმანიაში** არის დანერგილი. ქვეყანაში ე.წ. დუალური განათლების სისტემას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აღნიშნული მოდელი ძირითადად გამოიყენება პროფესიულ განათლებაში, ტრენინგების სექტორში, თუმცა ბოლო პერიოდში ის აქტიურად იმპვიდრებს თავს უმაღლეს განათლებაში³⁴. გერმანიაში სტუდენტები, რომლებიც გადაიან პროფესიული სწავლების პროგრამას, ყოველთვიურად იღებენ ხელფასს იმ კომპანიისგან, რომლისთვისაც მუშაობენ³⁵. უმაღლეს სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული რეფორმებით პოსტსოციალისტურ სივრცეში **პოლონეთი** ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. გასული ათწლეულის განმავლობაში პოლონეთის განათლების სისტემაში რეფორმები განხორციელდა, რომლის მიზანიც იყო პოლონეთის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემასთან გათანაბრება. ამჟამად პოლონური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განვითარების ორიენტირები მიმართულია არა მხოლოდ სტუდენტების რაოდენობის ზრდაზე, არამედ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კვლევითი პროექტები, ინტერნაციონალიზაციის დონე და კოოპერაცია დამსაქმებლებთან. შესაბამისად, პოლონური უნივერსიტეტებისთვის ბოლოდროინდელი რეფორმების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო კურსდამთავრებულების აღჭურვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი უნარებით³⁶. უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა **ამერიკის შეერთებულ შტატებში** ინიციატივების ფართო სპექტრს მოიცავს. თანამშრომლობაში ჩართულია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი. აშშ-ში უნივერსიტეტებისა და ბიზნესის თანამშრომლობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს: ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა, საუ-

³³ The new face of university-business cooperation in Finland, M. Ranga, J. Perälampi, J. Kansikas, Science and Public Policy 43 (5): 601-612. Spe. Issue “Universities as interactive partners”.(2016),Page 3, 10;

³⁴ GTAI. (2019). <https://www.gtai.de/gtai-en/invest/business-location-germany/business-climate/dual-education-system-65348>

³⁵ Make it Germany. (2019). <https://www.make-it-in-germany.com/en/study-training/training/vocational/system/>

³⁶ State of University and Business Cooperation in Poland, T. Davey, V. Galán-Muros, A. Meerman, T. Kusio, Science-to-Business Marketing Research Centre, apprimo UG and University Industry Innovation Network (UIIN), 2013, page 10.

კეთესო ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა, განათლების ხელსაყრელი გარემო, კვლევა, ინოვაცია და მეწარმეობა, რეგიონული განვითარების საჭიროებები, კოლაბორაციის ინსტიტუციური კულტურა, სამეწარმეო განათლება, და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია.³⁷

დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის შედეგები

კვლევის მიზნების მისაღწევად ჩატარდა კომპლექსური კვლევა სამი მიმართულებით: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვლევა, დამსაქმებლების კვლევა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა.


კურსდამთავრებულთა კვლევამ მოიცვა 400 კურსდამთავრებული. მიღებული აკადემიური ხარისხის კუთხით, გამოკითხულთა 51%-ს გააჩნია ბაკალავრის ხარისხი, 43%-ს - მაგისტრის, 5%-ს - დოქტორის ხარისხი, ხოლო რესპონდენტთა 1%-ს მიღებული ხარისხი არ დაუფიქსირებია. რესპონდენტთაგან, 47%-ს განათლება მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქვთ მიღებული, 44%-ს მხოლოდ კერძოში, ხოლო 9%-ს ორივე ტიპის სასწავლებელში. გამოკითხვის პერიოდში, რესპონდენტთა 82% იყო დასაქმებული, ხოლო 18% - უმუშევარი. უმუშევართაგან დაახლოებით 20% საერთოდ არ ყოფილა არასდროს დასაქმებული, ხოლო 80% კი წარსულში ერთხელ მაინც იყო დასაქმებული. ასაკობრივ ჯგუფში განაწილებისას, სახეზეა მაღალი უმუშევრობის დონის პრობლემა შედარებით ახალგაზრდა კურსდამთავრებულებში. 20-24 წლის ასაკის კურსდამთავრებულთაგან დაახლოებით 30%-ს არ გააჩნია მუდმივი და სტაბილური სამუშაო ადგილი, როდესაც იგივე მაჩვენებელი 30 და მეტი წლის კურსდამთავრებულებში ბევრად მცირეა. დასაქმებულ რესპონდენტთაგან კი 80-85% დაქირავებით დასაქმებულს წარმოადგენს და ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ეს კომპონენტი მკვეთრად ლიდერობს. გამოკითხულთა შორის მცირე ხვედრითი წილი აქვს თვითდასაქმებულებს და თვითდასაქმებულებში საკუთარი ბიზნესის მქონე რესპონდენტებს. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის პროცესში აქცენტი გაკეთდა შედარებით ახალ კურსდამთავრებულთა (საშუალოდ 4-5 წელი უმაღლესი სასწავლებლის დასრულებიდან) მიერ გაკეთებულ შეფასებებზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის შედეგები პირდაპირ აისახება კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაზე და მათი სპეციალობის მიხედვით ეფექტიან დასაქმებაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ აფასებენ ისინი საქართველოში არსებული აღნიშნული თანამშრომლობის პრაქტიკას. გამოკითხული კურსდამთავრებულების 31%-ის შეფასებით, კოოპერაცია იყო მათ სასწავლებელსა და ორგანიზაციებს შორის და ეს უკანასკნელი სასურველ შედეგებსაც იძლეოდა; მესამედზე მეტმა (34%) აღნიშნა, რომ მათი სწავლის პერიოდში მათ სასწავლებლებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის არანაირი კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა არ ხდებოდა. კურსდამთავრებულთა 18%-ს არ აქვს ინფორმაცია და არც სმენია მსგავსი თანამ-

³⁷ University-business cooperation: adapting the curriculum and educational package to labor market requirements. Proceedings of the International Conference on Business Excellence, E. Manuela. Bucharest, Romania, 2017, page 342.

შრომლობის შესახებ. რესპონდენტთა 17-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ უმადლეს სასწავლებლებსა და ბიზნეს სექტორს შორის ხდებოდა თანამშრომლობა, თუმცა მათი კოოპერაცია სასურველ შედეგებს არ იძლეოდა და მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა (იხ.გრაფიკი 1).

გრაფიკი 1:



კვლევაში მონაწილე რესპონდენტებიდან, რომლებიც ამბობენ, რომ სწავლის პერიოდში მონაწილეობდნენ უსდ-ების და დამსაქმებლების მიერ ერთობლივად განხორციელებულ პროგრამებსა და ღონისძიებებში, 41% აცხადებს, რომ ერთობლივი პროგრამები და ღონისძიებები მათ საკმაოდ დაეხმარა და გაუადვილა სამუშაო ადგილის მოძებნა. იმავე კატეგორიის რესპონდენტების 49%-სათვის თანამშრომლობას უშუალოდ სამსახურის პოვნა არ გაუადვილებია, თუმცა ხელი შეუწყო მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში და მხოლოდ 10% აცხადებს, რომ მსგავსი სახის ღონისძიებებს მათთვის არანაირი სარგებელი არ მოუტანია.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (53%), რომელიც მიმდინარე პერიოდში არის ან იყო წარსულში დასაქმებული, აცხადებს, რომ იმ სპეციალობის შესაბამის სფეროში საქმიანობს (ან/და წარსულში საქმიანობდა), რა განხრითაც მიიღო განათლება უმადლეს სასწავლებელში. თუმცა ამ კატეგორიიდან მხოლოდ 70% მუშაობს სწორედ იმ კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც უშუალოდ უსდ-ში მიენიჭა. გამოკითხულთა 17%-ის დასაქმების სფერო და მიღებული სპეციალობა ნაწილობრივ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო დარჩენილი 30% კი არ მუშაობს არც საკუთარი სპეციალობის შესაბამისად და არც ისეთ სფეროში, სადაც ამა თუ იმ კუთხით უსდ-ში მიღებული ცოდნის გამოყენებას შეძლებს. ეს უკანასკნელი მიუთითებს საქართველოს შრომის ბაზარზე მიწოდებულ სამუშაო ძალასა და სამუშაოს მოთხოვნებს შორის ჰორიზონტალურ შეუსაბამობაზე.

უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის არასათანადო თანამშრომლობის ერთ-ერთ ინდიკატორად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულებს შორის

უმუშევრობის მაღალი დონის გარდა, მათ საკმაოდ დიდი დრო სჭირდებათ სამუშაოს მოსაძებნად უსდ-ის დამთავრების შემდეგ. კურსდამთავრებულების პასუხებიდან ირკვევა, რომ სპეციალობით დასაქმებულთა 36 % პოულობს სამუშაოს უსდ-ს დასრულებისთანავე, 28 %-ს დაახლოებით სამ თვემდე სჭირდება, ხოლო 36 %-ს ოთხ თვეზე მეტი ან ხშირად ერთი წელიწადი, ან უფრო მეტი.

უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის ხარისხთან დაკავშირებულია ვერტიკალური შეუსაბამობა საქართველოს შრომის ბაზარზე. კერძოდ, საკუთარი პროფესიის შესაბამისად (სრულად ან ნაწილობრივ) დასაქმებული ბაკალავრების და მაგისტრების 35-40%-ს მიაჩნია, რომ მათი კვალიფიკაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ამას სამუშაო ადგილზე შესასრულებელი ფუნქციები მოითხოვს. იგივე მაჩვენებელი დოქტორის ხარისხის მქონე რესპონდენტებში 60%-ია.

კვლევის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით ვლინდება, რომ ის აუცილებელი უნარები და გამოცდილება, რაც კურსდამთავრებულებმა ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მიიღეს, არის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, საოფისე პროგრამების პრაქტიკული გამოყენება და უცხო ენა. ამათგან, ყველაზე უფრო მწვავე გამოწვევად კურსდამთავრებულები პრაქტიკული უნარ-ჩვევების არარსებობას თვლიან, რაც მათ დასაქმებისათვის მნიშვნელოვანია და რის მიღებასაც, სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ახერხებენ.

დამსაქმებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ერთ-ერთ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს სტუდენტის შეფასება, თუ რამდენად ეხმარება აღნიშნული თანამშრომლობა მათ დასაქმების პროცესში. გამოკითხვიდან გამოვლინდა, რომ ყველაზე უფრო ხშირად კურსდამთავრებულები სამუშაო ადგილს თავის ძალისხმევით, გამოყენებით, დასაქმების საიტების დახმარებით ეძებენ და პოულობენ (დასაქმებულ გამოკითხულთა 31%). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა სამუშაო ადგილის მოსაძებნად მათთვის არის კერძო კონტაქტების გამოყენება. კურსდამთავრებულთა მეორე ყველაზე დიდ ნაწილს (23%) სწორედ საკონტაქტო პირები და სანაცნობო/ნათესაური კავშირები ეხმარება სამსახურის დაწყებაში. კურსდამთავრებულთა მხოლოდ 11% ასახელებს, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულმა დასაქმების სააგენტოებმა და სამსახურებმა შეუწყო ხელი სამსახურის პოვნაში, ხოლო, მხოლოდ 14% სამუშაო ადგილის მოძიებას სტაჟირებისა და პრაქტიკების პროგრამებს მიაწერს, რაც ნაწილობრივ უსდ-ის და დამსაქმებელთა თანამშრომლობის დახმარებით ხორციელდება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის შესწავლისა და სამომავლოდ გადრმავეების თვალსაზრისით გადამწყვეტი ფაქტორია **დამსაქმებლების კვლევა** და მათი შეფასებების ანალიზი. **დამსაქმებლების გამოკითხვაში ჩართული იყო 140** ორგანიზაცია. გამოკითხული ორგანიზაციების 78% ფუნქციონირებს თბილისში, შემდეგ მოდის შიდა ქართლი - 5%, ქვემო ქართლი - 5%, იმერეთი - 4% და ა.შ. გამოკითხული დამსაქმებლების უმრავლესობა, 62%, წარმოადგენს კერძო სექტორს, ხოლო არასამთავრობო და საჯარო სექტორები - 19%-19%-ს. კვლევაში ჩართული ორგანიზაციების საქმიანობის სფერო იყო ფინანსები და დაზღვევა (18%), განათლების (15%) და ტურიზმის (12%) სექტორები, შემდეგ პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (10%), ვაჭრობა (8%), სახელმწიფო მმართველობა და, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6-6%) და ა.შ. კვლევამ მოიცვა როგორც მსხვილი დამსაქ-


მებლები (500-ზე მეტი თანამშრომლით), ასევე შედარებით მცირე და საშუალო მასშტაბის ორგანიზაციები 50 ან უფრო ნაკლები დასაქმებულთა რაოდენობით.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა 27% საერთოდ არ თანამშრომლობს უსდ-ებთან, ხოლო 28%-ს აქვს სუსტი კოოპერაცია. ორგანიზაციათა მხოლოდ 16% აფასებს თავის გამოცდილებას, როგორც მაღალი დონის ჩართულობას, ხოლო 29% მიიჩნევს, რომ აქვს საშუალო ხარისხის ჩართულობა. ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ შედარებით აქტიურად მონაწილეობენ უსდ-ებთან კოოპერაციაში, ძირითადად წარმოადგენენ დიდ ორგანიზაციებს, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა 100 ადამიანს აღემატება.

საქმიანობის სექტორების მიხედვით თუ შევაფასებთ, იმ ორგანიზაციათა უმრავლესობას, რომლებიც მიიჩნევენ რომ გააჩნიათ მაღალი ან/და საშუალო ხარისხის ურთიერთკავშირები უმაღლეს სასწავლებლებთან, წარმოადგენენ საჯარო სექტორში მოქმედ დამსაქმებლებს. შესაბამისად, საჯარო სექტორის წარმომადგენელთა 28% აცხადებს, რომ გააჩნიათ მაღალი დონის ჩართულობა, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი კერძო სექტორისათვის 15%-ს შეადგენს, ხოლო არასამთავრობო სექტორის შემთხვევაში კი - 8%-ს.

კვლევაში მონაწილე დამსაქმებელი ორგანიზაციების უსდ-ებთან თანამშრომლობა ძირითად შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტთა მობილობის ან სტაჟირებების მიმართულებით. შედეგები აჩვენებს, რომ თანამშრომლობის ეს შედარებით მარტივი ფორმა სხვა დანარჩენ ფორმებს ორჯერ და მეტჯერ აღემატება. კოოპერაციის სხვა ფორმებიდან შედარებით ხშირად ხორციელდება თანამშრომლობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებით, აკადემიური პერსონალის მიერ ორგანიზაციებში სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება და ერთობლივი სასწავლო პროგრამების შექმნა (იხ. გრაფიკი 2). აღსანიშნავი ფაქტია, რომ გამოკითხული ორგანიზაციებიდან მხოლოდ 8 მონაწილეობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში.

გრაფიკი 2:



სექტორების ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ კერძო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა უნივერსიტეტებთან კოოპერაციის მიმართულებით, ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება სტუდენტების სტაჟირება-გადამზადების კუთხით. თანამშრომლობის მსგავსი შემთხვევები ასევე ხშირია საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდანაც, თუმცა უფრო ნაკლებად. უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო სექტორი, დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით, უფრო ინტენსიურადაა ჩართული ისეთ პროცესებშიც, როგორცაა თანამშრომლობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებებით და ახალი სერვისების/პროდუქტების ერთობლივი შექმნა/ტესტირება.

დამსაქმებლების შეფასებით, იმ ძირითად ფაქტორებსა და მიზნებს, რამაც სტიმული უნდა მისცეს უნივერსიტეტსა და ორგანიზაციებს შორის კოოპერაციის შემდგომ გაღრმავებას და გაძლიერებას, უმეტესად წარმოადგენდა: ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა; საერთო პროექტებისა თუ მიზნების ერთობლივი განხორციელების შესაძლებლობა; ორგანიზაციის სურვილი, გაუზიაროს უსდ-ებს მის მიერ დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება და უზრუნველყოს თავისი კადრები უწყვეტი განათლებით. ორგანიზაციების მცირე რაოდენობა მიუთითებს კვლევებისა და კონსულტაციების მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობაზე, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი კი ყურადღებას ამახვილებს ჩამოყალიბებული ურთიერთობის გაგრძელებაზე. მსგავსი მიდგომებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული მტკიცე, მრავალწლიანი ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის მოდელები საუნივერსიტეტო და დამსაქმების სფეროებს შორის.

უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის ბარიერების არსებობის კუთხით, გამოკითხულ ორგანიზაციათა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე პერიოდში დაბრკოლებები უსდ-ებთან თანამშრომლობის მიმართულებით თითქმის არ ექმნებათ. მათი უმრავლესობის შეფასებით, ძირითადი პრობლემები უსდ-ებთან თანამშრომლობის პროცესში უმეტესად გამოწვეულია სხვადასხვა მოტივაციების, ღირებულებებისა და განსხვავებული ხედვების არსებობით. სხვა მნიშვნელოვან პრობლემებად დასახელდა ასევე დროისა და რესურსების უქონლობა და ბიუროკრატიის მაღალი დონე უსდ-ებში. რესპონდენტების მცირე ნაწილმა (5%) ასევე აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში თანამშრომლობის ბარიერი თავად უსდ-ების უარიც გამხდარა. კვლევის ფარგლებში რამდენიმე წარმომადგენელმა დააფიქსირა კრიტიკული მოსაზრებაც, კერძოდ, მათი შეფასებით, ერთი მხრივ გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის ხარისხი უსდ-ებში არაა დამაკმაყოფილებელია, კომპანიებს არა აქვთ მოტივაცია, აქტიურად ეძებონ კადრები ინსტიტუტების შიგნით, ხოლო მეორე მხრივ კი, უსდ-ებთან თანამშრომლობა ძირითადად ატარებს ფორმალურ ხასიათს და ნაკლები ინიციატივა მოდის მათგან, იყვნენ მოტივირებულები წარმატებული სტუდენტების წარმოჩენითა და რეკომენდაციების გაწევით. გამოკვლევით დადგინდა, რომ ორგანიზაციებს აქვთ მომუშავეს ცოდნას, კვალიფიკაციასა და სამუშაო ადგილების მოთხოვნას შორის შეუსაბამობის (ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეუსაბამობა) პრობლემა. ორგანიზაციათა დაახლოებით 70%-ში ფიქსირდება გარკვეული ხარისხის ჰორიზონტალური შეუსაბამობა. ამ მაჩვენებელს ოდნავ ადამატება ვერტიკალური შეუსაბამობა. რესპონდენტთა 35%-მა ღიად დააფიქსირა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა კურსდამთავრებულებს საჭირო ცოდნითა და უნარებით ვერ უზრუნველყოფს. დამსაქმებელთა მნიშვნე-

ლოვანმა ნაწილმა ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ საუნივერსიტეტო განათლება თეორიული ცოდნის კუთხით მეტ-ნაკლებად სათანადო ბაზისს უქმნის სტუდენტს, თუმცა პრაქტიკული ცოდნა და უნარები პრობლემას წარმოადგენს. კიდევ უფრო მწვავე შეფასება გაკეთდა დამსაქმებლების მხრიდან შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების არსებობასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 80%-მა დააფიქსირა, რომ დღეისათვის არასათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა არის მწვავე პრობლემა ორგანიზაციებისათვის.

დამსაქმებლების მხრიდან ღია კითხვებზე პასუხების განზოგადება გვადლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ დამსაქმებელთა აზრით, საქართველოში ხშირ შემთხვევაში კურსდამთავრებულებს აქვთ თეორიული ცოდნის ბაზა, თუმცა დეფიციტს განიცდიან პრაქტიკულ ნაწილში, უნარ-ჩვევების მხრივ. დანარჩენს უშუალოდ სამუშაო პროცესში სწავლობენ. თუმცა აქვე დამსაქმებლები მიუთითებენ, რომ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხი არაერთგვაროვანია და ხშირად რადიკალურად განსხვავდება ის პრაქტიკული უნარები, რასაც სტუდენტები გამოიმუშავენ სხვადასხვა უსდ-ებში.

კვლევის შემდეგი ეტაპი იყო ავტორიზებული და აკრედიტებული **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკვლევა**. კვლევამ მოიცვა 25 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც 2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს განათლების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაახლოებით 45 %-ს შეადგენს. კვლევაში ჩართული უნივერსიტეტებიდან 15 კერძო მესაკუთრის მფლობელობაშია, ხოლო 10 საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა. გამოკვლეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 17 წარმოადგენს უნივერსიტეტს, 5 - სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო 3 - კოლეჯს. რეგიონულ ჭრილში განაწილების მიხედვით, გამოკითხული სასწავლებლების უმრავლესობა ქალაქ თბილისშია ლოკალიზებული, რეგიონების მასშტაბით კი ექვსმა უსდ-მ მიიღო კვლევაში მონაწილეობა.


კვლევაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობის შეფასებით, მათი სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული განათლების დონე შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. თუმცა, როდესაც უსდ-ების წარმომადგენლებმა გააკეთეს ზოგადად ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება, გაირკვა, რომ, მათი აზრით, ქვეყნის მასშტაბით უსდ-ების 72 % მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებს იმ საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია დასაქმების ბაზარზე შესაბამისი სამუშაო ადგილის დასაკავებლად. უსდ-ების წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, როგორც შეუსაბამობის ერთგვარ მიზეზად, ხაზს უსვამენ, რომ დამსაქმებელი კომპანიები ხშირად ბოლომდე სათანადოდ თვითონაც ვერ ერკვევიან თუ როგორი კვალიფიკაციის, უნარებისა და ცოდნის კადრები სჭირდებათ მიმდინარე პერიოდში ან სამომავლოდ.

რესპონდენტი უსდ-ების უმრავლესობის შეფასებით, მათი კურსდამთავრებულთა საშუალოდ 40-60% თუ მუშაობს იმ მიმართულებით, რა სპეციალობა და კვალიფიკაციაც მიენიჭა უმაღლეს სასწავლებელში. ეს ციფრი შედარებით მაღალია კერძო და საჯარო უნივერსიტეტებისათვის და შედარებით დაბალი კოლეჯებისა და სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში. რამდენიმე კერძო უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლის მოსაზრებით, მათი კურსდამთავრებულთა მხოლოდ 20% თუ ახერხებს მიღებული პროფესიის შესაბამისად დასაქმებას.

კვლევაში მონაწილე უსდ-ების უმრავლესობამ განაცხადა, რომ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით ძირითადად საშუალო დონის ჩართულობა გააჩნია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონაწილეთა 40%-ის შეფასებით, მათ მაღალი დონის ჩართულობა გააჩნიათ კომპანიებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, თუმცა, თანამშრომლობის არსებული ფორმები ჯერ კიდევ საკმაოდ პრიმიტიულია და ძირითადად მოიცავს სტუდენტთა სტაჟირების პროგრამებს და ორგანიზაციების სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში დამსაქმებლების ჩართვას. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე უმაღლესმა სასწავლებელმა ასევე გამოყო თანამშრომლობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებებით და უწყვეტი განათლების კუთხით კოოპერაცია (იხ. გრაფიკი 3). თუმცა, სამწუხაროა, რომ კოოპერაციის ისეთი თანამედროვე სახეები, როგორცაა ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო მიმართულებების სპონსორობა უსდ-ებში და ახალ პროდუქტებსა და სერვისებზე ერთობლივი მუშაობა, ტესტირება და შექმნა, ფაქტობრივად არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ გვხვდება.

გრაფიკი 3:

თანამშრომლობი ფორმები უსდ-ებსა და ორგანიზაციებს შორის



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების პასუხებიდან ირკვევა, რომ კერძო უსდ-ებში, საჯაროსგან განსხვავებით, უფრო ხშირად ხორციელდება ერთობლივი კონფერენციები ან მზადდება პუბლიკაციები ორივე მხარის ჩართულობით; თუმცა, საჯარო უსდ-ები, კერძოებისგან განსხვავებით,

შედარებით აქტიურად უზიარებენ ორგანიზაციებს დაგროვილ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. საჯარო უნივერსიტეტების ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებში თემატური სემინარების/ტრენინგების ჩატარების გამოცდილება გააჩნიათ.

უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობა თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. უსდ-ების წარმომადგენლებმა შეაფასეს სტუდენტების საშუალოდ რა ნაწილი იღებს მონაწილეობას ერთობლივ პროგრამებსა და ღონისძიებებში. იმ უსდ-ების წარმომადგენლებმა, რომლებიც თვლიან, რომ საშუალო ან მაღალი დონის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა აკავშირებთ დამსაქმებლებთან ცალკეული პროგრამის ფარგლებში, განაცხადეს რომ:

სტუდენტთა სტაჟირების მიმართულებებით, კოლეჯების სტუდენტთა საშუალოდ 20-40%-ს აქვს შესაძლებლობა, გაიარონ სტაჟირების პროგრამები სხვადასხვა დაწესებულებებში;

ერთობლივი გამოყენებითი და კვლევითი პროექტები კოლეჯების ნახევარში საერთოდ არ ხორციელდება, ხოლო სადაც ხორციელდება, სტუდენტთა მაქსიმუმ 10% არის ჩართული. სასწავლო უნივერსიტეტების უმრავლესობაში მსგავსი პროექტები ხორციელდება, თუმცა აქაც ძირითად შემთხვევაში სტუდენტთა 10%-მდე ჩართულობა ფიქსირდება. უნივერსიტეტების უმრავლესობაში ტარდება გამოყენებითი თუ კვლევითი პროექტები, თუმცა აქაც ძირითად შემთხვევაში სტუდენტთა 10-20% თუა ჩართული. სულ 2 უნივერსიტეტია, რომლებმაც განაცხადეს, რომ სტუდენტთა ნახევარზე მეტი ჩართულია მსგავსი ტიპის ერთობლივ პროგრამებში;

კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტუდენტთა მომზადების/გადამზადების ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობის თვალსაზრისით, კოლეჯების შემთხვევაში სტუდენტთა 20-50% იღებს მონაწილეობას. სასწავლო უნივერსიტეტების დიდმა ნაწილმა ამ კითხვაზე პასუხი არ დააფიქსირა. უნივერსიტეტების შემთხვევაში, აღნიშნულ ღონისძიებაში სტუდენტების მონაწილეობის თვალსაზრისით უნივერსიტეტების ორი მსხვილი ჯგუფი გამოიყო: ერთ მათგანში 10%-მდე სტუდენტი მონაწილეობდა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ერთობლივ პროგრამებში, ხოლო მეორე ჯგუფში - სტუდენტების უმრავლესობა. გამოკვლეული უნივერსიტეტებიდან ორში საერთოდ არ ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტუდენტთა მომზადების/გადამზადების ერთობლივი პროგრამები;

ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებში საშუალოდ სტუდენტთა 20% იღებს მონაწილეობას კოლეჯების შემთხვევაში. სასწავლო უნივერსიტეტებისათვის და უნივერსიტეტებისათვის, ჩართულობის მაჩვენებელი ფართოდ ვარირებადია, ძირითადად აქაც სტუდენტების საშუალოდ 20% შეიძლება ჩაითვალოს მსგავსი ერთობლივი პროგრამების მონაწილედ, თუმცა რამდენიმე უსდ-ში მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 50%-საც აღემატება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებით, სხვა სარგებელთან ერთად, აქტიური კოოპერაცია პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მათ სტატუსსა და კონკურენტუნარიანობაზე. გამოკითხული უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის დახმარებით მათი სასწავლებლების პრესტიჟი და მიმზიდველობა მნიშვნე-

ლოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად გაიზარდა და თანამშრომლობა ამ მხრივ სასარგებლო აღმოჩნდა.

კვლევის პროცესმა დაადასტურა, რომ ორგანიზაციებთან კოოპერაციის განხორციელებისას უმაღლესი სასწავლებლები სხვადასხვა პრობლემებსა და გამოწვევებს აწყდებიან. გამოკითხულთა უმრავლესობა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში არსებულ ბარიერებს შორის გამოყოფენ დროისა და რესურსების შეზღუდულობას, აგრეთვე განსხვავებულ ხედვებს პრობლემების გადაწყვეტისადმი მათსა და ორგანიზაციებს შორის. დასახელდა ასევე, რომ ორგანიზაციებსა და უსდებს სხვადასხვა მოტივაცია გააჩნიათ და მნელია ასეთ ვითარებაში საერთო მიზნებისა და პროექტების განხორციელება. უსდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბიუროკრატიის მაღალ დონეს აწყდებიან დამსაქმებლებში და ხშირად უარიც მიუღიათ თანამშრომლობის თხოვნაზე.

საინტერესოა უსდების წარმომადგენლების მოსაზრებები მოტივაციის ფაქტორთან დაკავშირებით, რომელიც გააღრმავებს მათსა და დამსაქმებლებს შორის კოოპერაციას. გამოკითხვაში მონაწილე, შედარებით მრავალწლიანი გამოცდილების (30 წელი) მქონე უსდების უმრავლესობის აზრით, კოოპერაციის მთავარ მიზნად პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა დასახელდა. შედარებით ახალგაზრდა სასწავლებლებმა (ბაზარზე ფუნქციონირების 15 წელზე ნაკლები პერიოდი) მნიშვნელოვან ფაქტორად გამოყვეს ორგანიზაციების მხრიდან პრაქტიკული კონსულტაციების მიღება, რაც დაეხმარება მათ შემდგომ განვითარებაში. შედარებით ძველმა უნივერსიტეტებმა და სასწავლო უნივერსიტეტებმა (60 წელი და მეტი) კი ამ მხრივ, პირიქით, ორგანიზაციისათვის საჭირო კვლევებისა და რელევანტური პროექტების უნივერსიტეტის მიერ შესრულება აღიარეს კოოპერაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოტივირებელ ფაქტორად. უსდების წარმომადგენელთა უმეტესობის აზრით, კოოპერაციის შედეგად მიღებული სარგებელი ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია, რის გამოც ლოგიკურია, რომ კოოპერაციის დამყარების ინიციატორად ორივე მხარე უნდა გამოდიოდეს. გამოკითხული უსდების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს ჩართულობა საკმაოდ დაბალია კოოპერაციის განხორციელებისა და განვითარების მიმართულებებში. უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტები ან არ არიან აღნიშნულ პროცესებში ჩართული, ან უმნიშვნელოდ უწყობენ ხელს უსდებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომში მიმოხილული ლიტერატურის, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული კვლევების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, უსდებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: სასწავლო პროგრამის დიზაინის განვითარება და მიწოდება; ინდივიდზე ორიენტირებული კურსის განვითარება; გაცვლითი და მობილობის პროგრამები; ერთობ-

ლივი კვლევების განხორციელება; გრძელვადიანი განათლება და სიცოცხლის მანძილზე სწავლება; მეწარმეობა და სამეწარმეო განათლება.

საქართველოში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის კოოპერაციის პროცესები ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ პერიოდში იმყოფება. ბოლო ათწლეულის მანძილზე ურთიერთთანამშრომლობის ფორმები თანდათანობით იხვეწება და ღრმავდება. თუმცა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაწყობილი ბიზნესსექტორი, საჯარო სფერო და განათლების სისტემა ჯერ კიდევ საკმარისად ვერ იღებს იმ სიკეთეებსა და პოტენციურ სარგებელს, რისი მოტანაც ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობითაა შესაძლებელი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არაეფექტიან თანამშრომლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს უსდების კურსდამთავრებულთა მხოლოდ დაახლოებით მესამედს აქვს ინფორმაცია მათ მიერ დამთავრებულ უნივერსიტეტსა და დამქირავებლებს შორის თანამშრომლობაზე. კიდევ უფრო სავალალო ფაქტია ის, რომ მათი გარკვეული ნაწილი აღნიშნულ თანამშრომლობას მხოლოდ ფორმალურ ურთიერთობად აფასებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულების ის ნაწილი, რომლებიც თანამშრომლობის ფარგლებში გარკვეულ პროგრამებში მონაწილეობდნენ, ხაზს უსვამენ სარგებელს, რაც მათ მიიღეს აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებიდან. კერძოდ, აღნიშნული კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მსგავსმა ღონისძიებებმა ძირითადად პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიის შესაბამისად დასაქმებაზე. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური შედეგებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტიპურ ქართველ სტუდენტს იმ სრული სარგებლის მიღება არ შეუძლია, რასაც იღებენ მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, როდესაც ისინი მონაწილეობენ დუალური სწავლების პროგრამებში, კომპანიების მიერ დაკვეთილი კვლევებისა და განვითარების პროგრამებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნის გაღმავების ხანგრძლივადიან პროგრამებსა და სასწავლო კურსებში.

საქართველოში დამსაქმებელი ორგანიზაციების თითქმის მესამედი საერთოდ არ თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხოლო თითქმის ამდენივეს ჩართულობა მინიმალურ თანამშრომლობას გულისხმობს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობა ამ ეტაპზე საკმაოდ მარტივი ფორმებით ხასიათდება. უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობისათვის კოოპერაციის ძირითად ფორმებად სტუდენტთა სტაჟირების პროგრამები და ორგანიზაციების მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში ჩართვა გვევლინება. კოოპერაციის ისეთი თანამედროვე სახეები კი, როგორცაა ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო მიმართულებების სპონსორობა უსდ-ებში და ახალ პროდუქტებსა და სერვისებზე ერთობლივი მუშაობა, ტესტირება და შექმნა, სამწუხაროდ, არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ გვხვდება.

საქართველოში უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის არასათანადო თანამშრომლობის შედეგი ნაწილობრივ არის ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს, ან შოულობს საკმაოდ ხანგრძლივი

ძეზნის შემდეგ. ამასთან, კურსდამთავრებულების შეფასებით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს მიღებული სპეციალობის მიხედვით (ჰორიზონტალური შეუსაბამობა), ხოლო მიღებული სპეციალობის მიხედვით მუშაობის შემთხვევაშიც მათი კვალიფიკაცია აღემატება (ვერტიკალური შეუსაბამობა) სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციას.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც თან ახლავს უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის არარსებობას, არის ის ფაქტი, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტებს ვერ უვითარებენ ისეთ პრაქტიკულ უნარებს, რაც აუცილებელია მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. კვლევით დასტურდება, რომ უმაღლესი განათლების სისტემა თეორიული ცოდნის კუთხით მეტ-ნაკლებად სათანადო ბაზისს უქმნის სტუდენტს, თუმცა შრომის ბაზარი დეფიციტს განიცდის კურსდამთავრებულთა ცოდნის პრაქტიკულ ნაწილში საჭირო უნარ-ჩვევების მხრივ.

საქართველოში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის შემაფერხებელ ფაქტორებად დამსაქმებლები და უსდ-ები მიიჩნევენ განსხვავებულ მოტივაციას და ხედვებს, დროისა და რესურსების ბიუროკრატიას როგორც უსდ-ებში, ასევე დამსაქმებელ ორგანიზაციაში.

საქართველოში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საჭიროა ჩამოყალიბდეს თანამშრომლობის ისეთი ფორმატები, რომლებიც ხელს შეუწყობს მხარეებმა შეისწავლონ და მხედველობაში მიიღონ ერთმანეთის სამომავლო გეგმები და ერთობლივად შეიმუშაონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები და აქტივობები. აღნიშნული პლატფორმების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს დამსაქმებელთა გაერთიანებებმა, საუნივერსიტეტო ასოციაციებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახელმწიფო ინსტიტუციებმა.

საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად აკადემიური პროგრამების შემუშავება უსდ-ების მიერ რეალურად უნდა მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. მარეგულირებელი სტრუქტურების მხრიდან მცდელობების მიუხედავად, საკანონმდებლო დონეზე შრომის ბაზართან კავშირის მოთხოვნა არ არის საკმარისი, რომ უსდ-ებმა შეისწავლონ და აკადემიურ პროგრამებს საფუძვლად დაუდონ შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნები. უნდა შეიქმნას კონკურენტული გარემო, სადაც თანამშრომლობა კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორი გახდება და უსდ-ები ბუნებრივად დაიწყებენ თანამშრომლობის გზების ძიებას.

უსდ-ებმა და დამსაქმებლებმა უნდა დაიწყონ აქტიური თანამშრომლობა მეცნიერების კომერციალიზაციის მიმართულებით. ერთ-ერთი რეალური გზა, რომელსაც შეუძლია უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის ფორმალური ურთიერთობები გადაიყვანონ ურთიერთსასარგებლო გრძელვადიან თანამშრომლობაში, არის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვლევების ერთობლივი განხორციელება. საქართველოში უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის აქტუალურ მიმართულებად უნდა დარჩეს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სტაჟირების პროგრამები.

პანდემიამ ბევრი ცვლილება გამოიწვია როგორც განათლების და ბიზნესის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ბევრ სფეროში. ცხადია, ცვლილებები შეე-

ხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობას, თანამშრომლობის ფორმებს და მიმართულებებს, თანამშრომლობის მოდელებს. კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს და რა მიმართულებით Covid 19-ის ზეგავლენის შედეგად, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ ეტაპზე კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რა მიმართულებითაც უნდა განხორციელდეს ცვლილებები, უსდ-ებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა აქტუალურობას არ დაკარგავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აროშვილი ა. (2016), ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი; ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში: განათლება და შრომის ბაზარი.
- ლეჟავა დ., & ამაშუკელი მ. (2015). *აკადემიური პროგრამების შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში*. თბილისი, სოციალური მეცნიერების ცენტრი.
- ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტი. (2016). *შრომის ბაზრის კვლევა*. ბათუმი: მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_788_1.pdf
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.
- მ.კვიციანი, ვ.კვიციანი, დ.სიხარულიძე, შ.შაბურშილი, ვ.ჭარაია (2018). „ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა საქართველოში“, გლობალიზაცია და ბიზნესი, <https://doi.org/10.35945/gb.2018.06.035>.
- Ben Ansell; Jane Gingrich. Mismatch: University Education and Labor Market Institutions. doi:10.1017/S1049096516002948. Professional Symposium. ©American Political Science Association, 2017.
- Will Bartlett; Milica Uvalic; Niccolo Durazzi; Vassilis Monastiriotis; Tanguy Sene. From University to Employment: Higher Education Provision and Labour Market Needs In the Western Balkans. Synthesis Report. 2016.
- Radovic, M., & Djuraskovic, J. (2016). Mismatch between Education System and Labour Market Needs – Enabling Environment for Sustainable Enterprises in Montenegro. Podgorica: Montenegrin Employers Federation.
- Bartlett, W. (2013). Skill Mismatch, Education Systems, and Labour Markets in EU Neighbourhood Policy Countries. WP5/20 Search Working paper.
- University-business cooperation: adapting the curriculum and educational package to labor market requirements. Proceedings of the International Conference on Business Excellence, E. Manuela. Bucharest, Romania, 2017, page 342.
- The new face of university-business cooperation in Finland, M. Ranga, J. Perälampi, J. Kansikas, Science and Public Policy 43 (5): 601-612. Spe. Issue “Universities as interactive partners”.(2016),Page 3,10
- GTAI. (2019). <https://www.gtai.de/gtai-en/invest/business-location-germany/business-climate/dual-education-system-65348>;
- State of University and Business Cooperation in Poland, T. Davey, V. Galán-Muros, A. Meerman, T. Kusio, Science-to-Business Marketing Research Centre, apprimo UG and University Industry Innovation Network (UIIN), 2013, page 10.
- Make it Germany. (2019). https://www.make-it-in-germany.com/en/study_training_training/vocational/system

ეროვნული ეკონომიკა – NATIONAL ECONOMY

დავით ჯალაღონია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი;

იური პაპასქუა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;

გივი მაკალათია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკა Covid-19-ის პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Jalagonia.Papaskua.Makalattia

ანოტაცია. COVID 19-ის ეპიდემია თანამედროვე მსოფლიოსთვის, ერთი მხრივ, გამოწვევა, მეორე მხრივ კი, ახალი შესაძლებლობების დასაწყისი აღმოჩნდა. ეპიდემიით გამოწვეულმა პანდემიამ, ადამიანების სიცოცხლის ხელყოფასთან ერთად, სახელმწიფოებრივი განმგებლობის ყველა სფერო მოიცვა, საზოგადოების არსებობის ეკონომიკური საფუძველი შეარყია, მკვეთრად წარმოაჩინა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, აგრეთვე ყველა სისუსტე და ხარვეზი, რაც გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებს გააჩნდა. შედეგად, შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, რომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს არსებული მმართველობით-აღსრულებითი დამოკიდებულებები, მათ შორის, ეკონომიკური ურთიერთობები. კორონავირუსით გამოწვეული შოკისგან თავის დაღწევა შესაძლებელია არა ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ სახელმწიფოთა ერთობლივი, მიზანდასახული და კოორდინირებული ძალისხმევით. საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ნაწილი, უნდა იყოს ამ პროცესის აქტიური თანამონაწილე.

ნაშრომში წარმოდგენილია პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მოსაზრებები კრიზისის დაძლევის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, კორონავირუსის პანდემია, გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

მსოფლიო ერთ წელზე მეტია უჩვეულოდ მრავალმხრივ, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისშია. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა მარტივი

ნამდვილად არ არის. თავისი არსით, მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არაეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ, მისი აღმოფხვრა და დასრულება მართო ეკონომიკური ბერკეტებით შეუძლებელია. შრი ლანკელმა პროფესორმა აჯით დე ალვაისიმ შექმნილ მდგომარეობას „კორონომიკსი“ შეარქვა. ამ ტერმინში კორონასა და ეკონომიკსის ურთიერთობა იგულისხმება. იგი ასახავს ვირუსის უარყოფით ზეგავლენას ეკონომიკაზე [www.ft.ik]. შეიძლება ითქვას, რომ Covid-19 „ტყუპი თავსატეხია“, როგორც ადამიანის, ასევე ეკონომიკის „ჯანმრთელობისათვის“ [Anand, 2020]. აქედან გამომდინარე, კორონომიკსი ეკონომისტთა შესწავლის მთავარი საგანი გახდა. მეცნიერ-ეკონომისტთა აზრით, 3-4 თვის განმავლობაში შეზღუდვებისგან (Lockdown) მიღებული ეკონომიკური დანაკლისი 2009 წლის რეცესიის წლიური შედეგების ტოლფასია [Asahi... 2021]. უნდა შევნიშნოთ, რომ არსებული ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად და პანდემიის ეფექტიანი მართვისათვის თითოეულ ქვეყანას დამოუკიდებელი, სუვერენული პოლიტიკის გატარებაც სჭირდება. თუმცა ამასთან, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის მაღალი კონცენტრაციის გამო, საერთო პრობლემისგან საბოლოო განრიდება სახელმწიფოთა საერთო ძალისხმევით, მსოფლიო მასშტაბით კოორდინირებული, სოლიდარობის პრინციპით უნდა გადაწყდეს.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია, შევაფასოთ საქართველოს ეკონომიკის მახასიათებელი აგრეგირებული პარამეტრები პანდემიამდე და პანდემიის პირობებში.

კორონავირუსის გლობალურად გავრცელების გამო ადამიანთა ჯანმრთელობა (სიცოცხლე) და ეკონომიკა თანაბრად აქტუალური გახდა. მატერიალურმა და არამატერიალურმა კაპიტალმა უნდა უზრუნველყოს პანდემიით გამოწვეული ყველა პრობლემის გადაჭრა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ეკონომიკა ვერ გაჩერდება - უარის თქმა მინიმალურ ეკონომიკურ აქტივობებზე კიდევ უფრო მეტად დააზიანებს ქვეყნის სტაბილურობას. პირველადი მოხმარების საგნებისა თუ მომსახურების შესაბამისი დარგების ფუნქციონირება აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის; ხოლო სხვა დარგების გაჩერება, რომელთა საქმიანობაც ადამიანის ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლეს პირდაპირ არ უკავშირდება (ფუფუნების საგნების წარმოება, მძიმე მრეწველობა, სასტუმროების, კონოთეატრების თუ სხვა გასართობი ცენტრების მომსახურება და ა.შ.) ადამიანების მოთხოვნების, ინტერესების დაკმაყოფილებას, დასაქმებას ემსახურება და, მაშასადამე, საბოლოო ჯამში, შემოსავლების შემცირებას, შესაბამისად, მათი ჯანმრთელობის გაუარესებას ნიშნავს. ამასთან, საგულისხმოა, რომ დარგები, რომლებსაც მოუწია ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა, იმათ ხარჯზე რჩება, რომლებიც პანდემიის მიუხედავად, მაინც აგრძელებდნენ მუშაობას. აქედან გამომდინარე, ობიექტურად ჩნდება რესურსების განაწილების საჭიროება, რაც სახელმწიფოს ფუნქციებში შედის და ამ მხრივ იზრდება მისი როლი. კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაღწევად, გონივრულია განისაზღვროს საღი ორიენტირი და სწორი პრიორიტეტები. ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, პანდემიამ ცალსახად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია როგორც ჯანდაცვის სისტემის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარება [აბესაძე, 2020] (მომსახურების სფეროშიც შეიძლება გამოიყოს უპირატესობის პრინციპით რიგითობა: - ჯანდაცვა, წესრიგი, განათლება... შემდგომ ტურიზმი და ა.შ.).

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს გააზრებული პრიორიტეტების დამოუკიდებელ არჩევანს და დაუშვებელია უპირატესობა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებიც, შესაძლოა, შემოსავლების აკუმულირებას უზრუნველყოფდეს, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკას არაპროგნოზირებადი ფაქტორების მიმართ მოწყვლადს ტოვებდეს. სადღეისოდ, საქართველოს ეკონომიკა სწორედ ამ პრობლემის წინაშე დგას და არც ადრე, წლების განმავლობაში წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა ემსახურებოდა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას. აღნიშნულზე ცხადად მეტყველებს ღირებულებითი კომპონენტის დინამიკა. ცნობილია, რომ ეკონომიკურ განვითარებას რამდენიმე აგრეგირებული მაჩვენებელი ახასიათებს, თუმცა მათ შორის უპირველესი ეკონომიკური ზრდაა. ცხადია, ეკონომიკურ ზრდას და, შესაბამისად, ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს ისეთი დარგები, რომლებიც აგენერირებენ მაღალ ღირებულებას (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში მისაღებია შემოსავლებს შორის უთანასწორობა).

ცნობილი ნორვეგიელი ეკონომისტის **ერიკ რეინერტის** მიხედვით, განვითარებას განსაზღვრავს არა სოფლის მეურნეობა, არამედ მრეწველობის დარგები. ამ მოსაზრებას აქვს თავისი ახსნა. რეინერტი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა შედარებით დაბალი დამატებული ღირებულების პროდუქტს ქმნის, მრეწველობის დარგი კი, მასთან შედარებით - გაცილებით მაღალს; სოფლის მეურნეობაში მოქმედებს კლებადი უკუგების კანონი, ხოლო მრეწველობაში - მზარდი უკუგების კანონი. სწორედ ეს მზარდი უკუგების კანონია მრეწველობის უპირატესობა. მისი მემშვეობით ქვეყანა საერთაშორისო ბაზარზე მეტ საბაზრო ძალაუფლებას იძენს და მოქალაქეების ცხოვრების დონის ზრდას უზრუნველყოფს [რეინერტი, 2019]. შენიშნულია ის, რომ ამგვარი მიდგომა გამართლებულია ცხოვრების ჩვეული რეჟიმის პირობებში, ხოლო ფორსმაჟორულ ვითარებაში აქტუალურობას კარგავს და პრიორიტეტები სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ იცვლება.

აღნიშნულისგან განსხვავებულია მომსახურების სექტორი, რომლის წილი, განვითარების კვალდაკვალ, ტიპური მომხმარებლის სამომხმარებლო კალათაში იზრდება. ერთმანეთისგან განასხვავებენ მომსახურების პირველად და მეორად სფეროებს. ამ ნიშნის მიხედვით, პირველადს მიეკუთვნება ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი, საფინანსო სექტორი, ხოლო შემდგომს – რესტორნის მომსახურება, ტურისტული კომპანიების მომსახურება და ა.შ.

იმდენად დიდია განათლების მნიშვნელობა, რომ საქართველოში სწავლების პროცესი არ შეჩერებულა. შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, საგანმანათლებლო სისტემა უმთავრესად სწავლა/სწავლების ონლაინ (დისტანციურ) ფორმატზე გადაეწყო [ჯალალონია... 2020].

სამწუხაროდ, 2014 წელს შემუშავებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ არ გამოყენებულა პრაქტიკაში. [www.economy.ge]. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არარსებობის პირობებში მოკლევადიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება არაკონსტრუქციულია. ცხადია, პოსტპანდემიური პერიოდისთვის უნდა შედგეს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა (სტრატეგია).

Covid 19-ის პანდემიამდე საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის არჩეული იყო სამი ძირითადი მიმართულება:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;


3. ტურიზმის განვითარება.

ბოლო წლების მიხედვით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა საშუალოდ ფიქსირდებოდა 4-5%-ის ფარგლებში, რაც განვითარებადი ქვეყნისათვის ძალზე დაბალია. მოსახლეობის ნახევარი ქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, რომლის წილი ეკონომიკაში 7,4%-ია, რის გამოც, თითოეულ ადამიანზე გადანაწილებული ღირებულება ძალზე მცირეა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლად უმუშევრობის დონე 15%-ია. ამასთან, უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო არათუ კლებადი, არამედ მზარდი ტენდენციით გამოირჩევა [www.geostat.ge]. აქედან გამომდინარე, არჩეული პრიორიტეტები გადახედვას მოითხოვს.

პანდემიის პირობებში ეკონომიკა მთლიანად დაზარალდა (2020 წელს -6,2%), მაგრამ განსაკუთრებით ტურიზმი (მასთან დაკავშირებული ინდუსტრია) მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვირუსმა შეაჩერა ქვეყნებს შორის ადამიანების მოგზაურობა (თუმცა საქონლის გადაზიდვა მსოფლიო მასშტაბით არ შეჩერებულა). ტურიზმის მდგომარეობასა და მის მიმართ დამოკიდებულებაზე წარმოდგენას იძლევა რამდენიმე განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შემდეგი სტატისტიკური მონაცემები (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი მთლიან ექსპორტში, 2019 წელი



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები. დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

წარმოდგენილი დიაგრამიდან ყურადღებას იქცევს ხორვატია, რომელსაც მთლიან ექსპორტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილის მიხედვით, დაახლოებით იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქვს, როგორც საქართველოს. აგრეთვე საინტერესოა იტალია, ისევე, როგორც საფრანგეთი, რომელთა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მთლიან ექსპორტში მხოლოდ 8%-ია (მოცემული % მაჩვენებელი დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტურისტულ ქვეყნებად ითვლებიან). ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ტურისტებისგან მიღებულ უცხოურ ვალუტაზე, პანდემიის პერიოდში სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, საქართველოს

ერთობლივი მოხმარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ტურიზმიდან და შრომითი ემიგრანტებიდან მიღებულ შემოსავლებზე, მეორე მხრივ კი, უცხოური პროდუქტების იმპორტზე [კაკულია, 2020]. პანდემიის პირობებში ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში შეფერხდა, თუმცა, საქონლის ექსპორტ-იმპორტი არ შეჩერებულა. შესაბამისად, მომავალში გარკვეული ფორსმაჟორული სიტუაციის დროს, ტურიზმთან ერთად, გლობალური მასშტაბით, საქონლის საერთაშორისო ტვირთბრუნვაც რომ შეჩერდეს, მაშინ ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს მწვავე პრობლემები შეექმნება. აღნიშნულის სიმპტომური მინიშნება არის რუსეთის მიერ წიწიბურის ექსპორტის აკრძალვა [www.business-partner.ge].

პანდემიისგან გამოწვეული უცხოური ვალუტის შემოდინების დანაკლისი მიმდინარე პერიოდში სახელმწიფოს მიერ აღებული საგარეო ვალის ხარჯზე ივსება. პანდემიამდე სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან სამამულო პროდუქტთან იყო 43%, ხოლო 2020 წელს 60,7% დაფიქსირდა. ამგვარი მკვეთრი მატება ნამდვილად არასახარბიელოა. თუმცა გამონაკლისი მარტო საქართველო არ არის - განვითარებულ ქვეყნებსაც მოუწიათ ვალის აღება, მაგრამ მათთვის ეს ვალი, რა თქმა უნდა, შედარებით ნაკლები ტვირთია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისათვის (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ვალის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში 2019-2020 წლებში

	2019 წელი	2020 წელი
იაპონია	238 %	266 %
საბერძნეთი	180 %	206 %
იტალია	135 %	156 %
პორტუგალია	117 %	134 %
სინგაპური	126 %	131 %
ესპანეთი	95,5 %	120 %
კვიპროსი	94 %	118 %
საფრანგეთი	97,6 %	116 %
ბელგია	98,1 %	114 %
აშშ	107 %	108 %
დიდი ბრიტანეთი	84,4 %	100 %
ავსტრია	70,5 %	83,9 %
გერმანია	59,7 %	69,8 %
ფინეთი	59,5 %	69,2 %
ჩინეთი	57,1 %	66,8 %
ირლანდია	57,4 %	59,5 %
პოლონეთი	45,6 %	57,5 %
ნიდერლანდები	48,7 %	54,5 %
სამხრეთ კორეა	36,4 %	42,6 %
დანია	33,3 %	42,2 %
შვედეთი	35 %	39,9 %
ჩეხეთი	30,3 %	38,1 %

ახალი ზელანდია	19 %	27 %
ესტონეთი	8,4 %	18,2 %


წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები. ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სხვა ქვეყნებმაც გაზარდეს სახელმწიფო ვალის მოცულობა, რაც ნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის წილიც იზრდება; კარგად ჩანს ისიც, რომ კრიზისის დროს აქტიურ სახელმწიფო ინტერვენციებს ეკონომიკაში განვითარებული ქვეყნებიც მიმართავენ. ამ მხრივ თვალსაჩინოდ აქტიურია აშშ, რომელიც პანდემიის პირობებში, მასტიმულირებელ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას ერთდროულად ატარებს.

აშშ-ს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის (ბიუჯეტი/მთლიანი სამამულო პროდუქტი) წილზე, ფულის მასის და ფულის ბრუნვის სიჩქარეზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

დიაგრამა 2

აშშ-ს სახელმწიფო შესყიდვების % წილი მთლიან სამამულო პროდუქტში



წყარო: www.tradingeconomics.com. მასზე დაყრდნობით, დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

გრაფიკი 1

აშშ-ს M0 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში (მლნ დოლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/united-states/money-supply-m0>

გრაფიკი 2


აშშ-ს M1 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში
(მლრდ დოლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/united-states/money-supply-m1>

გრაფიკი 3

აშშ-ს M2 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში
(მლრდ დოლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/united-states/money-supply-m2>

ფულის ბრუნვის სიჩქარე M2 ფულის აგრეგატისათვის 2019 წლის IV კვარტალში დაფიქსირდა - 1,426; 2020 წლის IV კვარტალში - 1,135, ხოლო 2021 წლის I კვარტალში - 1,123 [<https://fred.stlouisfed.org>]. ფულის ბრუნვის სიჩქარის შემცირება ობიექტური რეალობაა ეკონომიკური შეზღუდვების პირობებში [Carlson, 1989]. აშშ-ში რეფინანსირების განაკვეთი პანდემიამდე 2,5% იყო, ხოლო მიმდინარე პერიოდში 0,25%-ია. მოცემული მრუდების მიხედვით ნათელია, რომ ფულის მასა პანდემიის დაწყების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფულის მასის მკვეთრი მატებით, იაფი ფულის პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფო ვალის და სახელმწიფო შესყიდვების გაზრდის საშუალებით ცდილობს ეკონომიკის სტიმულირებას. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკით ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა განსაკუთრებით კრიზისების პერიოდში [ჯიბუტი, 2020]. რა თქმა უნდა, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის როგორც მონეტარული, ასევე ფისკალური პოლიტიკა თვისებრივად ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა აშკარაა, რომ ეკონომიკური

კრიზისების პერიოდში თუ განვითარებული ქვეყანა მიმართავს აქტიურ ექსპანსიურ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას, განვითარებად ქვეყანას მით უფრო მეტად სჭირდება ამ მხრივ ინტერვენციების გაზრდა.

შედარებისთვის, საქართველოს მონეტარულ პოლიტიკას ასახავს შემდეგი თვალსაჩინო მონაცემები:

გრაფიკი 4

საქართველოს M0 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში (ათასი ლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/georgia/money-supply-m0>

გრაფიკი 5

საქართველოს M1 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში (ათასი ლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/georgia/money-supply-m1>

გრაფიკი 6


საქართველოს M2 ფულის აგრეგატის მიწოდების სტატისტიკა 2012-2021 წლებში (ათასი ლარი)



წყარო: <https://tradingeconomics.com/georgia/money-supply-m2>

გრაფიკი 7

საქართველოს M2 აგრეგატის ფულის ბრუნვის სიჩქარე 2010-2020 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემები. მრუდი აგებულია ავტორების მიერ.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფულის მასა ეკონომიკაში წლების მანძილზე თანდათან იზრდება, რაც ეკონომიკის ზრდასთან ერთად ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს მიერ პანდემიის პირობებში ფულის მასის მკვეთრი მიწოდება წინა წლებთან შედარებით, არ იწვევს ინფლაციის დონის იმ მასშტაბით გაზრდას (წლიური ინფლაცია 2021 წლის მარტში - 2,6%, აპრილში - 4,2%. 2008 წლის შემდგომ ამგვარი მაღალი მაჩვენებელი აშშ-ში არ ყოფილა), ვიდრე ეს შეიძლება ამგვარი ფულის მიწოდების პირობებში განვითარებად ქვეყანაში დაფიქსირდეს. ეს აიხსნება იმით, რომ განვითარებულ ქვეყანაში ბაზარი კაპიტალით უფრო მეტად არის გაჯერებული, ვიდრე განვითარებად ქვეყანაში. შესაბამისად, ფულის მასის ჭარბი მიწოდების შედეგად განვითარებად ქვეყანაში ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად იზრდება. მიუხედავად ამისა, მონეტარული პოლიტიკა შეიძლება მკვეთრ ექსპანსიურ პოლიტიკასაც მოიცავდეს და, ინფლაციის გარკვეულ დონეზე მიშვების შედეგად, მაღალი ეკონომიკური ზრდის ილუზია შეიქმნას.

სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური პოლიტიკა თითოეული ქვეყნის არჩევანია და არ არსებობს ამ მხრივ ნებისმიერი ქვეყნისათვის უნივერსალური მიდგომა [Polterovich, 2005].

ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი მიიჩნევს, რომ იმპორტდამოკიდებულ ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება [Stiglitz, 2008]. საქართველოში დანერგილია ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, რაც გულისხმობს საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი ინფლაციის მიღწევას (ფაქტობრივი ინფლაცია მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს მიზნობრივი ინფლაციისაგან). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის შეზღუდვისათვის აქტიურად გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება. 2019 წლის ბოლოს რეფინანსირების განაკვეთი იყო 9%, პანდემიის დაწყების შემდგომ მცირედით შემცირდა და უმეტესი პერიოდის მანძილზე დაფიქსირდა 8%, ხოლო მიმდინარე პერიოდში კი 9,5%-ია. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება პირდაპირ ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე, რისი ცვლილების შემდგომ რეგულირდება ინფლაციის მაჩვენებელი.

პანდემიის პირობებში სწორედ ერთობლივი მოთხოვნის შემცირების პრობლემა დგას და, აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება კიდევ უფრო მეტად ზღუდავს მოთხოვნას [პაპავა, 2020]. შესაბამისად, ამ კუთხით, ინფლაციის შეზღუდვის პოლიტიკა საერთოდ უსარგებლოა. პირიქით, ამ გზით ეროვნული ბანკი არათუ ამცირებს, არამედ ხელს უწყობს ინფლაციის პროვოცირებას, რადგან ძვირი ფულის პოლიტიკის გატარების შედეგად იზრდება წარმოების დანახარჯები. აქედან გამომდინარე, განვითარებულ და განვითარებად, მით უმეტეს იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებს შორის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

იმის გამო, რომ საქართველოს სჭირდება იმპორტული საქონლისათვის უცხოური ვალუტა (მაგ., დოლარი), მიმდინარე პერიოდში სახელმწიფო იძულებულია ვალი აიღოს სწორედ უცხოურ ვალუტაში. ამდენად, პანდემიის პირობებში მონეტარულ პოლიტიკასთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკის სტიმულირებისათვის უპირატესი მნიშვნელობისაა სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება.

სადღეისოდ, მთელი მსოფლიოს ეკონომისტების წინაშე პირველი რიგის ამოცანად რჩება არა ეკონომიკური კრიზისის დასრულება, არამედ მისი მასშტაბების შემცირების უზრუნველყოფა.

დასკვნები

ამრიგად, პანდემიამდე საქართველოს ეკონომიკის განვითარება დაფუძნებული იყო სამ მიმართულებაზე 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და 3. ტურიზმის განვითარება. აღნიშნული პრიორიტეტები უზრუნველყოფდა დაბალ 4-5%-იან ეკონომიკურ ზრდას. ფორსმაჟორულ სიტუაციაში, როდესაც მკვეთრად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ტურიზმიდან მიღებული ფინანსური რესურსების მოცულობა, ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა.

პანდემიის პირობებში, ეკონომიკის სტიმულირება ძირითადად სახელმწიფო საგარეო ვალის აღების საფუძველზე ხორციელდება. 2020 წელს სახელმწიფო ვალის წილი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით 43%-დან 60,7%-მდე გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელსაც გაიზრდება.

იმპორტდამოკიდებული ქვეყნისათვის ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. პანდემიის პირობებში ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული მონეტარული პოლიტიკა ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს, ვიდრე პირიქით, - მის „შეზღუდვას“. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ზრდის წარმოების დანახარჯებს. პანდემიის პირობებში ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკა ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი კლებადის ნაცვლად მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

პოსტპანდემიურ პერიოდში აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია, რაზეც იქნება დაფუძნებული ყოველწლიურად გასატარებელი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., 2020, გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 7, № 2, გვ. 31-37.
2. კაკულია მ., 2020, კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 7, № 2, გვ. 44-55.
3. პაპავა ვ., 2020, კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი, ჟ.: „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 7, № 2 გვ. 13-17.
4. რეინერტი ს. ე., 2019, როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები ... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად, თბილისი, გვ. 578.
5. ჯალაღონია დ., პაპასქუა ი., 2020, პანდემიის პირობებში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პერსპექტივა, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, გვ. 43 – 53.
6. *ჯიბუტი მ.*, 2020, პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 7, № 2, გვ. 37-44.
7. Anand, P., 2020, Economic Policies for COVID-19. IZA-Institute of Labor Economics.
8. Asahi, K., Undurraga, E. A., Valdés, R., & Wagner, R., 2021, The effect of COVID-19 on the economy: evidence from an early adopter of localized lockdowns. Journal of global health, 11.
9. Carlson, J., & McElravey, J., 1989, Money and velocity in the 1980s. Economic Commentary
10. Polterovich, V., & Popov, V., 2005, Appropriate economic policies at different stages of development. <http://rrojasdatabank.info/appropriate.pdf>
11. Stiglitz, J., & Rashid, H., 2020, Which economic stimulus works? Project syndicate, 8.
12. Stiglitz, J. E., 2008, The failure of inflation targeting. Project Syndicate, 13.
13. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf;
14. <https://fred.stlouisfed.org/series/M2V>
15. <https://business-partner.ge/biznesi/kartul-maghaziata-asotsiatsia-mosakhleobam-tsitsiburas-aktiurad-shesqidva-daitsqo>;
16. <http://www.ft.lk/columns/Coronomics-Plan-your-eggs-and-the-basket/4-695109>
17. www.bm.ge
18. www.geostat.ge

David Jalagonia

Doctor of Economics

Professor, Sokhumi State University;

Yuri Papaskua

Doctor of Economics

Associate Professor, Sokhumi State University;

Givi Makalatia

Doctor of Economics

Associate Professor, Tbilisi Humanitarian Teaching University

GEORGIA'S ECONOMY BEFORE AND DURING THE COVID-19 PANDEMIC

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Jalagonia.Papaskua.Makalatia

Expanded Summary

The COVID-19 epidemic has proved to be on the one hand a challenge and on the other hand, the beginning of new opportunities for the modern world. The pandemic, caused by the epidemic, together with the loss of human lives, has affected all public governance areas, shaken up the economic foundation of the society and has brought to the fore the problem of economic security, and most sharply revealed all weaknesses and gaps that the global integration processes have had. As a result, the prevailing political and socio-economic crisis has shown that the existing relationship between governance and the executive, including economic relations, must be fundamentally changed. Shock syndrome following Coronavirus cannot be avoided individually, but only through joint, focused, and coordinated efforts of the states. Georgia, as part of the world economic space, must actively participate in this process.

This article provides an assessment of the economic situation in Georgia before and during the pandemic.

Keywords: *economic crisis, coronavirus pandemic, globalization, economic security, the economic policy of the state.*

The global spread of coronavirus has made human health (life) and economics equally essential. Tangible and intangible assets must provide a solution to all the problems caused by the pandemic. Based on this premise the economy cannot stop - rejection of minimal economic activity will be even more damaging to the stability of the country. The functioning of the respective areas of basic goods and fundamental services is essential for human survival; whereas shutting down of other industries whose activities are not directly related to human health or life (luxury-goods production, heavy industry, services of hotels, movie theaters, or other entertainment venues, etc.) serve the purposes, interests, and employment of people, and therefore, ultimately means lower incomes and thus deteriorating health situation. However, it should be noted that sectors that have had to cease economic activity remain at the expense of those which, despite the pandemic, still continue to operate. Consequently, there is an objective need to redistribute resources, which falls within the competence of the state, and in this respect, its role is increasing.

The economic policy of the state must take into account the wise choice of reasonable priorities and it is unacceptable to give preference to sectors that may generate revenue but can make the country's economy vulnerable to unpredictable factors. Today, Georgia's economy is

facing this particular problem but in the past as well, the economic policy that has been developed over the years has not served to strengthen the economic independence of the country. The dynamics of the value component clearly testify to this. Economic development is known to be characterized by several aggregate indicators, but the first among them is economic growth. It is obvious that economic growth and, therefore, a high standard of living are ensured by industries that generate high value. Compared to agriculture, the products of high added value are developed in the industrial sector. However, in the event of force majeure, priorities are changing in favor of agriculture.

Unfortunately, the “Socio-Economic Development Strategy 2020” developed in 2014 has not been used in practice. In the absence of an economic development strategy, the implementation of short-term economic policies may not be constructive. Obviously, a long-term socio-economic development plan (strategy) is needed for the post-pandemic period.

Before the Covid-19 pandemic, three main areas of focus were identified for the development of Georgia’s economy:

1. Attracting foreign direct investment;
2. Promoting small and medium-sized businesses;
3. Development of tourism.

In recent years, economic growth in Georgia has been about 4 to 5% on average, which is very low for a developing country.

Under the conditions of the pandemic, the economy has fully affected (in 2020 - 6.2%), but above all tourism (and its related industries) has been in a particularly difficult situation. Georgia's aggregate consumption on the one hand depends to a large extent on income from tourism and migrant workers, and on the other hand, on the imports of foreign goods. During a pandemic, the movement of people from one country to another was delayed however imports and exports of goods did not stop. Consequently, in the event of a certain force majeure situation in the future, if, in addition to tourism, the international cargo turnover on a global scale is stopped, Georgia will face serious problems in terms of economic security. Russia's ban on buckwheat exports is a symptomatic indication of this.

The deficit in foreign exchange inflows resulting from the pandemic is being covered by external debt incurred by the state in the current period. Before the pandemic debt-to-GDP ratio was 43% while in 2020 it was 60.7%. Such a dramatic increase is truly regrettable. However, Georgia is not the only exception - developed countries have also had to incur a debt, but for them, this debt is certainly a relatively smaller burden than for developing countries.

In times of crisis, developed countries often have recourse to effective state interventions in the economy. In this respect, the US has been obviously active, implementing simultaneously expansionary monetary and fiscal policies, in the face of a pandemic.

The U.S. government is trying to stimulate the economy by significantly increasing the money supply, pursuing cheap monetary policies, increasing public debt, and public procurement. While monetary and fiscal policies differ qualitatively in developed and developing countries, it is clear that in times of economic crisis, if a developed country pursues active expansionary monetary and fiscal policies, the developing country needs to increase its interventions in this regard.

The money supply in the economy has gradually increased over the years, which is a natural phenomenon as the economy is growing. However, in this case, it should be noted that the sharp increase of the money supply in the U.S. during the pandemic compared to previous years does not lead to an increase in the level of inflation to the extent (annual inflation in March 2021 of 2.6%, and in April of 4.2%) that it can be observed in a developing country in terms of such money supply. The reason for this is that the market is more saturated with capital in a developed country than in a developing country. As a result, due to excess money supply, the rate of inflation in a developing country is rising significantly. Nevertheless, monetary policy can also involve a sharp expansionary policy and, by allowing a certain level of infla-

tion, create the illusion of high economic growth. Different types of economic policies are the choice of each country and there is no universal approach for any country in this regard.

Georgia has implemented inflation targeting regime, which means achieving an inflation target over the medium term (the gap between the actual and target inflation is not expected to be significant). The National Bank of Georgia is actively using the change in the monetary policy rate to curb inflation. At the end of 2019, the refinancing rate was 9%, after having decreased slightly since the beginning of the pandemic and recorded at 8% over most periods, whereas it is currently 9.5%. The change in the monetary policy rate directly affects aggregate demand, after which the rate of inflation is regulated. In the event of a pandemic, it is the problem of reduction in aggregate demand, and hence tightening of monetary policy further limits the demand. Therefore, in this respect, the policy of curbing inflation is completely useless. On the contrary, in that context, the National Bank not only reduces but rather contributes to triggering inflation, as the implementation of costly monetary policy increases the costs of production.

Since Georgia needs foreign currency (e.g. dollars) to import goods, in the current period, the state is obliged to borrow in foreign currency. Thus, under the conditions of the pandemic, in comparison with the monetary policy, it is of paramount importance to pursue the right budgetary policy to stimulate the Georgian economy.

Natalia Dzidziguri

Doctoral student at Kutaisi University,
Member of the Municipal Council of Batumi

Niko Chikhladze

Doctor of Economics, Professor of Kutaisi University,
Professor of Akaki Tsereteli State University

THE CHALLENGES OF CORONOMICS IN GEORGIA: URBAN CONTEXT

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Dzidziguri.Chikhladze

Annotation: *In the context of coronomics, when the world is faced with many dangers and challenges, special importance is attached to joint efforts, solidarity and the redistribution of competencies. In this regard, cities can also play an important role in taking measures to combat and prevent coronomics. It is clear that globalization has no alternative, and no country can cope with the COVID-19 pandemic, that the entire world is facing.*

Keywords: *Pandemic, Coronomics, Batumi Municipality, Regulation Tools, Budget Revenues and Expenditures*

Introduction

The outbreak of the novel coronavirus (COVID-19) has swept the world since early 2020, prompting the World Health Organization (WHO) to declare it a global pandemic. Events moved quickly - stock market swings were recorded, health systems were on the brink of collapse, countries were taking drastic measures, travel and social interactions were severely restricted, production processes and links in the value chain were disrupted, first in Asia, then in Europe and the United States. ... [Babich ... 2020: 1]

Until now, economists have studied the impact of the economic crisis on the health care system as a whole, the mental health of the population and the spread of infectious diseases. However, the situation in the world has led to the following problems: the coronavirus and its global spread are already causing a large-scale economic crisis; the coronavirus has practically “turned into an economic pandemic”. [Papava ... 2020: 3]

The past period has brought great experience to the world. According to the Interim Economic Report of the Organization for Economic Cooperation and Development (OECD), positive trends have been recently emerging worldwide [OECD, 2021].

Coronomics in Georgia: Reality and Challenges.

Georgia, as part of the world, is also going through the economic crisis caused by the pandemic, and no one knows how quickly it will return to normal life.

The Interdepartmental Coordination Council chaired by the Prime Minister was established on January 28, 2020 with the aim of effective and coordinating fight against the new coronavirus in Georgia.

The council has developed a four-step plan to tackle the pandemic. Four priority areas were identified with a responsible person for each area.

- Health care - protection of health and life of the population;
- Economy - management and recovery of the Georgian economy against the backdrop of the global economic crisis;
- Security - protection of citizens;
- Supply and logistics - management of the continuous supply of food to the population. [Government Report, 2020]

According to preliminary data for 2020 of the National Statistical Office of Georgia, the decline in real GDP compared to the previous year was -6.2% (see Table 1). One of the first things the coronavirus has hit hard is the tourism sector.

Table 1

Full dynamics of the domestic product in Georgia in 2017-2020

Indicator	2017	2018	2019	2020
GDP in current prices, billion lari	40.8	44.6	49.3	49.4
GDP in constant 2015 prices, billion lari	36.6	38.4	40.3	37.8
Real GDP growth, percent	4.8	4.8	5	-6.2
Change in GDP deflator, percent	8.5	4.4	5.2	6.9
GDP per capita (in current prices) lari	10933.9	11968.0	13239.4	13292.7
GDP per capita (current prices), USD	4358.5	4722.0	4696.2	4274.6
GDP at current prices, USD billion	16.2	17.6	17.5	15.9


Source: National Statistical Office

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

The damage caused to tourism in Georgia affected both the country's macroeconomic indicators and the socio-economic situation of certain regions and cities.

(See Diagram 2,2a)

Diagram 2



Key tourism indicators

Diagram 2a



Source: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia
<http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37>

Tourism revenue in 2019 amounted to \$ 3,268.7 million, an increase of 1.4%, while in January-September, 2020 it amounted to \$ 499,1 million (see Diagram 2), a decrease of 80.7%. According to data for 2019, the share of tourism in GDP was 11.5%, and this sector employed 150,000 people.

The number of international visitors in 2019 amounted to 7,725.8 thousand people, an increase of 7.3%, according to data for 2020, it amounted 1,513.4 thousand people, a decrease of 80.4%, respectively (See Diagram 2a).

The current situation convinced us that tourism is the most sensitive area in the event of force majeure.

According to the National Statistical Office of Georgia, in 2020 Georgia's foreign trade turnover amounted to \$ 11,347.7 million, which is 14.8% less than the corresponding indicator of the previous year: exports decreased by 12% and amounted to \$ 3,342.1 million, while imports decreased by 15.9% and amounted to 8,005.6 million US dollars. Georgia's negative trade balance in 2020 decreased by 18% (\$ 1,056 million) and amounted to \$ 4,663.4 million. [5]

The COVID-19 epidemic has had devastating impacts not only on tourism, health care, foreign direct investment and remittances, but it has already reached labor markets around the world as a result of economic shocks [ILO monitoring, 2020].

For the tourism sector alone, the Georgian government has implemented three stages of anti-crisis assistance with a total budget of 200 million GEL, which implies the abolition of property tax for the tourism industry in 2020 - 45 million GEL, the exemption from income tax for the tourism industry and the deferred payment - 90 million GEL, the subsidizing hotel loans - 60 million GEL and the support for travel companies (3000 hotels) and guides - 5 million GEL. [7]

According to the government's anti-crisis plan for 2020, the citizens of Georgia, who were left without work, were provided assistance in the amount of 200 GEL within 6 months; an exemption from income tax was introduced; a refundable assistance in the amount of 300 GEL was provided for the self-employed; communal expenses were also subsidized. Assistance was provided to socially unprotected layers of the population, in order to care and support citizens, each child, including children of 17 years old, received assistance in the amount of 200 GEL.

Expenditures on the prevention of the virus spread and health care increased by 345.0 million GEL; the support for the agricultural sector increased by 139.0 million GEL; there was an additional VAT refund, etc. [8]

It should be noted that at the initial stage of the pandemic, Georgia achieved some success in the fight against COVID-19, which is confirmed by many international assessments (The Telegraph, The Washington Times, The Foreign Policy), EURACTIVE'S Reporting, the assessment of the current states of Georgia "GEORGIA TODAY", FOX NEWS, etc. [19-22]

Given the difficult situation created by the global COVID-19 pandemic, the decision of the Georgian government to return Georgian citizens, who remained abroad due to restrictions imposed by foreign countries, and provide assistance on the spot deserves a special attention as well. According to the Ministry of Foreign Affairs, 22,862 citizens returned to Georgia, and 23,296 citizens abroad were provided with all the necessary assistance. [9]

In the fight against COVID-19, some companies operating in Georgia have expressed a desire for solidarity with the state and the allocation of financial resources. To implement this private sector initiative, a corresponding platform was created in the office of the Business Ombudsman of Georgia, within the framework of which the StopCov Foundation was created and every company, like any citizen, can contribute to the fight against the virus. According to the data of April 13, 2021, 138 351 872 thousand GEL were transferred to the StopCov Fund. [10]

Given the uncertainty surrounding the coronavirus crisis, it is difficult to argue that economic stimulus for the government can lead to economic recovery. Most likely, in the

current situation, people will continue to be focused on providing basic necessities, food and medicine, what, in turn, is characterized by a high dose of imports on the example of Georgia and, as a result, leaves the country in the same vicious circle. [Papava ... 2020: 8]

Problems of Coronomics: on the Experience of Batumi.

The scale of the crisis is growing rapidly and affects both central and municipal levels. A number of types of economic activities were limited by a decree of the Georgian government, which, in turn, slowed down economic processes and, as a result, led to a reduction in tax and collection revenues [11].

The self-governing cities of Georgia, within the framework of their powers, have carried out a number of activities in the difficult conditions caused by the pandemic of the virus (COVID-19).

Actual budget revenues of the Batumi Municipality for 2020 amounted to 142 167.5 thousand GEL, which is 100.8% of the planned revenues for 2020. Income received in the form of taxes is 62,478.6 thousand GEL (43.9% of income). [12]

Table 3

Dynamics of the actual budget revenues of the Batumi Municipality (thousand GEL)

#	name	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
1	Income	87,607.8	117,242.4	115,022.2	119,877.0	155,497.8	162,247.9	168,419.0	140,757.1
1.1	bills	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	80,404.6	62,478.6
1.2	Grants and financial aid	54,416.5	76,387.1	63,170.7	51,564.0	82,154.5	81,242.1	38,463.2	60,777.6
1.3	Other income	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.1	48,950.8	49,551.2	17,500.9
2	Decrease in non-financial assets	553.4	362.6	1,626.2	5,064.7	13,139.7	4,779.7	8,824.4	1,410.4
	Total	88,161.2	117,605.0	116,648.5	124,941.7	168,637.5	167,027.5	177,243.5	142,167.5

Source: www.batumi.ge

The dynamics of Batumi's budget has been grown lately. (see Table 3) As for the revenues of the Batumi municipality, the tax revenues have decreased, other ones have decreased due to a decrease in economic activity and benefits (fees, permits and other revenues) established by the municipality.

In particular, the decline has occurred in the following directions:

- 952.7 (thousand GEL) to mobilize cleaning fees;
- 30375.5 (thousand GEL) to mobilize payments for the gambling business;
- Decrease in income from fines and sanctions 320.9 (thousand GEL);
- Income from non-financial assets 12,589.6 (thousand GEL).

Tax breaks for firms, individuals and households, tax holidays, and various counter-cyclical tax policies are also driving tax revenues. Due to the decline in economic activity and tourist visits, there is also a downward trend in local taxes and fees.

Only in the 3rd quarter of 2019 (the so-called "high season"), the number of foreign visitors to the Autonomous Republic of Adjara amounted to 26.9% (376.3 thousand people), and

accordingly, in the period after the first quarter of 2020, tourists did not enter the country at all. [13]

Against the background of a further decrease in incomes of cities (regions) due to a decrease in economic activity, employment and consumption, it is natural that such a situation especially affects the taxable profit of enterprises, including VAT.

In fact, all programs and measures, aimed at economic recovery, are designed to ease the pressure on firms and households, which would be unthinkable for them without the introduction of various tax incentives. This, naturally, will reduce tax revenues [Chikhladze ... 2021: 106-116].

In the cities of different countries, there has been observed a sharp drop in income. In cities with small and extremely open economies, such as Georgia, this is likely to be particularly sensitive. First of all, revenues from basic taxes will be reduced. As a rule, the main income of local governments is often determined by the activities of the current year (for example, taxes on income, profits and capital appreciation). Therefore, in 2021, we should expect much more difficult situation. [Chikhladze, 2021: 136]

In terms of payments, administrative, cultural, sports and other similar expenses were released from the budget of the Batumi Municipality during the pandemic.

The deterioration of the situation required inevitable financial assistance from the state. It should be noted that during 2020, 60,777.6 thousand GEL were received in the budget of the Batumi Municipality in the form of financial assistance.

29 785.0 thousand GEL was received from the state budget of Georgia in 2020 in the form of a special transfer, and 4 789.0 thousand GEL - as one more particular transfer. Financial assistance received from the republican budget of the Autonomous Republic of Adjara amounted 26 203.6 thousand GEL, which is 42.8% of the total financial assistance to the local budget. [12]

Based on the above, in 2020 the Municipality of Batumi gave priority to financing the measures necessary for the development of the city and related to capital / construction work on infrastructure, rehabilitation and operation, as well as improving the health and socio-economic situation of the city's residents. It can be said that, despite the pessimistic forecasts, the role of the fiscal guest and, as far as possible, monetary policy will be critical to mitigate the negative impact on the economy.

To reduce risks to public health and the spread of infection, the government began to create quarantine zones to temporarily isolate individuals at risk. More than 300 hotels located in the capital and different regions of the country were involved in the creation of quarantine zones. [Government Report, 2020]

In addition, the existence of the quarantine zone project contributed not only to the effective fight against COVID-19, but also to financial support for representatives in such areas as transport services, catering and food distribution, production of local agricultural products, etc.

In total, 60 quarantine zones were mobilized in the Autonomous Republic of Adjara, where up to 70 thousand people underwent mandatory quarantine. The creation of quarantine zones was an unprecedented decision. "Georgia's experience in combating the spread of the epidemic is recognized as one of the most successful in the world" - such a high assessment was given to the situation in Georgia at the 112th meeting of the Executive Council of the United Nations World Tourism Organization (UNWTO) held in Georgia on September 17, 2020. [16]

In order to prevent the spread of coronavirus and overcome the difficulties caused by the pandemic, the following programs were implemented in the republican budget of Adjara for 2020:

1. "Measures to prevent the possible spread of the new coronavirus" - 23,760,000 thousand GEL. The goal of the program was to equip quarantine zones, i.e. to provide visitors arriving in

Georgia with hotel services, food, disinfection, transport services from the customs checkpoint to a special quarantine zone and after the end of quarantine to the place of residence, etc.

2. "Equipping and operating a 170-bed multidisciplinary clinical hospital in Batumi and a program to provide personal protective equipment for risk groups" - 7,671,600 thousand GEL. The aim of the programme was to protect at-risk groups from infection with a new coronavirus (COVID-19) and to provide health services to the infected population. [17]

Within the framework of the emergency budget, in order to overcome the pandemic and support the population, the Ministry of Agriculture of the Adjara Autonomous Republic took the following measures:

- ❖ Under the Ministry's programme, agricultural land owned by farmers, with a total area of 1,400 hectares of land, was cultivated free of charge in all municipalities in the region; as part of ensuring the food security of the region, vegetable crops (cucumbers, tomatoes, eggplant, pepper, zucchini, etc.) were grown in the Gvara Greenhouse of the Agroservice Center, and parts of the population of the region were distributed free of charge;
- ❖ Research and monitoring of prices for basic food products (flour, sugar, buckwheat, butter, rice, eggs, etc.) were carried out in 19 large food supermarkets in the region;
- ❖ A Ministry hotline was established; agricultural markets in the region were monitored, etc. [17]

Coronocrisis and related processes in the fields of medicine and economics, logistics and management as a whole have clearly shown that:

Firstly, state institutions must be strong, adequate and efficient in their activities; they must have an adequate plan for the development of several scenarios and resources for the fastest possible response.

Secondly, the state should have sufficient reserves - both for medicines and for basic necessities and food, both in emergency and normal conditions, and for this it is necessary to significantly strengthen control over the formation and use of these reserves.

And **thirdly**, we share the opinion of Georgian scientists that the institutional responsibility of the state should be based on an appropriate institutional and organizational structure, which will not only control the above, but also be a body for the prevention of processes, as well as their management and prevention of a crisis in case of force major circumstances. [Archvadze, 2020]

Conclusion

Globalization has no alternative, and no country (including the United States) and no international universal organization will be independently able to cope with the COVID-19 pandemic, that the entire world is facing.

Georgia needs to understand the positive and negative international experience not only in the field of health care, but also in the management of the economic crisis.

The main task is to overcome the crisis, caused by the coronavirus epidemic, in order to minimize the damage done to the national economy, and to develop special programs to stimulate economic recovery in the post-crisis period, so that the country can get out of this difficult situation with minimal human and economic losses.

It is quite promising to support local production and it is especially attractive to produce import substitute products. It is necessary to diversify and strengthen the economic profile of the city, so that we do not depend on only one direction (tourism and services sector).

It is important to overcome the pandemic by pursuing a successful vaccination process, as well as improving the investment environment in parallel with the fight against the pandemic, in order to offer investors the right conditions on site.

We think that free trade agreements with Georgia's main trading partners, such as the European Union and China, will also help attract foreign direct investment and contribute to the country's development.

We consider it possible to create a single center for reforms, which will unite both the needs of different ministries and their capabilities, in order to provide an agreed long-term development plan.

Particular attention should be paid to young people and those with low qualifications to avoid the risk of being unemployed in the long term. For this, the state must provide assistance in maintaining jobs and business.

We think that the crisis has strengthened the role of the state, which remains the last hope in the current difficult situation for the population, because only the state can withstand the crisis with all the tools at its disposal.

references:

1. Babich I., Keshelava D., Mzhavanadze G., (2020) Economic Response to COVID-19: How is Georgia coping with the challenge? ISET Survey, p.1
URL:https://drive.google.com/file/d/1PZVySUyoz_nra8VYMHGcL6vgNDQd00o1/view
2. V., Charaia V., (2020) The Coronavirus Crisis and Some Challenges of the Georgian Economy, p.3; P.8
URL: <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>
3. OECD Economic Outlook, Interim Report Strengthening the recovery: The need for speed march 2021 Press, გვ:3 <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/34bfd999-en.pdf?expires=1616148874&id=id&accname=guest&checksum=FE6508303C2C3EC0A39C8F2430CC1174>
4. Report on Measures taken by the Government of Georgia against COVID-19 in 2020, pp.7-18 http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
5. National Statistics Office <https://www.geostat.ge/ka>
6. ILO monitor. COVID-19 and the world of work 2020, Press, გვ: 10-17
https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/documents/briefingnote/wcms_749399.pdf
7. Tourism Launch Anti-Crisis Plan
http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf
8. 2020 budget change Anti-crisis budget
http://gov.ge/files/288_76410_248804_Budget2020.pdf
9. Ministry of Foreign Affairs of Georgia. Updated statistics.
<https://mfa.gov.ge/MainNav/CoVID-19-mfa-stats.aspx>
10. Stopcov Foundation of Georgia. <https://stopcov.ge/ka/Fund>
11. Resolution of the Government of Georgia "On Approval of Measures to Be Taken to Prevent the Spread of the New Coronavirus in Georgia" (№181, 23.03.2020). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0>
12. [Report on the implementation of the budget of the Batumi municipality for 2020 - www.batumi.ge](http://www.batumi.ge)
13. Foreign visitor statistics. State Statistics Office.
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika>
14. Chikhladze N., Chikhladze L., Rusadze N., (2021) Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 15, #1 : 110-116.

- <http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html>
15. Chikhladze N., (2021) Theoretical and practical approaches to regional economic policy. MBM Polygraph. Kutaisi, p.136
 16. Georgia Hosts the 112th Session of the Executive Board of the United Nations World Tourism Organization (UNWTO). Entrepreneur Georgian team. 17.09.2020. <https://www.entrepreneur.com/article/356303>
 17. Law of the Autonomous Republic of Adjara On the budget of the Republican Autonomous Republic of Adjara 2020 <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/583b0eb435a142a38ebf33a4fed8.pdf>
 18. Archvadze I., (2020) Transformation of state function in the post-pandemic period, Kutaisi University <https://www.unik.edu.ge/News/1031>
 19. Coronavirus success story: The nation of Georgia. The Washington Times. 22.04.2020. https://m.washingtontimes.com/news/2020/apr/22/coronavirus-success-story-the-nation-of-georgia/?fbclid=IwAR2u7izMIej7aMqrLMTFbfvIBO_6R4Z_gGysJp3A4LkjqXG4CfdnjvVPG28
 20. Wilson A., The Countries That Are Succeeding at Flattening the Curve. Lessons from Taiwan, Canada, South Korea, Georgia, and Iceland show that the coronavirus can be stopped. Foreign Policy (FP), 2.04.2020. https://foreignpolicy.com/2020/04/02/countries-succeeding-flattening-curve-coronavirus-testing-quarantine/?fbclid=IwAR2adm5cRUGODbr4_L-i2-3jOHOqg0DteIUxizqWmKXol6cb1ZeXB-IKFGY
 21. Maksimov V., Georgia’s furious fight against COVID-19. 24.03.2020. <https://www.euractiv.com/section/eastern-europe/news/georgias-furious-fight-against-covid-19/?fbclid=IwAR2jzxpqcZovOqnpwph-yHtx9-UJByztWHSGOecfyl8-TFhcTkJapL5nGDI>
 22. McKay H., Prime Minister of Georgia explains why the country has had no deaths from coronavirus. Fox News, 3.04.2020. <https://www.foxnews.com/world/georgia-coronavirus-few-cases>
 23. World Bank Report (2021). Apr 05,2021 <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>

ნატალია ძიძიგური

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნიკო ჩიხლაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

კორონომიკის გამწვანებები საქართველოში: ქალაქის კონტექსტი

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Dzidziguri.Chikhladze

რეზიუმე

კორონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ ძალისხმევას, სოლიდარობას და კომპეტენციათა გადანაწილებას.

აშკარაა, რომ გლობალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია და ვერცერთი ცალკე აღებული ქვეყანა ვერ გაუმკლავდება მსოფლიოს წინაშე არსებულ COVID-19 პანდემიას.

საქართველოში თვითმმართველმა ქალაქებმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, შეზღუდული რესურსების და COVID-19 პანდემიით გამოწვეული რთულ პირობებში განახორციელენ რიგი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გადასახდელების კუთხით პანდემიის პერიოდში გამოთავისუფლებული იქნა ადმინისტრაციული, კულტურული, სპორტული და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯები, მუნიციპალიტეტის მიერ დაწესდა შეღავათების ნუსხა, შეიქმნა საკარანტინე სივრცეები, აჭარის 2020 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელდა სხვადასხვა პროგრამები კორონავირუსის გავცელების პრევენციისა და პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევის მიზნით და ა.შ.

მნიშვნელოვანია პანდემიის დაძლევა, როგორც ვაქცინაციის პროცესის წარმატებით ჩატარება, ისე პანდემიის მართვის პარალელურად საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება, რათა ინვესტორებს ადგილზე შევთავაზოთ სათანადო პირობები.

ვფიქრობთ, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების რეალიზება, რომელიც გააჩნია საქართველოს მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან და ჩინეთთან), ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

საკმაოდ პერსპექტიულია ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და განსაკუთრებით მიმზიდველია იმპორტ ჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოება, საჭიროა ქალაქის ეკონომიკური პროფილის დივერსიფიკაცია და გაძლიერება, რათა არ ვიყოთ მხოლოდ ერთ მიმართულებაზე დამოკიდებული (მაგ. ტურიზმი და მომსახურების სფერო).

შესაძლებლად მიგვაჩნია შეიქმნას რეგორმების ერთიანი ცენტრი, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა სამინისტროების როგორც საჭიროებებს, ისე შესაძლებლობებს, რათა კოორდინირებულად შემოგვთავაზონ გამოწვევათა დაძლევის გრძელვადიანი გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს და ნაკლებად კვალიფიციურ ადამიანებს, რათა მათ პერსპექტივაში თავიდან აიცილონ უმუშევრად დარჩენის საშიშროება. ამისათვის მთავრობამ უნდა გაუწიოს დახმარება ბიზნეს სექტორს სამუშაო ადგილებისა და ბიზნესის შენარჩუნებისათვის.

ნათელია, რომ კრიზისმა გააძლიერა სახელმწიფოს როლი და ის რჩება მოსახლეობის უკანასკნელ იმედათ რთულ სიტუაციაში, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია წინ აღუდგეს კრიზისს, მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტით.

ტურიზმი – TOURISM

ელისაბედ ბალიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი

ერთხელ კიდევ საქართველოს მთიანეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Baliashvili

ანოტაცია. სტატიაში - „ერთხელ კიდევ საქართველოს მთიანეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ“ - როგორც მისი სათაურიც გვიჩვენებს, განხილულია ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში მისი მთიანი ნაწილის - სვანეთის, ხევსურეთის, თუშეთის, ფშავის და სხვა მთიანი მხარეების კონტექსტში.

სათანადო ინფორმაციით სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოს ამ მთიან მხარეებს დიდძალი ტურისტული სიმდიდრე გააჩნიათ და თუ რამე უშლის ხელს იქ ტურიზმის ინტენსიურ და ფართო მასშტაბით განვითარებას, ეს არის მათი კეთილმოწყობლობა. მთავრობის მხრიდან მთის მიმართ პასიური დამოკიდებულება, ავტორის აზრით, საბჭოური მემკვიდრეობაა, ხოლო მთის კეთილმოწყობაზე დახარჯული სახსრების სიმცირე - „ინვესტიციური ახლომხედველობა“.

თავისი მოსაზრებებით და სხვა მეცნიერთა ნაშრომებიდან მოყვანილი ამონა-რიდებით ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოს მთიანეთს, ტურიზმის გარდა, სხვა დარგის განვითარების ალტერნატივა არ აქვს. ამიტომ საქართველოს მთიანეთი მხოლოდ ტურიზმისთვის უნდა გამოვაცხადოთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონად და მივცეთ ყველა საჭირო შეღავათი. საქართველოს მთიანეთის კეთილმოწყობის და იქ ტურიზმის განვითარების საუკეთესო მაგალითად ავტორს ურუგვაი მიაჩნია.

საკვანძო სიტყვები: მთიანეთი; მთის ტურიზმი; მთიანეთის ტურისტული პოტენციალი; მთიანეთის ინფრასტრუქტურა.

შესავალი

საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე ბევრი იწერება. მისით დაინტერესდნენ მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც. საქართველოში იგი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული. ტურიზმის განვითარებით არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოა დაინტერესებული. მასზე მოთხოვნა დიდია, მისი დაკმაყოფილების დანახარჯები კი - შედარებით მცირე.

ქართველი მეცნიერის ვლ. პაპავას აზრით, „მხოლოდ ტურიზმით ფეხზე ვერ დავდგებით“ [1, გვ. 8]. ჩვენი აზრით, ეკონომიკის ეს სექტორი საქართველოს იმ რეგიონებში უნდა განვავითაროთ, სადაც სხვა დარგები ვერ განვითარდება, და სადაც ტურიზმის განვითარებისთვის უნიკალური რესურსია თავმოყრილი. ჩვენს ქვეყანაში კი ასეთს საქართველოს მთიანეთი წარმოადგენს. მისი დასახლებები ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური და ეთნოკულტურული თავისებურებების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც დაბლობის საცხოვრებელი არელებისგან, ისე ერთმანეთისგანაც.

ყველასათვის ცნობილია, რომ მთის განვითარებისადმი განსაკუთრებული პოლიტიკის გატარების საჭიროება აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 2012 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ გაერთიანებული ერების კონფერენციაზე კვლავ დადასტურდა მაღალმთიან რეგიონებში მდგრადი განვითარების აუცილებლობა. საქართველოს მთავრობა მიერთებულია „რიო +20-ის“ 2012 წლის N66/288 დეკლარაციას და შესაბამისად აღებული აქვს მთის რეგიონების მდგრადი განვითარების ვალდებულება საერთაშორისო დონეზე, რაც უდავოდ მისასაღებელია.

არის ასეთი მოარული ფრაზა: „მთის გადარჩენა ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს“-ო. ეს ფრაზა, ალბათ, უფრო ქვეყნის თავდაცვის მნიშვნელობითაა შექმნილი, რადგან მთა ერთგვარი ზღუდეა, დაბრკოლებაა მტრისთვის და არა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობით. თუმცა, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, საქართველოს მთას, თვით მაღალმთიანსაც კი, და მის მუდმივი თოვლ-ყინულით დაფარულ მწვერვალებს - მყინვარწვერს, თეთნულდს, შხარას და სხვებს, ეკონომიკური განზომილებაც გააჩნიათ. ამ განზომილებას მას მხოლოდ ტურისტები აძლევენ - ვიღაცას მათი დალაშქვრა სურს, ვიღაცას კი - მხოლოდ მათი მზერით ტკბობა. ამაში ისინი მყარ ვალუტას იხდიან, რომელიც ქართველ ხალხს - მშვიერს, ჩაუცმელს, დაუხურავს - ძალზე სჭირდება.

ცნობილია, რომ შემოსავლებში მოსახლეობის უთანასწორობა მსოფლიოში კი არ მცირდება, არამედ იზრდება. განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად მდიდართა კლასის ზედა 1%-ის შემოსავალი მთლიანი შემოსავლის 10%-ია [2]. აშშ-ში სიმდიდრის ერთ მესამედს მოსახლეობის 1% ფლობს, ხოლო, ასევე, 1%-ის ხელშია მსოფლიო სიმდიდრის თითქმის ნახევარი [3]. მსოფლიო სიმდიდრე კი ცოტა არ არის. იგი 110 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ამ სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს მისი მეპატრონეები დასვენებისა და მოგზაურობისთვის ხარჯავენ. განსაკუთრებით მოსწონთ მათთვის უცნობი, თვითმყოფი მხარეები. ერთ-ერთი ასეთია საქართველო.

ისედაც ტროპიკულ აფრიკაში, მიმდინარე გლობალურმა დათბობამ კილიმანჯაროს მთაზე თოვლის დნობას შეუწყო ხელი. ტანზანიაში „ტირიან“ - მდიდარი ტურისტები შეგვიმცირდებიანო. მათ, მხოლოდ ეს ერთი მაღალი მთა აქვთ, ჩვენ კი მრავალი - თოვლიანიც და უთოვლოც...

მთებს საქართველოში ორ მესამედზე მეტი უკავია: საქართველოს ტერიტორიის 26,7% - 500 მეტრზეა ზღვის დონიდან, 24,7% - 500-დან 1000 მეტრზე, 19,1% - 100-1500 მეტრზე, 31,5% - 1500-3000 მეტრზე, ხოლო 1,5% - 3000 მეტრზე ზევით მდებარეობს [4, გვ. 109-110].

მთიანეთის განვითარების პრობლემის მიმართ განსაკუთრებით შეიცვალა დამოკიდებულება რიო-დე-ჟანეიროს სამიტის შემდეგ, რომელიც ჩატარდა 1992 წელს და, რომელზეც მთიანეთის განვითარების ფუძემდებლურ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზად ამავე სამიტზე მიღებული მდგრადი განვითარების კონცეფცია იქნა აღიარებული. ამას მოჰყვა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სამიტები (ინდონეზიის - 2002 წელს, იოანსბურგის - 2002 წელს, ბიშკეკის - 2003 წელს), რომელთა შემდეგაც „მთიანეთის მიმართ მეცნიერების მიდგომები ერთმანეთს დაუახლოვდა და მიღწეულია კონსენსუსი: მთიანეთი განიხილება, როგორც უნიკალურ ფუნქციურ-ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მსოფლიოს (შესაბამისად, ქვეყნების) განვითარების პრო-

ცესში. დაკონკრეტდა მთიანეთის როლი და მნიშვნელობა გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა მთის რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განმტკიცებას, კერძოდ, ცხოვრების წესს, მეურნეობის ტრადიციებს, ფოლკლორის მრავალფეროვნებას და სხვას“ [4, გვ. 110].

მდგრადი განვითარების საკითხი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას წარმოადგენს. იგი რთულ საზოგადოებრივ პროცესებს მოიცავს. გაეროს შეფასებით, „იგი უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ამავდროულად მომავალი თაობების განვითარების ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს [5, გვ. 128]. მდგრადი განვითარების კონცეფცია ფართოდ განიხილება ქართველი მეცნიერების მიერაც. მდგრადი ტურიზმის განვითარების ტრანსდისციპლინურ კვლევაზე ნაშრომები გამოაქვეყნეს პროფესორმა ი. ხელაშვილმა [6] და პროფესორებმა ი. იაშვილმა და თ. დოლონაძემ [7]. პროფესორმა ი. ხელაშვილმა საქართველოს მთიანი, შავიზღვისპირა და დაცული ტერიტორიების მაგალითზე, პროფესორებმა ი. იაშვილმა და თ. დოლონაძემ კი - იმერეთის სოფელ ყუმისთავის მაგალითზე.

ქართველი მეცნიერების დაინტერესება მდგრადი ტურიზმის განვითარებით იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტურიზმს, განსაკუთრებით სამთო ტურიზმს, თუ მისი განვითარებისას გათვალისწინებული იქნა მაღალმთიანი რელიეფის რისკები, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს მდგრად განვითარებაში.

ზოგადად, საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური პრიორიტეტულობის კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთია რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინების რეზერვების არსებობა, რომელსაც იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე [8, გვ. 224].

ამ მხრივ განსაკუთრებით მისახედია საქართველოს მთიანი რეგიონები, რომლებიც იცლება მოსახლეობისგან სამუშაო ადგილების არქონის გამო.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს აქვთ უნიკალური ტურისტული რესურსების უაღრესად დიდი მარაგი და მთელი წლის განმავლობაში მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ამ რესურსის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მდგრადი განვითარების პრინციპების ფარგლებში [9, გვ. 442].

საქართველოს მთის რესურსები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ტურიზმის სამთო, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სათავგადასავლო ტურიზმის ისეთი სახეების, როგორცაა - მთამსვლელობა, სამთო-საფეხმავლო ტურიზმი, მეკლდეურობა სამთო-სათხილამურო ირატიინგი და ფრისტალი, სამთო-ველოსახეობები, რაფტინგი, გაყინული ჩანჩქერების გავლა და სხვა, რომლებზეც მოთხოვნა მსოფლიოში სულ უფრო იზრდება.

ქართველ მეცნიერს კ. არაბულს საქართველოს მთიანეთის განვითარება და მთაში ადგილობრივი მოსახლეობის დაკავება მხოლოდ ტურიზმით წარმოუდგენია და ამას იგი ასაბუთებს შემდეგი არგუმენტებით [10, გვ. 447]:

1. სასარგებლო სამიწათმოქმედო ფართობების სიმცირე.
2. დამუშავებული ფართობების მცირეკონტურიანობა, ტერიტორიული დაქსაქსულობა და დიდი დახრილობა.
3. მიმე კლიმატურ-ნიადგობრივი პირობების გამო მცირე მოსავლიანობა.
4. სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის სიმედე.

5. მრეწველობის განვითარების არახელსაყრელი პირობები.

მეცნიერ კ. არაბულის ეს არგუმენტები სრულიად საკმარისია საქართველოს მთიან მხარეებში - სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ხევსურეთში, თუშეთში, სამცხე-ჯავახეთში, მთიულეთში, ფშავში, მთიან აჭარაში და სხვაგან - ტურიზმის მაღალ დონეზე განვითარების დასასაბუთებლად. ეს არგუმენტები სრულიად საკმარისია იმისთვისაც, რომ საქართველოს ამ მხარეებს მიეცეს ტურისტული სპეციალიზაცია, თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსი და ასე დაფიქსირდეს იგი საქართველოს გრძელვადიანი განვითარების გეგმაში: დღეს მათ ასეთი სტატუსი არ აქვთ.

ამასთან, საჭიროა სამთო ტურიზმისთვის შეიქმნას და ამუშადვეს სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა თავისუფალი ზონის კონტექსტში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება და სახელმწიფოს პრივილეგიური მხარდაჭერა იაფი კრედიტების მიღებაში. ასეთი მხარდაჭერით სამთო ტურიზმი შესამჩნევ წარმატებებს მიაღწევს და, რაც მთავარია, მთის სოფლები აღარ დაიცლება მოსახლეობისგან. ისინი აქტიურად ჩაერთვებიან ტურისტების მომსახურებაში და ექნებათ შემოსავალი. ამის კარგი მაგალითია კარპატები, რომელიც პოტენციურად საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დესტინაციას წარმოადგენს [11].

მაგრამ სამთო ტურიზმის განვითარებას აქვს ერთი შემაფერხებელი ფაქტორი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი სეზონურია და ზამთრის პერიოდში, გარდა ტურიზმის ზამთრის სახეობებისა, მასზე მოთხოვნილება მცირდება. თუმცა, ეს ფაქტები არ უნდა მივიღოთ გადაულახავ წინააღმდეგობად, რადგან, ზამთარი მხოლოდ სამ თვეს გრძელდება და თუ დანარჩენ სეზონებზე (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) მთას ტურისტებით კარგად დატვირთავთ, მთის მოსახლეობა საკმარის შემოსავალს მიიღებს. ამის გარდა, სეზონურია სოფლის მეურნეობაც, მაგრამ ამის გამო, რომელიმე ქვეყანას უთქვამს უარი მის განვითარებაზე?

საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარება დაწყებულია, მაგრამ იგი რამდენადმე უსისტემოდ ხორციელდება, განსაკუთრებით ეს ეხება ტურისტების მომსახურების კერძო საწარმოებს - კვების ობიექტებს, საოჯახო სასტუმროებს და სხვებს. მოთხოვნა საკუთარ პროდუქტზე მათ არ იციან, რადგან, მათ ბაზრის შესწავლის არც განათლება აქვთ, და, რომც ჰქონდეთ, მათ შესაბამის ინფორმაციაზე არ აქვთ წვდომა. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია ამ ფუნქციას რამდენადმე თვითონ ახორციელებს, მაგრამ, იგი მთის რეგიონებისთვის მას ცალ-ცალკე არ სწავლობს. არადა, როგორც აღვნიშნეთ, ყველა რეგიონი განსხვავებულია და პრობლემებიც შეიძლება არაიდენტური იყოს. ეს უდუდესი შეცდომაა. აღნიშნული გარემოება კი მოითხოვს რეგიონების მიხედვით დიფერენცირებულ და, ამავე დროს, ყველა დონეზე ლოგიკური კავშირის მქონე ტურიზმის სტრატეგიული განვითარების პროგრამების არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებთან მიმართებაში ან არ არსებობს ასეთი პროგრამები, ან არსებული პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მეცნიერულად დამუშავებულ პროგნოზირების საფუძვლების ნაკლებობას განიცდის.[12]

ამ ჭრილში ამ საკითხის შესწავლა იმიტომ არის აუცილებელი, რომ საქართველოს მთიანი ადგილები ურთიერთგანსხვავებულია და ისინი ტურისტებს სხვადასხვა სახის ტურისტულ მომსახურებას სთავაზობენ. მათგან ვერც ერთი მათგანი ავტოგზებით, თუ სატრანსპორტო და სასტუმრო მომსახურებით ტურისტებს (განსაკუთრებით, უცხოელ ტურისტებს) ვერ გააკვირვებს, მაგრამ, სანახაო-

ბითი ტურებით, სასიარულო და საწყალოსნო მარშრუტებით, საექსკურსიო-შემეცნებითი ტურებით, სათხილამურო და თევზსაჭერი ტურიზმით, ბუნების ძეგლებით და სალამქრო ხეობებით - კი.

ტურისტებისთვის საინტერესო და მიმზიდველი იქნება სვანეთის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტი და ტურისტული ადგილები [13, გვ. 50]: მღვიმე (ზარგამი); სათევზაო ტურიზმი (ჭუბერი, ლახამულა, ივარი); საცხენოსნო ტურიზმი (მესტია-ჟაბე-ადიში-ივრალი-უშგული); ბუნების ძეგლები (მდ. ღალდე-ჭალადის აუზის ზემოწელში „ფეხულის ქვის“ ლოდი, ადიშის ყინულარდნილი); სალამქრო ხეობები (თვიბერი-ჟაბეში, უშგული-შხარის მყინვარი, უშბის მყინვარი და სხვები), გადმოსახედი ადგილები (მესტია, ზურულდი, გვალდი, ჰაწვალი, ჰემკილდი); სამთო-სათხილამურო ადგილები, საჯომარდო ადგილები (ჭალა, ბეჩო, ნაკრა (ზედა წელში), უშგული) და სხვა მრავალი.

არანაკლები რესურსული შესაძლებლობები აქვს რაჭა-ლეჩხუმს, თუშეთს, ხევსურეთს და სხვა მთიან ადგილებს. იმის მიუხედავად, რომ რაჭა-ლეჩხუმში ბუნების ძეგლებიც მრავლადაა, მდინარეები და ტბებიც და სალამქრო ხეობებიც, რომელთა მეშვეობით ეს მხარე მრავალნაირ ტურისტულ მომსახურებას სთავაზობს ვიზიტორებს, ტურისტები პრიორიტეტულად მაინც თვლიან სოფლის ტურიზმს, კერძოდ, რეკრეაციულ ტურიზმს. ეს არჩევანი კვლევითაა დადგენილი [14, გვ. 175]. რადგან ეს ასეა, საჭიროა მისი უზრუნველყოფი პროგრამების შექმნა.

თუშეთი, სადაც უკვე 47 საოჯახო სასტუმროა გახსნილი [6, გვ. 141], ტურისტებს აინტერესებთ ულამაზესი პეიზაჟებით, მთებში და ჭიუხებში მოგზაურობით, მთის მდინარეებზე თევზაობით, ჯიხვებზე ნადირობით, თუშური ოჯახების ყოფაცხოვრების დათვალიერებით - ლუდის ხარშვა, მატყლის ჩეჩვა, პაჭიჭების ქსოვა, „მაჭკატების“ ცხოზა და ა. შ.

ასევეა ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი. ეს მხარეებიც ტურისტებს სთავაზობს ულამაზესი ბუნების სანახაობას, სათევზაო და საცხენოსნო ტურიზმს, წყალჯომარდობას, თხილამურებით სრიალს (გუდაური) და სხვა მრავალს.

საქართველოს მთიანეთში არსებული ასეთი უამრავი ტურისტული რესურსის მიუხედავად, კვლევის თანახმად, რომელიც 2016 წლის მაის-აგვისტოში ჩატარდა, საქართველოში შემოსულ უცხოელ ტურისტთაგან გუდაური მოინახულა მხოლოდ 3,8%-მა, მესტია და უშგული - 6,7%-მა, ყაზბეგი - 10,5%-მა, ბაკურიანი - 3,2%-მა. ასეთ დროს, ქუთაისი მოინახულა - 13,8%-მა, ბორჯომი - 15,2%-მა, სიღნაღი და გორი - 11,7%-მა [14, გვ. 44]. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ უცხოელი ტურისტები ნაკლებად არიან ინფორმირებული საქართველოს მთიანეთზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია მთაში არსებულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების სავალალო მდგომარეობაც, ხოლო ხევსურეთში, ხევსა თუ თუშეთში კი - განთავსების ადგილების ნაკლებობა (მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას) [14, გვ. 56]. საქმე ის არის, რომ ყველგან საქართველოში, მთაშიც და ბარშიც, საოჯახო სასტუმროების გახსნა მხოლოდ შედარებით შეძლებულმა ოჯახებმა შეძლეს (ღარიბი ოჯახებისთვის ასეთი ხარჯის გაღება შეუძლებელია), ისინი კი მოსახლეობის მეტად მცირე ნაწილს შეადგენენ. თუ მთიან რეგიონებს ტურისტული სტატუსი მიეცემა და, ამასთან, მოსახლეობა კრედიტებსაც დაბალი პროცენტით აიღებს, მაშინ ღარიბი ოჯახებიც შეძლებენ საოჯახო სასტუმროების გახსნას და ეს პრობლემა მოიხსნება.

საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი დიდი გულშემმატკივარი - პროფესორი კობა არაბული წერს: „ამ საკითხზე საუბარი დაუს-

რულებლად შეიძლება, როცა ქვეყნის ისტორია, მისი სულიერი და ყოფითი კულტურა ამის საშუალებას იძლევა... მთავარია ის, რომ თითოეულ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რითაც ეს ქვეყანა, ეს ხალხი არის უნიკალური... საქართველოს მაგალითზე, მთელი ეს სიმდიდრე, როგორც იტყვიან ხელის გულზე დევს...“ [10, გვ. 474].

საქართველოს მთის, კერძოდ ხევსურეთის მეორე გულშემატკივარი იაგო არაბული, პროფესიით გერმანისტი, 2018 წლის 22 მარტს, ქ. ბერლინში ქართული საზოგადოებისთვის წაკითხულ მოხსენებას თემაზე - „ხევსურეთი - თანამედროვეობა და წარსული“, ასე ამთავრებს: „ჩვენ ჯიუტად ვცდილობთ ძველი წეს-ჩვეულებების და ტრადიციების შენარჩუნებას და ოჯახებისთვის ჩვენი ტურისტული აქტივობით დამატებით შემოსავლების გაჩენას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ხევსურეთს დღეს სჭირდება სწორი, ეფექტიანი, რაციონალური პოლიტიკა, ინვესტიციები და ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს“ [15, გვ. 35].

ჩვენი აზრით, ერთიც მართალია და მეორეც. თანაც, ეს სიმართლე ეხება არა მხოლოდ ხევსურეთს, არამედ საქართველოს მთიანეთის ყველა მხარეს - თუშეთს, რაჭას, ფშავს, მთიულეთს, ხევს, სვანეთს და სხვებს. კობა არაბული მართალია იმაში, რომ ამ მხარეებში ყველგან ტურისტული სიმდიდრე თითქმის პირველყოფილი სახით მართლაც ხელის გულზე დევს და გამოყენებას ელოდება. იაგო არაბული კი მართალია იმაში, რომ საქართველოს მთიანი მხარეების სოფლები თითქმის დაცლილია ახალგაზრდობისგან, მოხუცებს კი, სამეწარმეო ცოდნა არა აქვთ. მთიდან ახალგაზრდობა ან ბარში (ქალაქებში) ჩამოდის სამუშაოს საშოვნელად, ანდა ემიგრაციაში მიდის საზღვარგარეთ.

მთის კიდევ ერთი ჭირისუფალი, ხევსურეთში მცხოვრები პოეტი ნიკო ზვიადაური თავის ერთ-ერთ ლექსში უფალს შესთხოვს: „უფალო გადააჩინე ყუნწზე მისულე ფხოვლები!“ [16, გვ. 56]. ეს მდგომარეობაც მხოლოდ ფხოვში, ანუ ფშავ-ხევსურეთში არ არის. იგივე მდგომარეობაა რაჭაში, თუშეთში, მესხეთსა და სხვა მთიან ადგილებში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სვანეთში.

დიახ, ტურისტული სიმდიდრე გვაქვს, მაგრამ, ადგილობრივი მოსახლეობა ისე კატასტროფულად შეძვრიდა, რომ ფაქტობრივად ამ სიმდიდრის მომხმარებელი აღარ დარჩა. „2014 წლის აღწერის მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე დასახლებებში დაახლოებით 331.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 28%-ით ნაკლებია“ [17, გვ. 15]. არც დღეის მდგომარეობა იქნება სახარბიელო, ვითარება მხოლოდ და მხოლოდ უარესდება.

კარპატებში 1,3 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მათაც უჭირთ ტურიზმის უზრუნველყოფა სათანადო კადრებით [11], ჩვენს მთიანეთში კი, მოსახლეობა, როგორც პოეტი ნიკო ზვიადაური წერს, „ყუნწზეა“ მისული. ამიტომ საქართველოს მთიანეთში, უპირველესად, უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა - გზები, ხიდები, კომუნალური მეურნეობა და სხვა, რომ მოსახლეობამ დაიწყოს დაბრუნება. პარალელურად კი, ტურიზმის განვითარების მიმართულებით ისეთი კომპლექსური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, როგორც განხორციელდა და დღესაც ხორციელდება ურუგვაიში, რომელშიც ჩართულია ქვეყნის მთავრობა მთლიანად, ეროვნული კონგრესი, რეგიონული მმართველობები, ტურიზმის კომისია, წარმომადგენლობითი პალატა, კერძო სექტორი, ტუროპერატორები და კერძო პირები [11].

საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, გზების მოვლა-შენახვის, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულია 1387,7 მლნ ლარი [18]. გრანდიოზული ციფრია! ამ თანხაში რომ მთიანეთის კეთილმოწყობა პრიორიტეტი ყოფილიყო, მაშინ, ამ ორ წელიწადში ბარიდან მთაში მოსახლეობის „დიდი დაბრუნება“ დაიწყებოდა. ან ამ თანხის ნაწილი მოხმარებოდა ტურისტული რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას. დღეს საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებმა აჩვენა, რომ მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა იმდენად ტურისტული რესურსების არსებობა, რამდენადაც მისი ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური მართვის მეთოდების გამოყენებით. [19]

რადგან ეს პროცესი არ დაწყებულა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ მთის დანიშნულება და მნიშვნელობა ვერ გაიცნობიერა.

ამიტომ იწერება ამ თემაზე სტატიები ხშირად. ეს სტატიაც ამიტომ დაიწერა. მთას ტურიზმის გარდა, სხვა რესურსი არ აქვს, ტურიზმს კი, მაღალი შემოსავალი მოაქვს. ამიტომ, ჩვენი წინადადებაა, მივხედოთ საქართველოს მთიანეთს, კეთილმოვანყობთ იგი და **მხოლოდ ტურიზმისთვის** გამოვაცხადოთ იგი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად ყველა იმ შეღავათებით, რომელიც ეძლევა ასეთ ზონებს. მაღალმთიანი რეგიონის შესახებ კანონის შემუშავება და მასში, მთაში დასაქმებულთათვის ხელფასზე 30 თუ 50 ლარის დამატება მთის დემოგრაფიულ სიტუაციას ვერ შეცვლის, ვერც ბავშვების შექმნაზე ერთჯერადი 1000-1600 ლარიანი დახმარებები უშველის საქმეს. მთაში „რადიკალური გარღვევა“ საჭირო.

დასკვნა

საქართველოს მთიანეთს - ხევსურეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავს თუ სხვებს - ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება პირდებოდა კეთილმოწყობას. ეს დაპირებები შემდეგშიც გაგრძელდა და დღესაც გრძელდება. საბჭოთა პირობებში ტურიზმი რიგითი დარგი იყო და მის განვითარებას მთას არავინ არ უკავშირებდა. დღეს ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორია და სწორედ საქართველოს მთებში დევს მისი განვითარების რესურსი. ასეთ დროს, საქართველოს ბიუჯეტის განაწილებისას აშკარად სახეზე გვაქვს საბჭოური „მემკვიდრეობითობა“ და „ინვესტიციური ახლომხედველობა“. აშკარად გვეშლება არჩევანი. საქართველოს რომ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება ჰყავდეს, რომელიც გააკონტროლებს ქართული სამთავრობო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს, მაშინ არსებული ტრაექტორია შეიცვლებოდა. საქართველოს მთიანეთის კეთილმოწყობა ტურიზმის განსავითარებლად, მთიანეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროექტისთვის სოლიდური თანხების გამოყოფა საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესია. დაუშვებლად მიგვაჩნია მასების ინტერესების იგნორირება და ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის „სახვალიოდ თუ საზეგაოდ“ გადადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **პაპავა ვლ.** ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გასაღები მედიცინაში ძვეს. გაზეთი „კვირის პალიტრა“. 1-7 მარტი. 2021. გვ. 8.
2. **Alvaredo F., Atkinson B., Piketty T., Saez E.** (2013). the Top 1-percent in International and Historical Perspective. NBER Working Paper 19075. National Bureau of Economic Research. Cambridge. Massachusetts.
3. **Fuentes Nieva R. and Calasco N.** (2014). Working for the Few-Political Capture and Economic Inequality.
4. **ჭითანავა ნ.** საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების თავისებურებები და პერსპექტივები. ნაშრომში - „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბ., 2010.
5. **Волянский С. К., Калужный Д. В.** Третий путь цивилизации. М., 2002.
6. **ხელაშვილი ი.** მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინარული კვლევების აქტუალურობა ბიზნესში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #3. 2017. გვ. 131-143.
7. **იაშვილი ი., დოღონაძე თ.** ტრანსდისციპლინარული კვლევა მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #2. 2018. გვ. 110-121.
8. **მეტრეველი მ.** ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბ., 2011.
9. **გაბუნია დ., ქართველიშვილი გ.** საქართველოს მთიანეთის ტურისტული რესურსების ეფექტურად ათვისების ზოგიერთი ასპექტი. ნაშრომში - „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბ., 2010.
10. **არაბული ვ.** საქართველოს მთიანეთის ტურიზმის განვითარების თანამედროვე ასპექტები. ნაშრომში - „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბ., 2010.
11. **კვარაცხელია ნ.** კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ტურიზმში, როგორც პრაგმატული სახელმწიფო პოლიტიკის წარმატება, ურუგვაისა და უკრაინის მაგალითზე. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბ., 2010.
12. **Katsitadze N.**(2020) Methodological Recommendations for Forming and Developing Priority Directions of Racha Rural Tourism (“Economics and Business”).
13. **აფციაური მ.** ტურიზმის განვითარების საინვესტიციო მენეჯმენტი, კვლევა. თბ., 2015.
14. **აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ფარესაშვილი ნ.** უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯები საქართველოში. თბ., 2018;
15. **შრადე რ.** ხევსურეთი, 1960-1977-2012. თსუ გამომცემლობა. 2015.
16. **ჯაფარიძე ს.** სულის პური. თბ., „ჩვენი მწერლობა“. 2016.
17. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“. თბ., 2018.
18. **ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისთვის.** თბ., 2020.
19. **Katsitadze N.** (2018) State Policy in Tourism – Business (MICE) Tourism in Georgia, “Economics and Business,” vol. XI, #4.

Elisabed Baliashvili

*Doctor of Economics, Invited staff of the Faculty of Economics
and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

ONCE AGAIN ON THE MOUNTAIN TOURISM POTENTIAL OF GEORGIA

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Baliashvili

Expanded Summary

In the article - "**Once again on the mountain tourism potential of Georgia**" - as its title shows, it is discussed the potential for tourism development in Georgia in the context of its mountainous part - Svaneti, Khevsureti, Tusheti, Pshavi and other mountainous regions.

A mountainous region is a geographical, economic and social entity whose terrain, climate, natural and cultural heritage, as well as socio-economic policies require the development and development of emergency rules of protection, and subsequently - the enactment.

The mountainous regions of Georgia included 13 historical-ethnographic regions, which according to the current administrative-territorial division are mainly 3 regions (+ Zemo Svaneti and Tusheti), including 16 districts and 272 local (community-rural) administrative units. It should be noted, however, that such a division is conditional.

Currently, according to the Law on Socio-Economic and Cultural Development of Mountainous Regions adopted by the Parliament of Georgia, the number of such villages at the time of its adoption was 497, at present at the expense of additions 15 villages of the regions were added) their number is 1540.

Georgia's mountain resources can be successfully used for such tourism as mountain, recreational, sports and adventure tourism, such as mountaineering, mountaineering, hiking, skiing and crystal, mountain biking, rafting and more. , On which the demand in the world is growing.

According to the relevant information, the author of the article proves that these mountainous parts of Georgia have a great tourist wealth and if anything hinders the intensive and large-scale development of tourism there, it is their lack of amenities.

Another serious problem is that the villages in the mountainous parts of Georgia are almost empty of young people, while the elderly have no entrepreneurial knowledge. Young people from the mountains either come to work in the bar (in the cities) slowly, or emigrate abroad.

The passive attitude of the government towards the mountain, according to the author, is a Soviet legacy, and the lack of funds spent on mountain improvement - "investment short-sightedness".

It is true that the development of tourism in the highlands of Georgia has begun, but it is carried out somewhat unsystematically, especially in the case of private tourism services - food establishments, family hotels and others. They do not know the demand for their product because they have no market research education, and even if they do, they do not have access to relevant information. The Georgian Tourism Administration performs this function to some extent, but it does not study it separately for the mountainous regions.

However, farmers operating in highland settlements and the private and public sectors themselves point out the lack of qualified human resources and non-compliance with the requirements of the existing market. Vocational schools operate only in Mestia, Ambrolauri, Kazbegi (Stepantsminda and Gudauri) and Tianeti municipalities.

At present, most of the mountainous settlements of Georgia are not covered by fiber-optic cable and also not all settlements have access to the services of mobile operators, which

limits the access of the local population to the Internet and, consequently, is a barrier to development and access to services.

According to the population of highland settlements, access to transport is not easy either, although it increased from 31% to 61% between 2015-2018, but access to public transport remains one of the challenges. Only a small part of the highland settlements is supplied with gas supply, 1460 out of 1730 highland settlements (with 85045 potential customers) do not have natural gas supply.

It is necessary to study this issue in this context because the mountainous places of Georgia are different and they offer different types of tourist services to tourists. None of them will surprise tourists (especially foreign tourists) with their buses or buses, but with sightseeing tours, hiking and boating routes, sightseeing tours, skiing and fishing, hiking and hiking. Yes.

1387.7 million GEL was spent from the state budget in 2019 on the improvement of Georgia's market infrastructure, road maintenance, construction of new highways, domestic and local roads, which is a grand figure. If the improvement of the mountains was a priority with this amount, then in these two years the "great return" of the population from the bar to the mountains would begin. Since this process has not started, it means that none of the Georgian authorities understood the purpose and significance of the mountain.

With his opinions and excerpts from the works of other scientists, the author proves that the Georgian highlands have no alternative to the development of other fields besides tourism. Therefore, we should declare the mountains of Georgia only as a free economic zone for tourism and provide all the necessary benefits.

In addition, it is necessary to create and operate a special legislative-normative framework for mining tourism in the context of a free zone, in which the calculation will be to provide tax benefits and provide pro-government support for cheap loans. With such support, mountain tourism will achieve noticeable success and, most importantly, mountain villages will no longer be depopulated. They will be actively involved in attracting tourists and will have an income.

Developing a law on a mountainous region and adding 30 or 50 GEL to the salary of those working in the mountains will not change the demographic situation in the mountains, nor will a single 1000-1600 GEL deduction for the purchase of children help. "Radical breakthrough" is needed in the mountains ..

Today, tourism is a priority sector of the Georgian economy, and its development resources lie in the mountains of Georgia. At such times, when it comes to Georgia's budget, we clearly have Soviet "heredity" and "investment short-sightedness."

The author considers Uruguay to be the best example of the development of the Georgian highlands and tourism there.

დოქტორანტიებისა და მაგისტრანტიების სამეცნიერო ნაშრომები
SCIENTIFIC WORKS OF DOCTORAL AND UNDERGRADUATES STUDENTS

Natia Kurdgelia
Doctoral student at Kutaisi University

THE IMPACT OF COVID-19 ON THE ACTIVITIES OF SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES IN GEORGIA

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Kurdgelia

***Abstract.** The article considers the role of small and medium businesses in Georgia's economy, and comparisons are made with different countries. The main part of the article is devoted to the impact of the COVID-19 pandemic on small and medium-sized businesses, the challenges posed by the pandemic and the role and importance of state aid programs for entrepreneurs.*

***Key words:** pandemic; coronomics; small and medium-sized businesses; financial liability.*

In the current context, small and medium enterprises play an important economic and social role. They are even called the backbone of the country's economy.

The process of establishing a small business in Georgia has coincided with very difficult economic, political or social conditions, which were characterized by a number of special features. If the development of the market economy in developed countries started mostly with the establishment of small enterprises and then, based on their evolution and competitive struggle, large structures were gradually formed, in Georgia, in fact, the opposite process played an important role in the formation of business establishments. In the 1990s, the break-up of the existing large enterprises into small ones took on a mass character, simplifying and reducing the corresponding technological processes. The Law "On Measures for the Development and Promotion of Small Entrepreneurial Activities in the Republic of Georgia" adopted in 1999 was intended to bring within the legal framework the relevant business environment and development conditions and to establish order in the chaotic development of enterprises of this size. [Chikhladze, 2009]

In developed countries, small and medium-sized businesses, in addition to the economic function, assume also an important social function - it is the basis for the emergence of a middle class in the population, because along with ensuring stable economic development, they employ a large part of the population. Therefore, small and medium enterprises, with their employment growth and job creation potential, as well as in terms of their contribution to economic development and growth, can be considered to be the cornerstone of any country's economy.

A strong and well-developed sector of small and medium-sized enterprises significantly contributes to exports, innovations, the creation of a modern entrepreneurial culture, and at the same time, plays a special role in improving the well-being of the country. Small and medium enterprises respond flexibly and quickly to market changes, easily assimilate new products and are mostly focused on local markets. [Tokmazishvili, 2017]. Due to the relatively low capital-labor ratio, they create about 1.5-2.0 times more jobs compared to large enterprises with equal amounts of investment.


In recent years, Georgia has implemented significant economic reforms, the main goal of which was to provide an enabling environment for business and foreign direct investment, liberalization of the economy, the reduction of administrative barriers and the tax burden, improvement of public services, and struggle against corruption. As a result of these reforms, Georgia's economic policy has been positively assessed by various rating agencies and international financial institutions, and the relevant results have been reflected in the indices and ratings that measure the economic freedom of countries [Strategy 2016-2020].

Meanwhile, despite the improvement of the general business environment, Georgia faces the same challenges in terms of small and medium enterprise development as in many developing countries. Although most of the operating enterprises are the small and medium enterprises, their contribution to GDP is still very small.

In developed countries, small and medium-sized enterprises constitute the rather high percentage of the business, making up more than 50% of the total turnover of the business sector, accounting for two out of every three jobs created. In the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) countries, most companies are small and medium-sized enterprises and create two thirds of the gross domestic product (GDP). In developing and transition economies, small and medium-sized enterprises account for more than 90% of the total number of enterprises, although their share in GDP is generally quite low - often less than 20% [Gogiashvili, 2014].

The largest share of both the turnover and output of the business sector is occupied by large enterprises (in Georgia in 2020: turnover - 59.2%, output - 42.0%), however, due to more dynamic and rapid development of small and medium-sized businesses, the share of large business during the pandemic was gradually declined. Such businesses accounted for more than 4/5 of the total increase, while the growth rate of output by small and medium-sized businesses was many times higher than the growth rate of output by large businesses.

Diagram 1
Structure of business turnover, output, value added and employment by business sizes in Georgia in 2020, %



The coronavirus pandemic has made serious adjustments to these dynamics.

In 2020, compared to the previous pre-pandemic 2019, despite that the turnover of the business sector increased nominally (by 0.5%), as well as the nominal growth was observed in large-scale production (+ 7.0%), the turnover of small and medium enterprises, as well as

output decreased sharply, especially in the case of small and medium-sized productions, as the following table shows.

Table

Turnover and output of the business sector by sizes
of enterprises in 2020 (in percentage as against the previous year)

	Total	Large	Medium	Small
Turnover	100.5	107.3	90.0	93.7
Output	91.5	92.5	91.8	90.1

Small and medium business activities are carried out in a certain environment, which ensures its civilized successful development or its stifling. The global COVID 19 pandemic has done tremendous damage to the economy of Georgia as well as to the global economy, especially to the sector most sensitive to its risks, such as small and medium-sized businesses, including employment as well. The number of employed in small business in 2020 decreased by 28.8 percent compared to the previous year, which is two times more than the rate of decrease in the total number of employed persons in the business sector (-14.0%). In 2020, 92 percent of the reduction in the total number of employed in the business sector was from the reduction in the number of employed in small enterprises.

The pandemic has led to the emergence of two closely related areas focusing on small and medium-sized businesses: on the one hand, in terms of identifying to identify and scaling the problems that are confronting by this type of business, and, on the other hand, with a view to developing and implementing the state support measures.

The study entitled "Georgian companies facing the challenge of the COVID-19 pandemic" analyzes the impact of the pandemic on the Georgian business sector, of which small and medium-sized businesses stand out as our priority. We were faced with the fact that small and medium-sized enterprises were forced to layoff part of their employees or reduce their salaries, and another part of them temporarily suspended their activities because of a two-month state of emergency declared to prevent the the coronavirus from spreading, which included curfew and movement restrictions, which in turn has significantly affected small and medium-sized businesses.

Research reveals that declining demand is the most pronounced side effect caused by the COVID-19 pandemic. The lower demand in most of the surveyed enterprises (65%) has already led to revenue declines by over 50%. Hotels and restaurants were the worst affected, 75% of which encountered significant revenue declines. Only 1% of companies in this field were able to maintain pre-crisis revenue levels, while the share of such companies in the information technology and communications sector reached 10%, and in the agricultural sector - 17% (an average of the national economy - 5%). About half of the companies surveyed expect revenue to fall by more than 50% compared to the previous period. Even in this case, the most negative prognosis is evident in the hotel and restaurant business. 71% of companies surveyed have adverse expectations in this regard, while only 40% of companies engaged in the information technology and communications sector and only 28% of representatives of the agricultural sector have the same expectations [Williams et al., 2020].

Declining demand, the overdue payments from customers, and change in the behavior of consumers in general have created the companies' liquidity problem. 28% of the surveyed companies have already faced problems in implementation of their existing commitments, about half of them will face these challenges in 1-6 months, while only 15% of the companies surveyed plan to maintain liquidity without reductions. In order to respond declining demand


and liquidity problems in a timely manner, the companies had to reduce the number of employees in a timely manner. More than 50% of the surveyed enterprises have already reduced the number of employees on various scales. Among them, the biggest reductions are observed in the hotel and restaurant business - more than 40% of companies in this sector laid off the staff.

In this respect, the agricultural sector was less seriously affected. Due to the uncertainty surrounding the future development of the pandemic, business expectations also coincide with the assessment of the current situation. With the spread of the pandemic, most companies have faced the challenge of seeking additional funding. 79% of the surveyed enterprises need additional funding, but 85% of surveyed companies have not yet applied to financial institutions for funding. And from the segment that has already applied to financial institutions, a large part has denied funding. Exceptions in this segment are large companies, of which 42% have received funding, 36% are waiting for a response from the bank, and only 22% have denied funding [Williams et al., 2020].

It should be noted that in terms of economic situation, the expectation of a negative scenario is higher in Tbilisi, and in terms of reduction in the number of employees - in the regions, as shown in the diagram below.

Diagram 2


The level of adverse expectations revenues and employment dynamics in Tbilisi and regions, %



If we consider the difficulties of companies caused by the pandemic only in terms of employment - we will notice that their burden was felt relatively much among the medium-sized enterprises (50-249 employees) (see Figure 3).

Diagram 3

Impact of complications caused by the COVID-19 pandemic on employment, by sizes of companies, %



The decline in demand/revenue due to the economic crisis caused by the pandemic in the business sector is associated with the following five main circumstances:

1. **Quarantene measures** - Companies whose business relies on direct sales to customers have significantly reduced revenue due to the closure of their businesses during the quarantine period.

2. **Closed borders and reduced number of tourists** - mainly affected hotels, restaurants and cafes (HORECA) and their suppliers (food and beverage manufacturers and suppliers), and the construction sector (reduced housing and retail sales to foreigners, new hotel construction). Although international tourism has been partially replaced by national tourism, the amount of expenditure incurred by local tourists is significantly lower compared to foreign visitors.

3. **Delayed arrival of revenues** - The situation was problematic in both the HORECA sector and small retailers sector.

4. **Change in the behavior of customers** - Local consumers have switched to relatively cheaper products and increased their spending on basic necessities (e.g., food and less money on luxury items or long-term investments).

5. **The tense situation in wxport markets** - The pandemic has had a significant impact on several sectors of foreign countries, in particular lowering purchasing power of the population in these countries, which is why many foreign customers have consequently reduced or canceled their orders.

Certain export commodities that rely on intermediary agents have experienced a significant decline. This was mainly due to exchange rate fluctuations and unpredictability.

Responding measures taken by the surveyed companies were as follows: some companies focused on government orders (for example, construction or the HORECA sector) due to greater stability, and also concentrated mainly on the Tbilisi market. Most businesses, where possible, have been forced to switch to online sales. To compensate for the decline in revenue, most of the companies surveyed attracted additional financial resources or restructured their debts.

In recent years, the government has implemented numerous reforms to support small and medium-sized enterprises. One of the most successful programs is "Produce in Georgia", which turned out to be a chance for many start-up entrepreneurs to implement their business ideas. There are several organizations supporting small and medium enterprises in Georgia, including: Georgian Chamber of Commerce and Industry, Georgian Employers' Association, and Georgian Small and Medium Enterprises Association.

The "Produce in Georgia" program aims to support industrial and agricultural entrepreneurs, create new enterprises, expand existing businesses, and raise the level of competitiveness and export potential of the private sector through access to finance, real estate, and technical assistance. Two new directions have been added to the project "Produce in Georgia": a) in 2015 - promoting the development of hotels, which means financing costs of the franchise, and b) in 2016 - promoting the film industry. The main goal of "Produce Georgia" program's micro and small entrepreneurship is to promote the growth of economic activity in the regions of Georgia and includes two components: financial and technical assistance [Program].

Many start-ups have received support from the state under the program, a good example could be the participation of Georgian companies in the Gulfood 2021 exhibition organized by the Export section of the "Produce in Georgia" Agency and with support from the USAID Agriculture Program.

Conclusion

Despite the improvement of the general business environment, Georgia faces the same challenges in terms of small and medium enterprise development similar to those of many developing countries. Although most of the operating enterprises are small and medium enterprises, their contribution to GDP is still low. The Government of Georgia attaches particular importance to small and medium enterprises in the process of economic development and aims to further improve the business environment, which will promote the growth and development of small and medium enterprises. This attitude is of particular importance in the context of the economic recession caused by the COVID19 epidemic, which, along with the country's economy, has particularly affected small and medium-sized enterprises.

Carrying out the above measures to support small and medium-sized businesses would significantly help them not only preserve the stability and sustainability during the crisis period, but they would also significantly raise the level of competitiveness of such enterprises in the domestic and foreign markets in the post-pandemic period.

References

1. The business sector in Georgia. 2020. National Statistics Office of Georgia. URL:<https://www.geostat.ge/media/35014/Krebuli-2020.pdf>
2. Gogiashvili O. (2014) – The problems of small and medium-sized businesses and ways to address them in Georgia, Kutaisi.

3. Tokmazishvili M., (2017) Promoting the development of small and medium-sized enterprises (the cost rising development). The National Parliamentary Library of Georgia.
4. The “Produce in Georgia” program. The program of micro- and small business promotion
URL:<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/microgrants>
5. SME Development Strategy of Georgia - 2016-2020 URL:
http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
6. Williams et al., (2020) Georgian companies in the face of the challenge of the COVID-19 pandemic. URL:https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf
7. Chikhldaze N., (2013) On the issue of identifying trends of small and medium-sized business development in Georgia. Akaki Tsereteli State University. Proceedings of the International Scientific-Practical Conference devoted to the 80th anniversary of the University’s establishment. Kutaisi.

ნათია კურდღელია
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

**COVID-19-ის გავლენა საქართველოში მცირე და საშუალო
ბიზნესის ფუნქციონირებაზე**

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Kurdgelia

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკაში, მოცემულია შედარებები სხვადასხვა ქვეყნებთან. სტატიის ძირითადი ნაწილი ეთმობა კოვიდპანდემიის გავლენას მცირე და საშუალო ბიზნესზე, პანდემიით განპირობებულ გამოწვევებს და სახელმწიფოს დახმარების პროგრამების როლსა და მნიშვნელობას მეწარმეებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, კორონომიკა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ვინანსური დავალიანება.

თანამედროვე პირობებში მცირე და საშუალო საწარმოები უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და სოციალურ როლს ასრულებენ. მათ ქვეყნის ეკონომიკის ხერხე-მალსაც კი უწოდებენ.

საქართველოში მცირე ბიზნესის შექმნის პროცესი მეტად რთულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პირობებს დაემთხვა, რომელიც რიგი თავისებურებით ხასითდებოდა. თუ განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარება ძირითადად მცირე საწარმოთა შექმნით დაიწყო და შემდგომ მათი ევოლუციისა და კონკურენციული ბრძოლის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა მსხვილი სტრუქტურები, საქართველოში, ფაქტობრივად, პირიქით განხორციელებულმა პროცესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეწარმეო სტრუქტურების ფორმირებაში. 1990-იან წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო არსებული მსხვილი საწარმოების დაშლამ მცირე საწარმოებად შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესების გამარტივებითა და შემცირებით. 1999 წელს მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“ განკუთვნილი იყო იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული შესაბამისი ბიზნესის საქმიანობისა და განვითარების პირობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად და ამ ზომის საწარმოთა ქაოსურ განვითარებაში წესრიგის დასამყარებლად [ჩიხლაძე, 2009].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკურის გარდა, მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის მატარებელიცაა - იგი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რადგან, ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად, მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. ამიტომაც, მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და, ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში. მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე [თოქმაზიშვილი, 2017]. შედარებით შრომის დაბალი კაპიტალ- და ფონდშეიარაღების გამო, ინვესტიციების თანაბარ რაოდენობაზე ისინი, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, დაახლოებით 1.5-2.0-ჯერ მეტ სამუშაო ადგილს ქმნიან.

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა. ამ რეფორმების შედეგად საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება [სტრატეგია 2016-2020].


ამასთან, ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ საგრძნობლად დაბალია.

განვითარებულ ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოებს ბიზნესში საკმაოდ მაღალი წილი უკავიათ, ქმნიან სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს, მათზე მოდის ყოველი სამი შექმნილი სამუშაო ადგილიდან ორი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში კომპანიების უმეტეს ნაწილს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტია, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლებია [გოგიაშვილი, 2014].

ბიზნესსექტორის როგორც ბრუნვაში, ისე გამოშვებაში ყველაზე მაღალი წილი მსხვილ წარმოებებს უკავიათ (საქართველოში 2020 წელს: ბრუნვაში – 59.2%, გამოშვებაში – 42.0%), თუმცა, საშუალო და მცირე ბიზნესის უფრო დინამიური, სწრაფი განვითარების ხარჯზე მსხვილი ბიზნესის წილი კორონავირუსის პანდემიამდე თანდათან კლებულობდა და შესაბამისად, იზრდებოდა როგორც მცირე, ასევე საშუალო ბიზნესის წილი. ასეთი ბიზნესის წილად მოდიოდა მთელი მატების 4/5-ზე მეტი, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპი ჯერადად აღემატებოდა მსხვილი ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპს.

დიაგრამა 1

ბიზნესის ბრუნვის, გამოშვების, დამატებული ღირებულებისა და დასაქმების სტრუქტურა ბიზნესის ზომის მიხედვით 2020 წელს, %



კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული კორექტივები შეიტანა აღნიშნულ დინამიკაში.

2020 წელს, პანდემიამდელ 2019 წელთან შედარებით, მართალია, სამეწარმეო სექტორის ბრუნვა ნომინალურად გაიზარდა კიდევ (0.5%-ით), ასევე ნომინალური ზრდა დაფიქსირდა მსხვილი წარმოების მხრივ (+7.0%), მაგრამ ბრუნვა მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით, ისევე, როგორც პროდუქციის გამოშვება ყველა ზომის წარმოების მიხედვით, მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის წარმოებების მიხედვით, რაზეც წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი

სამეწარმეო სექტორის ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომების მიხედვით 2020 წელს (პროცენტი წინა წელთან)

	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
ბრუნვა	100.5	107.3	90.0	93.7
გამოშვება	91.5	92.5	91.8	90.1

მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობა განსაზღვრულ გარემოში ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს მის ცივილიზებულ წარმატებულ განვითარებას ან დამუხრუჭებას. მსოფლიო პანდემიამ COVID 19 სახით, გლობალურ ეკონომიკასთან ერთად, უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკასაც, განსაკუთრებით მის რისკებისადმი ყველაზე სენსიტიურ სექტორს - მცირე და საშუალო ბიზნესს,

მათ შორის - დასაქმებასაც. მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 28.8 პროცენტით, რაც 2-ჯერ და მეტად აღემატება სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის შემცირების ტემპს (-14.0%). 2020 წელს სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის შემცირების 92 პროცენტი მცირე საწარმოებში დასაქმებულთა შემცირებაზე მოდიოდა.

პანდემიამ გამოიწვია ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებით ყურადღების გამახვილება მცირე და საშუალო ბიზნესისადმი: პირველი, ამ ტიპის ბიზნესის წინაშე – მდგარი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მასშტაბების დადგენის და, მეორე, სახელმწიფოებრივი მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების მხრივ.

კვლევაში – „ქართული კომპანიები COVID-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე“ გაანალიზებულია პანდემიის გავლენა საქართველოს ბიზნესსექტორზე, აქედან ჩვენთვის პრიორიტეტულია მცირე და საშუალო ბიზნესი. დავდექით იმ მოცემულობის წინაშე, რომ მცირე და საშუალო მეწარმეები იძულებულნი გახდნენ დაეთხოვათ თანამშრომელთა ნაწილი ან შეემცირებინათ ხელფასები, ნაწილმა კი არსებული რეგულაციების პირობებში დროებით შეაჩერა საქმიანობა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადებულმა ორთვიანმა საგანგებო მდგომარეობამ, რომელიც მოიცავდა კომენდანტის საათს და გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვაც ერთვოდა, მნიშვნელოვნად დააზარალა მცირე და საშუალო ბიზნესი.

კვლევა ცხადყოფს, რომ მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა. მოთხოვნის შემცირებამ გამოკითხული საწარმოების უმეტესობაში (65%) უკვე გამოიწვია 50%-ზე მეტი შემოსავლის შემცირება. ყველაზე მეტად დაზარალდნენ სასტუმროები და რესტორნები, რომელთა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება. ამ სფეროში კომპანიების მხოლოდ 1%-მა შეძლო შემოსავლის კრიზისამდელ დონეზე შენარჩუნება, მაშინ როდესაც ასეთი კომპანიების წილმა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სექტორში 10%-ს, ხოლო აგრარულ სექტორში - 17%-ს მიაღწია (საშუალოდ ეროვნულ მეურნეობაში - 5%). გამოკითხული კომპანიებიდან დაახლოებით ნახევარი ელოდება წინა პერიოდთან შედარებით შემოსავლების 50%-ზე მეტი ვარდნას. ამ შემთხვევაშიც ყველაზე ნეგატიური პროგნოზი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში იკვეთება. აქ ნეგატიური მოლოდინები გააჩნია გამოკითხულთა 71%-ს, მაშინ როდესაც ამგვარი მოლოდინები აქვთ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სექტორში დაკავებული კომპანიების მხოლოდ 40 პროცენტს და აგრარული სექტორის წარმომადგენლების მხოლოდ 28 პროცენტს [უილიამსი და სხვ., 2020].

მოთხოვნის შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა და ზოგადად მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია. გამოკითხული კომპანიების 28%-ს უკვე შეექმნა პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით, დაახლოებით ნახევარს აღნიშნული გამოწვევები 1-6 თვის განმავლობაში შეექმნება, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ 15% გეგმავს შემცირებების გარეშე ლიკვიდობის შენარჩუნებას. მოთხოვნის შემცირების და ლიკვიდობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დროულად საპასუხოდ კომპანიებს თანამშრომლების რაოდენობის


შემცირება მოუხდათ. გამოკითხული საწარმოების 50%-ზე მეტმა სხვადასხვა მასშტაბით უკვე შეამცირა დასაქმებულთა ოდენობა. მათ შორის ყველაზე დიდი შემცირებები სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში შეინიშნება – აღნიშნულ სექტორში კომპანიების 40%-ზე მეტმა გაათავისუფლა ყველა დასაქმებული.

ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. პანდემიის სამომავლო განვითარების გარშემო არსებული გაურკვეველობის გამო ბიზნესის მოლოდინებიც ასევე ემთხვევა არსებული სიტუაციის შეფასებას. პანდემიის გავრცელებასთან ერთად კომპანიების უმეტესობა დამატებითი დაფინანსების მოძიების გამოწვევის წინაშე დადგა. გამოკითხულთა 79%-ს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება, მაგრამ ამ ეტაპისთვის გამოკითხული კომპანიების 85%-ს ჯერაც არ მიუძღრათ ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად. ხოლო იმ სეგმენტისგან, რომელმაც უკვე მიმართა ფინანსურ ინსტიტუტებს დიდ ნაწილს უარი ეთქვა დაფინანსებაზე. ამ სეგმენტში გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი ზომის კომპანიები, რომელთა 42%-მა მიიღო დაფინანსება, 36% ელოდება პასუხს ბანკის მხრიდან და მხოლოდ 22%-ს ეთქვა უარი დაფინანსებაზე [უილიამსი და სხვ., 2020].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ მოვლენების ნეგატიური სცენარით განვითარების მოლოდინი უფრო მაღალია თბილისში, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების მხრივ - რეგიონებში, რაზეც წარმოდგენას მე-2 დიაგრამა იძლევა.


დიაგრამა 2

შემოსავლებისა და დასაქმების დინამიკის ნეგატიური მოლოდინების დონე თბილისსა და რეგიონებში, %



თუ პანდემიით გამოწვეულ კომპანიების სირთულეებს მხოლოდ ერთი - დასაქმების ასპექტით განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ მათი სიმძიმე შედარებით მეტად იგრძნეს საშუალო ზომის (50-249 დასაქმებული) საწარმოებმა (იხ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3
კოვიდპანდემიით გამოწვეული სირთულეების გავლენა დასაქმებაზე, კომპანიების ზომის მიხედვით, %



ბიზნესსექტორში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისით შემოსავლის შემცირება უკავშირდება შემდეგ ხუთ ძირითად გარემოებას:

1. **კარანტინი** - კომპანიებს, რომლის ბიზნესი მომხმარებელთან პირდაპირ გაყიდვებზე არის დამოკიდებული, მნიშვნელოვანად შეუმცირდათ შემოსავალი კარანტინის პერიოდში ბიზნესის დახურვის გამო.

2. **ჩაკეტილი საზღვრები და ტურისტების შემცირებული რაოდენობა** - უპირატესად შეეხო სასტუმროებს, რესტორნებსა და კაფეებს (HORECA) და მათ მომწოდებლებს (საკვების და სასმელის მწარმოებლები და მომწოდებლები) და სამშენებლო სექტორს (შემცირებულია უცხოელებზე საცხოვრებელი ფართების გაყიდვები და საცალო ვაჭრობა, ახალი სასტუმროების მშენებლობის რაოდენობა). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტურიზმი ნაწილობრივ ჩანაცვლა ეროვნულმა ტურიზმმა, ადგილობრივი ტურისტების მიერ გაწეული ხარჯის მოცულობა მნიშვნელოვნად ნაკლებია უცხოელ სტუმრებთან შედარებით (რესპონდენტთა შეფასებით, საშუალოდ 2-ჯერ).

3. **მისაღები შემოსავლის ამოღების დაგვიანება** - მდგომარეობა პრობლემური იყო როგორც HORECA-ს სექტორში, ისე მცირე საცალო სავაჭრო ობიექტებიდან.

4. **ცვლილება მოხმარების ქცევაში** - ადგილობრივი მომხმარებლები გადავიდნენ შედარებით უფრო იაფი პროდუქტების შესყიდვაზე და გაიზარდა ხარჯები ძირითად საჭიროებებზე (მაგ., საკვებისთვის და ნაკლები თანხები ფუფუნების საგნებზე ან გრძელვადიან ინვესტიციებზე).

5. **დამაბულობა საექსპორტო ბაზრებზე** - პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უცხო ქვეყნების ზოგიერთ სექტორზე. ამ ქვეყნების მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობის შემცირებაზე, რის გამოც შესაბამისად ბევრმა უცხოელმა მომხმარებელმა შეამცირა ან გააუქმა შეკვეთები.

გარკვეულმა საექსპორტო პროდუქტებმა, რომლებიც შუამავალ აგენტებს ეყრდნობა, მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა. ეს ძირითადად განპირობებული იყო გაცვლითი კურსის რყევებით და არაპროგნოზირებულობით. რესპონდენტების საპასუხო ქმედებები: ზოგიერთმა კომპანიამ მეტი სტაბილურობის გამო აქცენტი მთავრობის შეკვეთებზე გადაიტანა (მაგალითად, მშენებლობა ან HORECA-ს სექტორი), ასევე ძირითადად თბილისის ბაზარზე დაკონცენტრირდნენ. ბიზნესის უმეტესობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ გაყიდვებზე. შემოსავლების შემცირების კომპენსირების მიზნით, გამოკითხული კომპანიების უმეტესობამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური რესურსი ან განახორციელა სესხების რესტრუქტურირაცია.

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობამ უამრავი რეფორმა განახორციელა მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშესაწყობად. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა არის „აწარმოე საქართველოში“, რომელიც უამრავი დამწყები მეწარმისთვის აღმოჩნდა შანსი, ხორცი შეესხა საკუთარი ბიზნესიდეებისთვის. საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროექტს „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) 2015 წელს - სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) 2016 წელს - კინოინდუსტრიის ხელშეწყობა. „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულების ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა და ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას [პროგრამა].

პროგრამის ფარგლებში ბევრმა დამწყებმა მეწარმემ მიიღო მხარდაჭერა სახელმწიფოსგან, კარგ მაგალითად გამოდგება Gulfood 2021 გამოფენაში ქართული ფირმების მონაწილეობა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით.

დასკვნა

ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას. აღნიშნულ დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოვიდპანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის პირობებში, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკასთან ერთად, განსაკუთრებით დააზარალა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მათ არა მარტო კრიზისული პერიოდის განმავლობაში სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში, არამედ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს პოსტპანდემიურ პერიოდში ასეთი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნესსექტორი საქართველოში 2020. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL:<https://www.geostat.ge/media/35014/Krebuli-2020.pdf>
2. გოგიაშვილი ო. (2014), მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. ქუთაისი.
3. თოქმაზიშვილი მ., (2017), მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (დირექტულებათა ზრდის განვითარება), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
4. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა
URL:<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/microgrants>
5. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. URL: http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
6. უილიამსი და სხვ., (2020) ქართული კომპანიები COVID-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე. URL:<https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia Covid-19 survey Report Final Georgian 21.05.20.pdf>
7. ჩიხლაძე ნ., (2013) საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ტენდენციების განსაზღვრის საკითხისათვის. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სსკპ შრ. კრებული. ქუთაისი.

ნინო ჟორჯიკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის მიმართულეების დოქტორანტი

მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Zhorzhikashvili

ანოტაცია. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ წამოჭრა საკითხი მაკროპრუდენციული პოლიტიკის უფრო აქტიურად გამოყენების თაობაზე, რადგან გამოიკვეთა, რომ მიკროპრუდენციული პოლიტიკა და მისი რეგულაციები არ იყო საკმარისი ფინანსური სტაბილურობისათვის. მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე აკადემიურ წრეებში გავრცელებული იყო ხედვა, რომ მონეტარულ პოლიტიკასა და პრუდენციულ პოლიტიკას შორის არსებობს კონფლიქტი (ინფლაცია/ფინანსური სტაბილურობა), რაც ამართლებს მონეტარული და პრუდენციული ფუნქციების გაყოფას. ამ მიდგომიდან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში მოცემული ფუნქციების განცალკევების მნიშვნელოვანი ტენდენცია შეინიშნებოდა. კრიზისის შემდეგ ნათლად წარმოჩინდა აღნიშნული მიდგომის სისუსტეები და ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამოყენება მონეტარულ პოლიტიკასთან ინტეგრირებულად.

საკვანძო სიტყვები: მაკროპრუდენციული პოლიტიკა, ფინანსური სტაბილურობა, ტრანსმისიის არხები, ფინანსური კრიზისი.

შესავალი

გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე³⁸ მსოფლიო აკადემიურ წრეებში და მათ შორის ევროპაშიც გავრცელებული იყო ხედვა, რომ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ფასების სტაბილურობა საკმარისი იქნებოდა ფინანსური სტაბილურობისათვის. ევროზონაში კრიზისამდე სამომხმარებლო ფასების ინდექსი საკმაოდ დაბალი და სტაბილური იყო, თუმცა მაინც მოხდა სისტემური რისკების აკუმულირება ფინანსურ სექტორში, რაც გამოწვეული იყო საკრედიტო ბუმითა და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეკონომიკური აღმავლობის დროს ეს ფინანსური ინსტრუმენტები მართლაც დაბალი რისკით ხასიათდებოდა, თუმცა სისტემური რისკის მიმართ ძალიან მგრძობიარენი აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევაში ფინანსური ბაზრის ამოცანაა რისკის შეფასება და რესურსების გადანაწილება, თუმცა რთულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში ფინანსურმა ბაზარმა ამ ფუნქციის შესრულება ვერ შეძლო.

ფინანსურ სექტორში სტაბილურობის უზრუნველყოფა მაკროპრუდენციული პოლიტიკის პრეროგატივაა, რაც მოითხოვს შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებას, პერიოდულად მათ სრულყოფას ეკონომიკის განვითარების და გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ. მაკროპრუდენციული პოლიტიკის

³⁸ Deutsche Bundesbank. „The importance of macroprudential policy for monetary policy”, pp 43, march 2015.

დანერგვა და სრულყოფა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სისტემური და სექტორული რისკების იდენტიფიცირებას, მეორე მხრივ კი, ფინანსური ნაკადების ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

მონეტარული პოლიტიკა უმეტესწილად პასუხისმგებელი უნდა იყოს ბიზნეს ციკლის დარეგულირებაზე, რაც ინფლაციის ტემპებისა და საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობას გულისხმობს ინფლაციის „თარგეთირების“ გამოყენებით³⁹. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია ფინანსური ბაზრების სრული გაკონტროლება, ამიტომ მათი ზეგავლენა ფინანსურ ციკლებზე შეზღუდულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მონეტარულ პოლიტიკას აქვს შესანიშნავი ინსტრუმენტი მაკროპრუდენციული პოლიტიკის სახით, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს ფინანსური სისტემისა და ციკლის სტაბილურობაზე. მონეტარული პოლიტიკის კლასიკური არხების ზემოქმედება ეკონომიკაზე შეზღუდულია, რადგან, ერთი მხრივ, რიგ ქვეყნებში განუვითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მეორე მხრივ კი, საპროცენტო განაკვეთების დინამიკა უფრო მეტად არის დამოკიდებული სტრუქტურულ ფაქტორებზე, ვიდრე მონეტარულ კონდიციებზე.

მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს კიდევ ფინანსურ სექტორში რისკების აკუმულირებას (Cavallari M., Canutto O., 2013:126). კერძოდ, როცა ცენტრალური ბანკი მიზნად ისახავს საპროცენტო განაკვეთის შემცირების გზით სამომხმარებლო ხარჯების სტიმულირებას, აღნიშნულმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს ფასიანი ქაღალდების ფასები და შექმნას „სპეკულაციური საპნის ბუშტის“ ჩამოყალიბების ნიადაგი, რაც ფინანსურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. მეორე მხრივ, რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის გატარება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც ამცირებს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნას და შესაძლოა ამან ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ტემპების შემცირება გამოიწვიოს. ამრიგად, მონეტარული პოლიტიკა გამოწვევების წინაშე დგას და აშკარაა, რომ ფინანსური სტაბილურობის იზოლირებულად მიღწევა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით არც ერთი ქვეყანა არ განიხილავს მონეტარულ და მაკროპრუდენციულ პოლიტიკებს იზოლირებულად, პირიქით, მათი ინსტრუმენტების კოორდინირებული გამოყენების წარმატება შეიძლება თვალნათლივ დავინახოთ მრავალი ქვეყნის მაგალითზე.

როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ფასების სტაბილურობა არ არის საკმარისი პირობა ფინანსური სტაბილურობისათვის. ამის მაგალითია ევროზონაში კრიზისამდე ფასების სტაბილური დონე, რომელსაც თან სდევდა საკრედიტო ციკლის ფლუქტუაციები და არასტაბილურობა (Deutsche Bundesbank, 2015: pp 41-43). ამ პერიოდის განმავლობაში ევროზონაში შეინიშნება ფასიანი ქაღალდების ფასების და საკრედიტო მოცულობის სწრაფი ზრდა (გრაფ. 1). როგორც გრაფიკიდან იკვეთება, ფასების სტაბილურობის ფონზე ადგილი ჰქონდა ფინანსურ სექტორში არასტაბილურ ვითარებას, რისი განჭვრეტა და შესაბამისი რეაგირება მონეტარულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო. და რადგანაც საკრედიტო ციკლები მეტი ფლუქტუაციით ხასიათდება ბიზნესციკლებთან შედარებით, ამიტომ აუცილე-

³⁹2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ხელს უწყობს სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას.

ბელია მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტიური გამოყენება და მისი კოორდინირება მონეტარულ პოლიტიკასთან.

გრაფ. 1. ევროზონაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა



წყარო: Eurostat, Deutsche Bundesbank, Monthly Report, March 2015:41

აქედან გამომდინარე, დგება მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკების ინტეგრაციისა და მჭიდრო კოორდინაციის აუცილებლობის საკითხი. ორივე პოლიტიკა მუშაობს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მართალია განსხვავებული ინსტრუმენტებითა და არხებით, თუმცა მათი საბოლოო მიზანი ერთია – ქვეყნის სტაბილური განვითარება და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. მონეტარული პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკაში ფასების სტაბილურობასა და გამოშვების დონეს, ხოლო მაკროპრუდენციული პოლიტიკა ორიენტირებულია სისტემური რისკების იდენტიფიცირებასა და მის აღმოფხვრაზე. აღნიშნული პოლიტიკების ინტეგრაციის შედეგად ეკონომიკური სისტემა ხდება უფრო ელასტიური და მოქნილი შოკების მიმართ და ორივე პოლიტიკის დეფექტების დაძლევის საშუალებას იძლევა. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინტერვენციები კაპიტალის კონტრცხვლური ბუფერითა და სხვა ინსტრუმენტებით, რომელიც მიმართულია პროციკლურობის განეიტრალებისაკენ, დიდწილად განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას (Favara G., Nicolo G., Ratnovski R., 2012:10-11). ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარება ფინანსურ სექტორში მოითხოვს უფრო მჭიდრო კოორდინაციას და, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კარგად ორგანიზებული პოლიტიკის განხორციელებას.

მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ერთობლივად გამოყენების ეფექტიანობის ილუსტრირებისათვის ავტორებმა (Eugenio Cerutti ., Stijn Claessens s.,Luc Laeven I.,2018) შემოგვთავაზეს მოდელი:

$$\Delta \log \text{Credit}^t = \delta + \sum_{j=1}^4 \beta_j \Delta \text{Macroprut}^t + \sum_{j=1}^4 \delta_j \Delta \text{rt}^t + \sum_{j=1}^4 \gamma_j \Delta \text{Macroprut}^t * \Delta \text{rt}^t + \text{controls}^t + \text{quartert} + \text{ebft}$$

მოდელში მონეტარული პოლიტიკის ცვლადად ჩართულია ფულის რეალური ზრდის ტემპი (Δrt). რაც შეეხება $\sum_{j=1}^4 \gamma_j$, იგი განსაზღვრავს მაკრო-

პრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთზეგავლენის მიმართულელებას. ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ აღნიშნული პოლიტიკების პირველი რიგის წარმოებულები:

$$\frac{6\Delta \log \text{Creditbft}}{6\Delta \text{Macropru}t-1} = \sum_{j=1}^4 \beta_j + \sum_{j=1}^4 \gamma_j \Delta r_t$$

$$\frac{6\Delta \log \text{Creditbft}}{6\Delta r_t} = \sum_{j=1}^4 \delta_j + \sum_{j=1}^4 \gamma_j \Delta \text{Macropru}t-1$$

რადგან $\sum_{j=1}^4 \beta_j$ და $\sum_{j=1}^4 \delta_j$ კოეფიციენტები დიდი ალბათობით არის უარყოფითი (მონეტარული და მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამკაცრება ამცირებს გაცემული სესხების მოცულობას), ერთი პოლიტიკის ცვლილების გავლენა მეორეზე დამოკიდებული იქნება მეორე რიგის წარმოებულის $\frac{6\Delta \log \text{Creditbft}}{6\Delta \text{Macropru}t-1} = \sum_{j=1}^4 \gamma_j$ ნიშანზე. თუ $\sum_{j=1}^4 \gamma_j < 0$, მაშინ თითოეული პოლიტიკა გააძლიერებს ერთმანეთს და ერთობლივი ეფექტი მეტი იქნება ეკონომიკაზე. ამის საპირისპიროდ, თუ მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამკაცრება ამცირებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ეფექტიანობას ან პირიქით, მაშინ $\sum_{j=1}^4 \gamma_j > 0$. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ აღნიშნული პოლიტიკები ერთი მიმართულებით მოძრაობს, მეტად ხელსაყრელი პირობები იქნება ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობისათვის. $\sum_{j=1}^4 \gamma_j \Delta \text{Macropru}t - j * \Delta r_t - j$ ფორმულაში $\sum_{j=1}^4 \gamma_j$ უარყოფითი მნიშვნელობა გულისხმობს, რომ მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკების გამკაცრება ამცირებს სესხების მოცულობას ($\Delta \log \text{Creditbft}$) და ეს ეფექტი უფრო მეტია, როცა ორივე პოლიტიკა (მაკროპრუდენციული- $\Delta \text{Macropru}t - j$ და მონეტარული- $\Delta r_t - j$) ერთდროულად და ერთი მიმართულებით მოქმედებს, ვიდრე ცალკეულ შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- 1) მაკროპრუდენციული პოლიტიკა ძალიან ეფექტურია საკრედიტო ციკლის დარეგულირების მიმართულებით;
- 2) მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებს მით მეტი ეფექტი აქვთ საკრედიტო ციკლზე, რაც უფრო მჭიდროა ინტეგრაცია მონეტარულ პოლიტიკასთან.

კიმმა (Soyoung Kim, 2017) და აარონმა (Mehrotra Aaron, 2017) ჩაატარეს ანალიზი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისათვის (ავსტრალია, ინდონეზია, კორეა, ტაილანდი) 2000-2016 პერიოდის მონაცემების საფუძველზე იმის დემონსტრირებისათვის, რომ მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკების ერთობლივად გამოყენება მეტი ეფექტიანობით ხასიათდება მთლიანად ეკონომიკისათვის (Kim Soyoung K., Mehrotra A., 2017:14-16). აღნიშნული ქვეყნები იყენებენ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს და, ამასთან, აქტიურად გამოიყენეს მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები გლობალურ კრიზისამდე, რის გამოც აღნიშნული ქვეყნების ანალიზი მაკროპრუდენციული ანალიზის კუთხით ძალიან ინფორმაციულია. სიტუაციური ანალიზის საფუძველზე ავტორები მიუთითებენ მონეტარული და მაკროპრუდენციული პოლიტიკების ეფექტურ ტანდემზე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის მხრივ.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა პანელური ვექტორული ავტორეგრესიული მოდელები, რომელიც ახდენს მონეტარული და მაკროპრუდენციული შოკების იდენტიფიცირებას და აღნიშნულ პოლიტიკებს შორის მაკროეკონომიკური კავშირების განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს. მაკროპრუდენციული პოლიტიკის სამიზნე მაჩვენებლად ამ შემთხვევაში გამოიყენება კრედიტების

მოცულობა და მისი ზრდის ტემპი, რომელიც წარმოადგენს წინმსწრებ ინდიკატორს და იძლევა ინფორმაციას ფინანსურ სექტორში წარმოქმნილი რისკების შესახებ (Borio, Lowe, 2002); (Borio, Drehmann, 2009); (Kaminsky, Reinhart, 1999); (Schularick, Taylor, 2012). კვლევამ ცხადყო, რომ მაკროპრუდენციული პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ დიდ გავლენას ახდენს კრედიტებზე, ასევე მისი გავლენა ინფლაციაზე არის ეკონომიკურად და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მაკროპრუდენციული პოლიტიკის აღნიშნული „მაკროეკონომიკური“ გავლენის შესახებ არ იყო დეკლარირებული წარსულში განხორციელებულ ემპირიულ ანალიზებში. აქედან გამომდინარე, მონეტარული და მაკროპრუდენციული პოლიტიკა მჭირდო კავშირშია და ერთი მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება საგრძნობლად შემცირდეს ფინანსური არასტაბილურობა.

მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთზემოქმედება საკმაოდ ძლიერია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მათ აქვს ტრანსმისიის საერთო არხები (Trivedi K., 2015:9). ერთ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები დიდ ზეგავლენას ახდენს მეორე პოლიტიკის ეფექტიანობასა და მის შედეგებზე. როგორც აღვნიშნეთ, ეს იმის გამო ხდება, რომ ისინი წარმოადგენენ კომპლემენტარულ პოლიტიკებს და იყენებენ მსგავს ტრანსმისიის არხებს მათი მიზნების მისაღწევად, აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკების მოქმედების არეალი თანაკვეთება. მაკროპრუდენციული პერსპექტივის კუთხით, ისეთი ინსტრუმენტები როგორებიცაა კაპიტალის კონტრცეკლური ბუფერი, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი და ა.შ. გვთავაზობს ახალ გზებს კრედიტებისა და ფინანსური ციკლების დასარეგულირებლად (Wouters R., 2016:3).

- გაფართოებული საკრედიტო არხი (broad credit channel) არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტრანსმისიის არხი, რომელსაც ორივე პოლიტიკა იყენებს. საბანკო დაკრედიტება და მისი მართვა გამოიყენება როგორც მონეტარული პოლიტიკის მიერ, ასევე წარმატებით გამოიყენება მაკროპრუდენციულ პოლიტიკაში. ტრანსმისიის მექანიზმების გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორზე გულისხმობს ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ერთობლივ მოთხოვნაზე და მის კომპონენტებზე ზემოქმედების მოხდენას. როდესაც ცენტრალური ბანკი ახორციელებს რესტრიქციულ მონეტარულ პოლიტიკას, ამით ამცირებს მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, თავის მხრივ, კომერციული ბანკები ნაკლებ სესხებს გასცემენ ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებზე. შედეგად კი იზღუდება კრედიტების მოცულობა, რაც ზრდის საპროცენტო განაკვეთს და მატულობს კომპანიების მიერ „მორალური რისკის“ (Moral Hazard) წარმოქმნის საფრთხე, ვინაიდან მათ უჩნდებათ ინტერესი, ჩაებან უფრო სარისკო საინვესტიციო პროექტებში დიდი შემოსავლიანობის მისაღებად (Arango C., 2015:23). აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების ზრდა არის სიგნალი ბანკებისათვის, რომ ფინანსურ სექტორში მიმდინარეობს რისკების აკუმულირება და შესაბამისად მკაცრდება სესხის გაცემის პირობები. ასეთ პირობებში, მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტი – კაპიტალის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რომელიც ბაზელ III-ით არის გათვალისწინებული, გადამწყვეტ როლს ასრულებს ფინანსური ციკლის დარეგულირების საკითხში.

-საპროცენტო განაკვეთის არხი – მონეტარული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტიტუტების მდგომარეობაზე, რადგან შემცირებული

საპროცენტო განაკვეთი ნიშნავს შემცირებულ შემოსავლიანობას. 2008 წლის კრიზისმა აჩვენა, რომ შემცირებული შემოსავლიანობის გამო ფინანსურმა ინსტიტუტებმა და კერძო კომერციულმა ბანკებმა დაწყეს ახალი ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც ერთი შეხედვით უსაფრთხო იყო, თუმცა კრიზისის აღმავლობისას დიდი საფრთხის მატარებელი გახდა და გამოიწვია ფინანსური არასტაბილურობა (Davies J., 2014:5-7).


ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ბაზრების მსოფლიო ინტეგრაციის შედეგად მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა ნაციონალურ დონეზე სულ უფრო სუსტდება. როგორც აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე, ბენ ბერნანკე⁴⁰ ამბობს, გლობალური მასშტაბით დანაზოგების ზრდამ გამოიწვია გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის მკვეთრად შემცირება განვითარებულ ქვეყნებში, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მისი კავშირის შესუსტება მოკლევადიან განაკვეთთან. აღნიშნულის გამო, მონეტარული პოლიტიკის მცდელობა, ზეგავლენა მოეხდინა მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე და ამის გავლით გრძელვადიან განაკვეთზე, სულ უფრო შესუსტდა. ეს ფაქტი მოწმობს მონეტარული პოლიტიკის როლის შესუსტებაზე ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში (Bernanke B., 2015: 3).

- რისკის არხი - დაბალი საპროცენტო განაკვეთისა და, აქედან გამომდინარე, აქციებზე ფასების ზრდის შემთხვევაში, ფინანსური სექტორი რისკების აკუმულირების პრობლემის წინაშე დგება. თავის მხრივ, იზრდება სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა ბიზნესის მხრიდან, ისინი ცდილობენ შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ფასს და, შესაბამისად, სპეკულაციურ ზეწოლას ახდენს ფინანსურ ბაზარზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ემპირიული გამოკვლევის შედეგად (G. Jiménez G., S Ongena S., Peydró J., J Saurina J., 2014:10-12) აღებულ იქნა მონაცემები ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოველკვარტალური ანგარიშებიდან. გამოკვლევის მიზანი იყო, გაეანალიზებინათ მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენა სესხების აღების მოცულობასა და დინამიკაზე. გამოკვლევისას გაანალიზდა სესხების მოცულობა დოლარებში საპროცენტო განაკვეთის მინიმალური დონისა და ნორმალური დონის პირობებში, 1997-2008 წლებში (Deutsche Bundesbank, 2015:51). გრაფიკზე აშკარად ჩანს უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკის განაკვეთსა და რისკის ხარისხს შორის. - გაცვლითი კურსის არხი – ღია ეკონომიკაში ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკით შეუძლია გავლენის მოხდენა გაცვლით კურსსა და კაპიტალის ნაკადებზე. კაპიტალის დიდი ოდენობით შემოდინებამ შეიძლება ქვეყანა საფრთხის წინაშე დააყენოს გადაჭარბებული კრედიტების და ლიკვიდობის მოცულობის გამო. ამას უფრო ადვილად გავიგებთ ისეთ მცირე ღია ეკონომიკაზე დაკვირვებით, როგორც ირლანდია. ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა ინფლაციური პროცესების თავიდან ასაცილებლად გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა. შედეგად, საპროცენტო განაკვეთის ზრდამ მიმზიდველი გახადა აღნიშნული ქვეყანა დაბანდების კუთხით, რამაც გამოიწვია დიდი ოდენობით კაპიტალის ნაკადების შედინება ქვეყანაში. აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა სწორედ ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა გლობალურ კრიზისამდე (გრაფ. 2).

⁴⁰ამერიკელი ეკონომისტი, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე 2006-2014 წლებში

გრაფ. 2. დამოკიდებულება ინფლაციის დონესა და რეალური ქონების ფასებს შორის



წყარო: Blanchard O., Vinals J., World Economic Outlook and Haver Analytics, "The Interaction of Monetary and Macroprudential Policy", 2013:23.

- საბანკო კაპიტალის არხი – აღნიშნული მოიაზრებს ბანკების მიერ კაპიტალის სავალდებულო ნორმებისა და მოთხოვნების დაცვას. ერთ-ერთი ასეთია კაპიტალის ადეკვატურობის შენარჩუნების მოთხოვნა, რაც ბანკებს აიძულებს, მათი აქტივების ოდენობა აჭარბებდეს გაცემული სესხების ოდენობას. ამასთან, არსებობს სხვა მოთხოვნებიც, როგორცაა ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის და ა.შ. დეპოზიტორები ბანკში ფულად სახსრებს ათავსებენ იმის მოლოდინით, რომ ხვალ მეტ სარგებელს მიიღებენ თითოეულ დაბანდებულ ერთეულზე, თუმცა, სხვადასხვა რისკები (ლიკვიდობის, საბაზრო, საკრედიტო) შესაძლოა გახდეს ბანკის გადახდისუნარიანობის მიზეზი. რადგანაც ეკონომიკური პირობების გაუარესების გამო მცირდება დეპოზიტორის აქტივები, ისინი მოითხოვენ ბანკის მხრიდან საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც თავისთავად შემცირებულ ეკონომიკურ აქტივობას იწვევს (Cozzi G., Darracq M., Karadi P., 2020:20-21).

- ბანკის ბალანსის არხი – მონეტარული პოლიტიკის გამატარებლების მიერ საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, ბანკის ბალანსის გაუარესება განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ მცირე ზომის ბანკებისათვის, რომლებიც აქვთ ლიკვიდობის და კაპიტალის დაბალი დონე. ბანკებს, რომელთაც კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს მხოლოდ მცირედით აჭარბებენ, ყოველთვის აქვთ პრობლემები დაფინანსების გარე წყაროებთან დაკავშირებით და შესაბამისად მეტია დამატებითი რისკის აღების სტიმული. სწორედ ასეთი ტიპის ფინანსური დაწესებულებები ქმნიან რისკების აკუმულირების საფრთხეს, რაც ფინანსური კრიზისის წარმოშობის რეალურ ნიადაგს ქმნის (Wouters R.,2018:114).

დასკვნა

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დღეისათვის არსებული მაკროეკონომიკური და პრუდენციული ზედამხედველობის ტრადიციული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას. დღის წესრიგში დადგა საფინანსო რეგულირებისა და საბანკო ზედამხედველობის რეფორმირების, გამკაცრების და მაკროპრუდენციული ნორმების შემოღების აუცილებლობა. ემპირიული კვლევებთ დადასტურებულია, რომ მონეტარული პოლიტიკის რეაგირება დროში შეფერხებულია, მისი ეფექტები მოითხოვს დროითი პერიოდის შედარებით დიდ ლაგს სასურველი ეფექტის მისაღებად, ამიტომაც საჭირო ხდება მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტიური გამოყენება, რომელსაც დროის მოკლე პერიოდში შეუძლია სიტუაციის დასტაბილურება ფინანსურ სექტორში, თუმცა მისი გავლენა შეზღუდულია დროში და გრძელვადიანი პერიოდისათვის აღნიშნული გავლენა მიღევად ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პოლიტიკების ინტეგრაციას და მათ ერთდროულ გამოყენებას მაკროეკონომიკური შოკების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arango, C., “Macroprudential policy, Moral hazard and Financial fragility”, Geneva, (March,2015):23
2. Bernanke, B., “Federal Reserve Policy in an International Context”,(2015):3
3. Cozzi D., Pariès M., Karadi P., “ Macroprudential policy measures: macroeconomic impact and interaction with monetary policy”, (2020): 20-21
4. Kim S.,Mehrotra A., “Effects of Monetary and Macroprudential Policies –Evidence from Inflation Targeting Economies in the Asia-Pacific Region“, (2017):14-16
5. Trivedi, K., “An empirical study of the circumstance under which macroprudential policy can be compounding, neutral or conflicting to the conduct of monetary policy”, (2015):9

Nino Zhorzhikashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student in Macroeconomics

MACROPRUDENTIAL AND MONETARY POLICY MAIN CHALLENGES

10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.02.Zhorzhikashvili

Expanded Summary

The global financial crisis 2008 once again raised the issue of more active use of macroprudential policies, as it became clear that microprudential policies and its regulations were not sufficient for financial stability. Prior to the global financial crisis, it was widely believed in academic circles, that there was a conflict (inflation / financial stability) between monetary policy and prudential policy, which justified the separation of monetary and prudential functions. Due to this approach, a significant trend of segregation of functions was observed in some countries. After the crisis, the weaknesses of this approach became clear and countries began to actively pursue macroprudential policies integrated with monetary policy.

Prior to the global financial crisis, there was a widespread belief in academic circles around the world, including Europe, that price stability in the commodity and services markets would be sufficient for financial stability. The pre-crisis consumer price index in the euro area was quite low and stable, although systemic risks still accumulated in the financial sector due to the credit boom and the use of new financial instruments. During the economic downturn, these financial instruments were characterized and associated with really low risk, although they were very sensitive to systemic risk. In this case, the task of the financial market is to assess the risk and redistribute resources, although the financial market has failed to perform this function in relation to complex instruments.

Ensuring stability in the financial sector is the prerogative of macroprudential policies, which require the use of appropriate tools, periodically improving them in the wake of economic development and globalization. The introduction and improvement of macroprudential policies helps, on the one hand, to identify systemic and sectoral risks and, on the other hand, to establish an effective financial flow management system.

Monetary policy should be largely responsible for regulating the business cycle, which means stabilizing inflation rates and interest rates by using inflation "targeting". However, it should be noted that no central bank can fully control the financial markets. But monetary policy has an excellent instrument in the form of macroprudential policy, that can take responsibility for the stability of the financial system and the cycle.

Moreover, it should be noted that monetary policy can even contribute to the accumulation of risks in the financial sector. In particular, when the central bank aims to stimulate consumer spending by lowering interest rates, this may significantly increase securities prices and create a breeding ground for a "speculative soap bubble" that threatens financial stability. On the other hand, pursuing a restrictive monetary policy raises interest rates, which reduces aggregate demand in the economy and may lead to a slowdown in the long-term growth rate of the economy. Thus, monetary policy faces challenges and it is clear, that achieving financial stability in isolation is impossible. Therefore, no country today considers monetary and macroprudential policies in isolation, on the contrary, the success of the coordinated use of their instruments can be seen in the example of many countries.

Therefore, the issue of integration of macroprudential and monetary policies and the need for close coordination arises. Both policies work to ensure financial stability, albeit with different instruments and channels, but their ultimate goal is one — to promote the country’s sustainable development and long-term economic growth. Monetary policy contributes to price stability and output levels in the economy, while macroprudential policy focuses on identifying and eliminating systemic risks. As a result of the integration of these policies, the economic system becomes more resilient and flexible to shocks and allows the defects of both policies to be overcome. Macroprudential policy interventions with a countercyclical buffer of capital and other instruments aimed at neutralizing procyclicality, largely determine the effectiveness of monetary policy. The continuous development of innovations and technologies in the financial sector requires closer coordination and the implementation of well-organized policies in the light of the existing reality.

Therefore, we can conclude that:

- 1) Macroprudential policy is very effective in regulating the credit cycle;
- 2) Macroprudential instruments have the greater effect on the credit cycle, the closer the integration with monetary policy.

The interaction between macroprudential and monetary policies is quite strong, which is due to the fact that they have common transmission channels. Decisions made in one policy have a major impact on the effectiveness of another policy and its consequences. As mentioned above, this is due to the fact that they are complementary policies that use similar transmission channels to achieve their goals, hence the scope of these policies. Offers new ways to regulate credit and financial cycles.

The broad credit channel is one of the most common transmission channels used by both policies. Bank lending and its management are used both by monetary policy and successfully used in macroprudential policy. The impact of transmission mechanisms on the real sector of the economy means the impact on aggregate demand and its components as a result of changes in the central bank interest rate.

Interest rate channel - lowered interest rates may have a negative impact on the condition of financial institutions, as lower interest rates mean lower returns. The 2008 crisis showed that due to reduced returns, financial institutions and private commercial banks began to use new instruments that were seemingly safe, but became a major threat during the crisis and led to financial instability.

Risk channel- In case of low interest rates and hence rising stock prices, the financial sector faces the problem of risk accumulation. In turn, as the demand for loans from businesses increases, they try to buy securities, which further increases their price and, consequently, puts speculative pressure on the financial market.

In conclusion, the current traditional macroeconomic and prudential oversight mechanisms fail to ensure financial stability. The need to reform financial regulation and banking supervision, tighten and introduce macroprudential norms is on the agenda. Empirical studies have shown, that the monetary policy response is delayed in economics, its effects require a relatively large period of time to achieve the desired effect, so it is necessary to actively use macroprudential policies, that can stabilize the situation in the financial sector in the short term, but its impact is limited. Therefore, great importance is attached to the integration of these policies and their simultaneous use to prevent macroeconomic shocks.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტი” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili Khanjaladze**